

უკანასკნელი დღეების  
წმინდანთა  
იესო ქრისტეს  
ძალეხია

# 182-ე გენერალური კონფერენცია

6—7 ოქტომბერი, 2012

დაბეჭდილია  
უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს  
ეკლესიის მიერ.  
სოლთ ლეიქ სიტი, იუტა

© 2012 Intellectual Reserve, Inc.  
ყველა უფლება დაცულია

ინგლისურად დამტკიცებულია: 12/11  
თარგმანი დამტკიცებულია: 12/11  
თარგმანი *182nd Semiannual General Conference*

Georgian  
PD50045288 131

კვირის დილის სესია

სად არის საბურველი? | ჰენრი ბ. აირინგის მიერ ..... 1  
გამოსყიდვა | ბოიდ კ. პაკერი ..... 10  
ჯერ დააკვირდი, შემდეგ ემსახურე | ლინდა კ. ბერტონი ..... 17  
გულით შეცნობა | უოლტერ ფ. გონსალესი ..... 24  
პირველი დიდი მცნება | ჯეფრი რ. ჰოლანდის მიერ ..... 29  
შენიშნეთ დალოცვები თქვენს ცხოვებაში | პრეზიდენტ თომას  
ს. მონსონის მიერ ..... 35

კვირის საღამო სესია

იყო ქრისტიანზე უფრო ქრისტიანი | რობერტ დ. ჰეილსი ..... 44  
გარდაცვლილთა გამოსყიდვის სიხარული | რიჩარდ ჯ. სკოტი . 51  
მაცხოვართან ერთი ნაბიჯით უფრო ახლოს მისვლა | რასელ ტ.  
ოსგუტორფე ..... 58  
რწმენით ყველაფერი აღსრულდება | მარკუს ბ. ნეში ..... 65  
კემმარიტი მოწაფეობის გზაზე შედგომა | დენიელ ლ. ჯონსონი 71  
ზიარების დალოცვა | დონ რ. კლარკი ..... 76  
უფლისკენ მოქცეულნი | დევიდ ა. ბედნარი ..... 82  
ღმერთი იყოს თქვენთან, სანამ კვლავ შევხვდებით | პრეზიდენტ  
თომას ს. მონსონის მიერ ..... 90



# სად არის საბურველი?

პრეზიდენტი ჰენრი ბ. აირინგის მიერ  
პირველ პრეზიდენტობის პირველი მრჩეველი

---

საბურველი რომელიც ჩრდილავს ღვთიურ  
შველას არ ჩრდილავს ღმერთს მაგრამ  
ხანდახან ჩვენ ვეჭვებით მის ქვეშ. ღმერთი  
არასდროს არ არის ჩვენგან დაფარული  
მაგრამ, ხანდახან, ჩვენ მისგან ვართ.

---

წინასწარმეტყველმა ჯოსეფ სითმა, ლიბერტის ციხეში, მისი ტანჯვების სიღრმეში, შესტირა: „ღმერთო სად ხარ? და სად არის საბურველი, რომელიც ფარავს შენს თავშესაფარს?“<sup>1</sup> მრავალი ჩვენგანს პირადი ტანჯვისას აქვს გრძნობა, რომ ღმერთი შორს არის ჩვენგან. მაგრამ საბურველი, რომელიც გვიჩრდილავს ღვთიურ დახმარებას არ ფარავს ღმერთს, ხანდახან გვიჩრდილავს ჩვენ. ღმერთი არასოდეს არ არის დაფარული, მაგრამ ხანდახან ჩვენ ვართ დაჩრდილული მოტივაციებით, რომელიც გვაშორებს ღმერთს და ამის გამო გვეჩვენება ის ჩვენგან შორს და მიუწვდომელი. ჩვენი პირადი სურვილები და არა „იყოს ნება შენი“,<sup>2</sup> ქმნის გრძნობას, რომ ღმერთი დაფარულია საბურველით. ღმერთი გვხედავს და ესმის ჩვენი, მაგრამ ჩვენ შეიძლება არ გვაქვს მისი მოსმენის ან მორჩილების და დროის დათმობის სურვილი.

ჩვენი გრძნობები ღმერთისაგან დაშორების შესახებ უფრო შემცირდება თუ ჩვენ ვიქნებით მის მიმართ უფრო უმანკო. ეს არ არის ადვილი მსოფლიოში, სადაც სხვა ადამიანების თვალსაზრისს შეიძლება ჰქონდეს ამხელა გავლენა ჩვენ მოტივებზე. მაგრამ ეს დაგვეხმარება ჭეშმარიტების პოვნაში, რომ ღმერთი ახლოს არის ჩვენთან

და ზრუნავს ჩვენზე და არასდროს არ იმალება მისი შვილებისაგან.

ჩემი სამი წლის შვილიშვილმა დაგვანახა უმანკოებისა და თავმდაბლობის ძალა, რომელიც გვაკავშირებს ღმერთთან. ის წასული იყო ღია კარის დღეზე იუტას ბრიგემ სითის ტაძარში, ტაძრის ერთ ოთახში მიმოიხედა და იკითხა: „დედიკო სად არის იესო?“ დედამისმა აუხსნა, რომ ის ვერ იხილავდა მას ტაძარში, მაგრამ შესძლებდა ეგრძნო მისი გავლენა გულით. ელიზამ ფრთხილად განიხილა დედამისის პასუხი და შემდეგ თითქოს დაკმაყოფილდა და დაასკვნა „იესო წასულია ვიღაცის დასახმარებლად.“

არანაირ საბურველმა არ დაუფარია ელიზას რეალობის განმარტება ან ხედვა, ღმერთი მასთან უფრო ახლოა და გოგონაც გრძნობს მის სიახლოვეს, ელიზამ იცოდა, რომ ტაძარი არის უფალის სახლი, მაგრამ ასევე ესმოდა, რომ ამღსდგარი და ამაღლებული იესო ქრისტეს აქვს სხეული და შეუძლებელია, რომ იყოს ერთ ადგილზე ყოველ დღე.<sup>3</sup> თუ ის არ იყო მის სახლში, გოგონა მიხვდა, რომ ის უნდა ყოფილიყო სხვაგან. იქიდან, რაც მან იცის მხსნელის შესახებ, გოგონა მიხვდა, რომ ის იყო სადმე კეთილი საქმისათვის, მამამისის შვილებისათვის, ნათელი იყო, რომ გოგონას სურდა იესოს დანახვა არა იმისათვის, რომ სასწაული შეემოწმებინა არამედ იმიტომ, რომ ბავშს უბრალოდ უყვარდა ის.

სულმა გაანდო მის ბავშურ გონებას და გულს ის ნუგეში, რაც ყოველ ჩვენგანს სურს და სჭირდება. იესო ქრისტე ცოცხალია, გვიცნობს, გვიყურებს და ზრუნავს ჩვენზე. ტკივილის დროს, მართობისას ან დაბნეულობის უამს, ჩვენ არ გვჭირდება იესო ქრისტეს დანახვა, იმის ცოდნისათვის, რომ მან იცის ჩვენი მდგომარეობის შესახებ და მისი მისია არის, რომ დაგვლოცოს.

მე ჩემი პირადი ცხოვრებიდან ვიცი, რომ ჩვენც შეგვიძლია გვჭონდეს ელიზასნაირი გამოცდილება ბავშვობიდან დიდი ხნის შემდეგაც. ჩემი კარიერის პირველ წლებში, მე დაუღონებლივ ვშრომობდი, რომ მიმედღწია სტანდფორდის უნივერსიტეტის პროფესორის წოდებისათვის. მე ვფიქრობდი, რომ უზრუნველყავი ჩემი ოჯახი კარგი ცხოვრებით. ჩვენ ვცხოვრობდით ჩემი

მეუღლის მშობლებთან ახლოს ძალზედ კომფორტულ გარემოცვაში. მსოფლიოს სტანდარტებით მე მივალწიე დიდ წარმატებას. მაგრამ მომეცა შანსი, რომ მიმეტოკებინა კალიფორნია და წავსულიყავი აიდაჰოში, რექსბურგის რიქსის კოლეჯში. ჩემი ცხოვრებისეული პროფესიული მიზნები ალბათ ჩემთვის იყო, როგორც საბურველი, რომელიც მაშორებდა მოსიყვარულე მამას, რომელმაც უკეთესად იცოდა თუ რანაირი იქნებოდა ჩემი მომავალი. მაგრამ მე დალოცვილი ვიყავი, რომ ვიცოდი, იმ დროს როგორი წარმატებაც არ უნდა მქონოდა კარიერაში თუ ოჯახში, იყო ღმერთის ძღვენი და მე, როგორც ბავშვი, მოვიყარე მუხლი ლოცვით, რომ მეკითხა რა უნდა მექნა. მე შევძელი გონებაში წყნარი ხმის გაგება, რომელმაც მითხრა „ეს არის ჩემი სკოლა.“ არ იყო არანაირი საბურველი, რომელიც მაცალკავებდა ღმერთისგან. რწმენითა და თავმდაბლობით, მე მივანდე ჩემი ნება მის ნებას და ვიგრძენი მისი ზრუნვა და სიახლოვე.

რიქსის კოლეჯში ჩემი წლები, როდესაც მე ვცდილობდი მომეძია ღმერთის ნება და შემესრულებინა, ეს მაცილებდა იმ საბურველს, რომელიც დაფარავდა ღმერთის აქტიურ როლს ჩემი ცხოვრებაში. როდესაც ვცდილობდი მისი სამსახურის შესრულებას, მე ვიგრძენი მისი სიახლოვე და ვგრძნობდი, რომ იცოდა ჩემი საქმეების შესახებ და ღრმად ზრუნავდა ჩემს ბედნიერებაზე. მაგრამ, როგორც სტანდფორდში, კიდევ ერთხელ იჩინეს თავი ამქვეყნიურმა მოტივაციებმა. ერთი მათგანი იყო მიმზიდველი სამსახურის შემოთავაზება, რომელიც მივიღე რიქსის კოლეჯის ხუთ წლიანი პრეზიდენტობის ბოლოს. მე განვიხილე ის, ვილოცე მის შესახებ და ის პირველ პრეზიდენტობასთანაც განვიხილე. მათ მიჰასუხეს თბილად და ცოტაოდენი იუმორით, მაგრამ ნათელი მითითების გარეშე. პრეზიდენტმა სპენსერ ვ. ქიმბელმა მოისმინა ჩემი ნათქვამი და სთქვა, „მამ, ჰალ, თითქოს კარგი რამეა შენთვის და თუ ოდესმე დაგვჭირდი ვიცით სად მოგძებნოთ.“ მათ ეცოდინებოდათ სად მიჰოვიდნენ, მაგრამ პროფესიული წარმატების სურვილს შეეძლო შეექმნა ჩემთვის საბურველი, რაც გაართულებდა ჩემთვის ღმერთის

პოვნას და უფრო გაართულებდა მის მოსმენას და მისი მსახურებისადმი მიყოლას.

ჩემი მეუღლე გრძნობდა ამას, ჰქონდა რა, ძლიერი გრძნობა, რომ უნდა დავრჩენილიყავით. დაჟინებით მირჩია, რომ მე უნდა ჩემით მიმეღო საკუთარი გამოცხადება. ასე, რომ მე კვლავ ვილოცე, ამჯერად მე მივიღე ნათელი მითითება, ხმა ჩამესმა გონებაში, რომელმაც სთქვა: „მედაგტოვებ რიქსის კოლეჯში ცოტა მეტი ხნით.“ ჩემი პირადი ამბიციებმა შეიძლება ღრუბელი მოფინა ჩემი რეალობის ხედვას და გააძნელა გამოცხადების მიღება, მაგრამ ღმერთი არასდროს არ იყო დაფარული ჩემგან, მზად იყო პასუხით, როდესაც მას ვეძებდი რწმენით და თავმდაბლობით.

ოცდაათი დღის შემდეგ, როდესაც კურთხეული ვიყავი შთაგონებული გადაწყვეტილებით, რომ უარი მეთქვა სამსახურის შემოთავაზებაზე და დავრჩენილიყავი რიქსის კოლეჯში, ტეტონის კაშხალი გასკდა. ღმერთმა იცოდა, რომ კაშხალი ეს-ესაა გასკდებოდა და ადამიანებს დასჭირდებოდათ დახმარება. მან მომცა საშუალება, რომ მომეძია რჩევა და მომეძებნა მიზეზი, რომ დავრჩენილიყავი რიქსის კოლეჯში, მაგრამ მხოლოდ მან იცოდა ყველა მიზეზები, რათა ჩემი სამსახური ჯერ კიდევ საჭირო იქნებოდა რექსბურგში და რიქსის კოლეჯში. ლოცვებში ხშირად ვთხოვდი მამაზეციერს, რომ ეთქვა ჩემთვის თუ რა უნდა, რომ გავაკეთო იმ ადამიანების დასახმარებლად, რომელთა სახლები იყო დაზიანებული ან განადგურებული. ჩემმა სურვილმა, რომ მეკეთებინა მისი ნება, ჩემს ცხოვრებაში მისი გავლენა გახადა რეალური.

სხვანაირად ეს გვაჩვენებს თუ როგორ შეგვიძლია შევქმნათ ბარიერი ღმერთის ნების ცოდნის ან მისი სიყვარული ჩვენს მიმართ: ჩვენი განრიგის დაჟინებით შესრულებით, როდესაც ღმერთს აქვს მისი საკუთარი განრიგი. ხანდახან ჩვენი ლოდინის არ ქონის სურველი, გვიბნელებს მისი ნების ხედვას ჩვენს მიმართ.

ლიბერთის ციხეში წინასწარმეტყველ ჯოსეფმა ჰკითხა უფალს, რომ დაესაჯა ისინი, ვინც სდევნიდნენ ეკლესიის წევრებს მისურში. მისი ლოცვა იყო სწრაფი და დაუყოვნებელი შურისძიებისთვის, მაგრამ უფალმა უპასუხა



„არც ისე ბევრი წლის მერე,“<sup>4</sup> ის მიხედავდა ეკლესიის იმ მტრებს. 121 სექციის 24 ლექსში ის ამბობს:

„აჰა, ჩემი თვალები ხედავენ და იციან ყველა მათი საქმე, და საჭირო დროს მე შემონახული მაქვს ყველა მათთვის სწრაფი განაჩენი.

რადგან ყველა ადამიანისათვის არის განკუთვნილი დრო, მისი საქმეების მიხედვით.“<sup>5</sup>

ჩვენ ვიცილებთ საბურველს, როდესაც ვგრძნობთ და ვლოცულობთ “იყოს ნება შენი“ და „შენს მიერ დანიშნულ დროს“. ჩვენთვის უნდა იყოს საკმარისად მალე, რადგან ჩვენ ვიციით, რომ მას ჩვენთვის უნდა მხოლოდ, რაც საუკეთესოა.

ერთერთ ჩემ რძალს, მრავალი წლების განმავლობაში, ჰქონდა გრძნობა, რომ ღმერთმა მასზედ მოჰფინა საბურველი. ის იყო ახალგაზრდა სამი ბავშვის დედა, რომელსაც უნდოდა კიდევ მეტი ბავშვების ყოლა. რამოდენიმე წარუმატებელი მშობიარობის შემდეგ, მისი ლოცვები გადაიზარდა ტანჯვად. წლები გადიოდა და გაუჩნდა გულის წყრომის ცდუნება. როდესაც ყველაზე უმცროსი შვილი მიდიოდა სკოლაში, მისი სახლის სიცარიელე თითქოს ცდილობდა მის დედობაზე ყურადღების გამახვილებას. ასეთივე მისი ნაცნობების დაუბეგმავი ან არასასურველი ორსულობები. ის გრძნობდა ვითომ იყო ისეთივე ერთგული და მოწოდებული, როგორც იყო მარიამი, რომელმაც სთქვა, „აჰა, უფლის მხევალი ვარ.“<sup>6</sup> მაგრამ ამ სიტყვების თქმით მას გულში არ ესმოდა არაფერი პასუხად.

თავიანთი სულიერი გამხნევებისათვის მისმა მეუღლემ დაპატიჟა, რომ მივლინებაში ცოლთან ერთად წასულიყო კალიფორნიაში. იმ დროს, როდესაც ქმარი ესწრებოდა სამუშაო შეკრებებს, იგი სეირნობდა მშვენიერ, ცარიელ ზღვის სანაპიროზე. მას გული ლამის გასკდომოდა და ლოცულობდა ხმამაღლად. პირველად მან შესთხოვა არ კიდევ ერთი ბავშვი, არამედ ღვთიური დავალება, „მამაზეციერო“ ტიროდა ქალი, „მე მოგიძღვნი მთელ ჩემ დროს, გთხოვ მაჩვენე თუ როგორ გავატარო ეს დრო.“ მან გამოხატა თავისი მზადყოფნა, რომ წაიყვანდა მის ოჯახს, სადაც მოსთხოვდნენ, რომ წასულიყვნენ. ამ ლოცვამ მისცა

მოულოდნელი სიმშვიდის შეგრძნება, ამან არ დააკმაყოფილა მისი მგზნებარე სურვილი უეჭველობისათვის, მაგრამ მრავალი წლების განმავლობაში პირველად გული დაუწყნარა.

ლოცვამ მოაცილა საბურველი და გაუხსნა ზეცისკენ ფანჯარა. ორი კვირის შემდეგ მან გაიგო, რომ იყო ორსულად. ახლადშობილი იყო ერთი წლის, როდესაც ჩემ შვილმა და რძალმა მიიღეს მისიაზე გაწვევის მოწოდება. რადგან პირობა ჰქონდათ დადებული, რომ გააკეთებდნენ ყველაფერს, სადაც არ უნდა წასულიყვნენ, რძალმა გადადო შიში და წაიყვანა მისი შვილები საზღვარგარეთ. მისიაში მსახურობისას მათ ეყოლათ კიდევ ერთი ბავშვი, მისიონერების გადაყვანის დღეს.

ბოლომდე ზეცის ნებისადმი მორჩილება, როგორც ეს ახალგაზრდა დედამ გააკეთა, არის აუცილებელი პირობა, რათა მოვიცილოთ სულიერი საბურველი ჩვენი თავებიდან. მაგრამ ეს არ გვაძლევს დაუყოვნებლივ პასუხის მიღების გარანტიას ჩვენს ლოცვებში.

აბრაამის გული აშკარად დიდი ხნით ადრე იყო მართალი, უკვე მანამდე, სანამ სარა დაორსულდებოდა ისაკზე და იქამდე, სანამ მიიღებდნენ აღთქმულ მიწას. ზეცას სხვა მიზნები ჰქონდა პირველ რიგში მისაღწევი, ამ მიზნებში იყო არა მარტო აბრაამის და სარას რწმენის მშენებლობა, ასევე მიზანი იყო მათთვის მარადიული ჭეშმარიტების სწავლება, რომელიც მათ გაუზიარეს სხვებს, მათთვის მომზადებული მიწისაკენ გრძელი და რთული გზით მოგზაურობისას. უფალის დაგვიანებები ხანდახან გვეჩვენება ხანგრძლივი, ხანდახან თითქმის მთელი ცხოვრება. მაგრამ ისინი ყოველთვის გათვლილია, რომ გვაკურთხოს. არასდროს არ უნდა იყოს მარტოობის ან დაღონების უამი.

თუმცა მის მიერ დანიშნული დრო ყოველთვის არ არის ჩვენი დრო, ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებულები ვიყოთ, რომ ღმერთი ასრულებს მის დანაპირებებს. ყველა თქვენგანი, რომლებიც გრძნობთ, რომ ძნელია მისთვის ხმის მიწვდენა, მე მინდა დავამოწმო, რომ მოვა დღე, როდესაც ჩვენ ყველა ვიხილავთ მას პირისპირ. ისე, როგორც ჩვენი არაფერი არ არის დაფარული მისგან, იქ არაფერი არ იქნება მის მიერ

ჩვენთვის დაფარული. ჩვენ პირადად ყველანი დავდგებით მის წინ. ისე, როგორც ჩემი შვილიშვილი, ჩვენ ახლაც გვსურს იესო ქრისტეს ნახვა, მაგრამ ჩვენი მასთან ნამდვილი გაერთიანება სამსჯავროზე იქნება მეტად უფრო სასიამოვნო, თუ ჩვენ გავაკეთებთ იმას, რომ ის იყოს ჩვენთვის ასევე ნაცნობი, როგორებიც ჩვენ ვართ მისთვის. როდესაც ჩვენ ვემსახურებით მას, ჩვენ ვხდებით მისდაგვარნი და ვგრძნობთ მასთან სიახლოვეს, ისე როგორც მივალწევთ იმ დღეს, როდესაც არაფერი აღარ დაფარავს ჩვენს ხედვას.

ასეთი მისწრაფება ღმერთისაკენ შეიძლება იყოს მუდმივი. მხსნელი გვასწავლის: „მოდით, მამაჩემის კურთხეულნი, დაიმკვიდრეთ სოფლის დასაბამიდან თქვენთვის გამზადებული სასუფეველი,“<sup>7</sup> შემდეგ გვეუბნება თუ როგორ ეს ვაკეთოთ:

„ვინაიდან მშობდა და საჭმელი მომეცით, მწყუროდა და მასვით, უცხო ვიყავი და მიმიღეთ,

შიშველი ვიყავი და შემმოსეთ, სნეული ვიყავი და მომინახულეთ, საპყრობილეში ვიყავი და მომაკითხეთ.

მაშინ მიუგებენ მას მართალნი და ეტყვიან: უფალო, როდის გიხილეთ შენ მშობიერი და დაგაპურეთ? ან მწყურვალი და გასვით?

როდის გიხილეთ უცხო და მიგიღეთ? ან შიშველი და შეგმოსეთ?

როდის გიხილეთ შენ სნეული, ან საპყრობილეში მყოფი და მოგაკითხეთ?

მიუგებს მეფე და ეტყვის მათ: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რაც გაუკეთეთ ერთს ამ ჩემს უმცირეს ძმათაგანს, მე გამიკეთეთ.“<sup>8</sup>

როდესაც ჩვენ ვაკეთებთ იმას, რასაც მას უნდა, რომ გავაკეთოთ მისი მამის შვილებისათვის, უფალი მიიჩნევს მას, როგორც მის მიმართ გაკეთებულ სიკეთედ და ჩვენ ვიგრძნობთ მასთან სიახლოვეს, როდესაც ვიგრძნობთ მის სიყვარულსა და მხარდაჭერას. დროთა განმავლობაში ჩვენ გავხდებით მისდაგვარნი და ვიფიქრებთ სამსჯავროს დღეზე ბედნიერი მოლოდინით.

საბურველი, რომელიც თითქოს გვფარავს ღმერთისაგან, შეიძლება იყოს ადამიანის წინაშე შიში და არა მისადმი

მსახურობის სურვილი. მხსნელის ერთადერთი მოტივი იყო ადამიანებისათვის დახმარება. ბევრი თქვენგანს, ისე როგორც მე, უგრძვნია შიში ვინმესთან ურთიერთობაში, ვისაც აწყენინეთ ან ვინც ტკივილი მოგაყენათ. მაგრამ მაინც, მე მინახავს როგორ აღღვობს უფალი გულებს ხანდახან, ჩემს ჩათვლით. და ამიტომ მინდა მოგიწოდოთ, მიდით ვინმესთან უფალისათვის, თქვენი რაიმე შიშის მიუხედავად რომელიც გაქვთ, რომ მიაწვდინოთ სიყვარული და პატიება. მე გპირდებით, რომ, როდესაც ამას გააკეთებთ, თქვენ იგრძნობთ მხსნელის სიყვარულს იმ ადამიანისათვის და მის სიყვარულს თქვენსადმი და ეს მოხდება ძალიან მალე. თქვენთვის ეს გამოწვევა შეიძლება იყოს ოჯახში, ეს შეიძლება იყოს საზოგადოებაში ან მთელ ერში.

თუ უფალის გულისათვის მიდიხართ, ის დაინახავს და დააფასებს. თუ თქვენ ამას აკეთებთ ხშირად და საკმაოდ ხანგრძლივად, იესო ქრისტეს გამოსყიდვის მეშვეობით თქვენ იგრძნობთ თქვენს ბუნებაში ცვლას. არა მარტო იგრძნობთ მას უფრო ახლოს, თქვენ იგრძნობთ თუ როგორ სულ უფრო და უფრო მას ემსგავსებით და მაშინ, როდესაც მას შეხვდებით, ისე, როგორც ჩვენ ყველა, ეს თქვენთვის იქნება, როგორც მორონისათვის, როდესაც მან სთქვა: „და ახლა მე ვემშვიდობები ყველას. მალე წავალ ღვთის სამოთხეში დასასვენებლად, სანამ ჩემი სული და სხეული კვლავ არ გაერთიანდებიან და არ ავმადლდები გამარჯვების ზეიმით ცაში, რათა შეგხვდეთ დიდი იეჰოვას სასიხარულო სამსჯავროზე, ცოცხლებისა და მკვდრების მარადიულ მოსამართლესთან, ამინ.“<sup>9</sup>

თუ ჩვენ ვემსახურებით რწმენით, თავმდაბლობით და გვწადია ღმერთის ნება, მე ვამოწმებ, რომ დიდი იეჰოვას სამსჯავრო იქნება სასიამოვნო. ჩვენ ვიხილავთ ჩვენ მოსიყვარულე მამას და მის ძეს, ისე, როგორც ისინი გვხედავენ ჩვენ, სრულყოფილი სიცხადითა და სიყვარულით. იესო ქრისტეს სახელით, ამინ.

**შენიშვნები**

- |                                 |                               |
|---------------------------------|-------------------------------|
| 1. მოძღვრება და აღთქმები 121:1. | მოძღვრება და აღთქმები 109:44; |
| 2. იხილეთ მათე 6:10; ლუკა 11:2; | მოსე 4:2.                     |
| 3 ნეფი 13:10; ეთერი 12:29;      |                               |

3. იხილეთ მოძღვრება და ალექმები 130:22.
4. მოძღვრება და ალექმები 121:15.
5. მოძღვრება და ალექმები 121:24–25.
6. ლუკა 1:38.
7. მათე 25:34.
8. მათე 25:35–40.
9. მორონი 10:34.

---

# გამოსყიდვა

პრეზიდენტი ბოიდ კ. პაკერი

თორმეტ მოციქულთა ქვორუმის პრეზიდენტი

---

სადაც არ უნდა იყვნენ ჩვენი წევრები და მისიონერები, ჩვენი გზავნილი არის ერთი მხსნელი იესო ქრისტეში რწმენა და იმედი.

---

ჩემი გზავნილი ეხება ჩვენს შორის მათ ვინც იტანჯება, გული დამძიმებული აქვს დანაშაულით, სისუსტით, წარუმატებლობით, დარდითა და უიმედობით.

1971 წელს გამაგზავნეს დასავლეთ სამოას პალოს კონფერენციაზე, სადაც შედიოდა ახალი პალოს დაფუძვნება უპოლოს კუნძულზე. გასაუბრებების შემდეგ ჩვენ გავემგზავრეთ პატარა თვითმფრინავით სავაის კუნძულზე, რათა იქ ჩავკეტარებინა პალოს კონფერენცია. თვითმფრინავი დაჯდა ბალახიან მდელოზე ფაალასთან ახლოს და მომდევნო საღამოს იმით უკან უნდა დავბრუნებულიყავით კუნძულ უპოლოზე.

იმ დღეს, როდესაც უნდა დავბრუნებულიყავით სავაიდან, წვიმდა, ვიცოდით რა, რომ თვითმფრინავი ვერ დაჯდებოდა სველ მინდორზე, ჩვენ მივედით კუნძულის დასავლეთით, სადაც იყო ასაფრენი ბილიკი მარიჯანების ზღურბლზე. ჩვენ ველოდებოდით დაღამებამდე, მაგრამ თვითმფრინავი არ მოფრინდა. ბოლოს გავიგეთ რადიოდან, რომ იქ ქარიშხალი იყო და თვითმფრინავი ვერ აფრინდებოდა. რადიოს მეშვეობით გადავეცით, რომ უკან კატარლით დავბრუნდებოდით და რომ ვინმე დაგვხვდებოდა მულიფანუაში.

როგორც კი გამოვედით სავაისის პორტიდან, 12 მეტრიანი კატარლის კაპიტანმა შეეკითხა მისიის პრეზიდენტს თუ ჰქონდა თან ფანარი. საბედნიეროდ მას ჰქონდა და აჩუქა ის კაპიტანს. ჩვენ გავიარეთ 21

კილომეტრი უპოლოს კუნძულიდან აღელვებულ ზღვაში. არცერთი ჩვენგანი არ ფიქრობდა, რომ მძვინვარე ტროპიკული ქარიშხალი მძვინვარებდა კუნძულზე და ჩვენც ზუსტად იქ მივემართებოდით.

მულიფანაუს ნავსაყუდელში, რომ შევედით საჭირო იყო მარიჯნების რიფებს შორის ერთი ვიწრო შესასვლელის გავლა, ნავს უნდა გაეკლო ეს საშიში კლდეები. შუქურა გორაკზე ნაპირის ზევით და ასევე ქვევით ნაპირზე შუქურა ანიშნებდნენ ვიწრო შესასვლელს. ორი შუქურა უნდა ერთ ხაზზე გამოჩენილიყო ისეთნაირად, რომ ნავი შუქურის მიმართ ყოფილიყო სწორად მიმართული, რომელიც აჩვენებდა შესასვლელს.

მაგრამ იმ ღამეს მხოლოდ ერთი შუქურა ანათებდა. ორი უხუცესი გველოდებოდა ნაპირზე, მაგრამ ჩვენი მგზავრობა მოსალოდნელზე უფრო გრძელი აღმოჩნდა საათები გავიდა კატარდის ან რაიმე ნიშნის ლოდინით და უხუცესები დაიღალნენ და ჩაეძინათ და დავიწყდათ მეორე ქვედა შუქურის ჩართვა, ამის შედეგად არ ჩანდა რიფების გაღმა ნავსაყუდელში შესასვლელი.

კაპიტანი მანევრირებდა კატარლით, როგორც შეეძლო, ნაპირიდან ერთი შუქურის მიმართებით იმ დროს, როდესაც ეკიპაჟის წევრი, ნათხოვი ფანარით წინ ანათებდა ზღვას, რომ კატარდა აერიდებინა კლდეებისათვის. ჩვენ გვესმოდა ტალღების ხმა რიფებზე. როდესაც მივუახლოვდით, რომ დაგვენახა ფანარის მეშვეობით, კაპიტანმა მკაფიოდ შესძახა უკუსვლა და უკან დაიხია, რომ კვლავ ეცადა შესასვლელის პოვნა.

მრავალი მცდელობის შემდეგ, მან უკვე მიხვდა, რომ შეუძლებელი იყო ნავსაყუდელში შესასვლელის პოვნა. ერთადერთი, რაც შეგვეძლო მივსულიყავით აპიას ნავსაყუდელი, რომელიც იმყოფებოდა 64 კილომეტრი დაშორებით. ჩვენ უმწეონი ვიყავით მძვინვარე ბუნების წინააღმდეგ. არ მახსოვს ოდესმე ცყოფილიყავი, სადაც ასე ბნელოდა.

პირველი საათის განმავლობაში ვერ მივცურავდით მიუხედავად იმისა, რომ ძრავი მთელი სიმძლავრით მუშაობდა. კატარდა წვალეებით ადიოდა აზვირთებულ ტალღაზე შემდეგ დაქანცული ჩერდებოდა ტალღის წვერზე

სანავე ხრახნებით წყლის ზევით. ხრახნების ვიბრაცია აზანზარებდა კატარლას ლამის დაშლამდე, სანამ ის არ ჩაეშვებოდა ტალღის მეორე მხარეს.

ჩვენ ვიწეჩით ტვირთის სამაგრზე, ხელებით ჩაჭიდებული ერთი მხრიდან და ფეხის წვერებით თავს ვიმაგრებდით, რომ კატარლის ქიმიდან არ ჩავერეცხეთ ტალღას. ძმა მარკ ლითელფორდს ხელი გაეშვა და ტალღამ მინარცხა დაბალ რკინის მოაჯირს. თავზე ჭრილობა ჰქონდა, მაგრამ მოაჯირი იკავებდა წყალში გადავარდნისაგან.

საბოლოოდ ჩვენ მივადწიეთ დანიშნულების ადგილს და თითქმის დილას შევედით აპიას ნავსაყუდელში. ნავები ერთმანეთზე იყვნენ გადაბმული უსაფრთხოების მიზნით, რამოდენიმე ჩვენს და სანაპიროს შორის იდგა, და ჩვენ ცოცვით გადაკვკვეთეთ ისინი, რათა არ გაგვეღვიძებინა ისინი, ვისაც ნავის გემბანზე ეძინათ. ჩვენ მივედით პასეგაში, გავაშრეთ ტანსაცმელი და გავემართეთ ვალუტაიში, რათა ახალი პალო ჩამოგვეყალიბებინა.

მე არ ვიცი ვინ გველოდებოდა ჩვენ მულიფანუას ნაპირზე. მე არ დავრთე ნება, რომ ჩემთვის ეთქვათ, მაგრამ ჭეშმარიტად შესაძლო იყო, რომ დავკარგულიყავით იმის გამო, რომ არ ენთო ქვემო შუქარა.

ჩვენი ჰიმნების წიგნში არის ძალზედ ძველი და იშვიათი ჰიმნი, რომელსაც ჩემთვის აქვს ძალზედ განსაკუთრებული მნიშვნელობა.

*ნათლად კაშკაშებს ჩვენი მამის მოწყალება  
მისი შუქურადან მარად,  
ის ჩვენ გვაძალებს ნაპირის  
გასწვრივ შუქების დაცვას.  
დაე ანათე ქვემო შუქურავ  
ტალღის გაღმა სინათლისთვის  
ვინმე საწყალი გაჭირვებული მეზღვაური,  
რომ გადაარჩინო და დაიცვა.*

*ბნელი ღამე დადგა ცოდვის  
მძვინვარედ ღრიალებს ზვირთი  
მზურვალე თვალები ეძებენ ლტოლვას  
ნაპირის გასწვრივ შუქურებს.*



ჩემო ძმაო გამორთე ლამპარი  
იძირება გაჭირვებული მეზღვაური  
ცდილობს ნაპირისკენ მოსვლას  
დაიკარგება სიბნელეში.<sup>1</sup>

მე დღეს მივმართავ მათ, ვინც დაკარგულია და ეძებს იმ ქვემო შუქურას, რომ უკან გზა გაუნათოს.

თავიდანვე გასაგები იყო, რომ მოკვდავ ცხოვრებაში ჩვენ სრულყოფილებას ვერ მივადწევდით. არ იყო მოსალოდნელი, რომ ჩვენ ვიცხოვრებდით რაიმე კანონის დარღვევის გარეშე.

„რადგან ბუნებრივი ადამიანი არის ღმერთის მტერი და ასე იყო ადამის დაცემიდან, ასე იქნება მარად და სამარადისოდ, თუკი არ დაემორჩილება სულიწმინდის კარნახს, დაიოკებს ბუნებრივ ადამიანს თავის თავში და გახდება წმინდანი უფალი ქრისტეს გამოსყიდვით.“<sup>2</sup>

ძვირფასი მარგალიტიდან, ჩვენ გვესმის რომ „ვერცერთი უწმინდური ვერ იმყოფება ღმერთის სამეფოში,“<sup>3</sup> და ამიტომ გზა იქნა მოცემული ყველასთვის, ვინც სცოდავს, რომ მოინანიოს და გახდეს მამაზეციერთან ყოფნის ღირსეული კიდევ ერთხელ.

შუამავალი, გამომსყიდველი იქნა არჩეული, ის რომელიც გაივლიდა ცხოვრებას სრულყოფილად, არ ჩაიდენდა ცოდვას და „თავს შესწირავდა ცოდვებისათვის, რომ აღესრულებინა რჯული მათთვის, ვისაც აქვს გატეხილი გული და მომნანიებელი სული და არცერთი სხვისათვის არ აღსრულდება რჯული.“<sup>4</sup>

გამოსყიდვის მნიშვნელობაზე ალმა ასწავლიდა, „ამიტომ გამოსყიდვის შესრულება აუცილებელია; წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი კაცობრიობა გარდაუვალად დაილუპება.“<sup>5</sup>

თუ არ ჩაგიდენიათ შეცდომები, მაშინ არ გჭირდება გამოსყიდვა, თუ შეცდომები გაქვს ჩადენილი და ყველა ჩვენგანს აქვს, პატარა თუ სერიოზული, თქვენ ძალიან გჭირდებათ იმის გარკვევა თუ როგორ შეიძლება მათი მოცილება, რომ აღარ იყოთ სიბნელეში.

„იესო ქრისტე არის მსოფლიოს სინათლე და სიცოცხლე.“<sup>6</sup> როდესაც ჩვენ დაჟინებით შევცქერით მას და მის

სწავლებებს, ჩვენ მიგვიყვანს სულიერი უსაფრთხოების ნავსაყუდელისაკენ.

რწმენის მესამე სიმბოლო აცხადებს, „ჩვენ გვწამს, რომ ქრისტეს გამოსყიდვის მეშვეობით შესაძლებელია მთელი კაცობრიობის გადარჩენა, სახარების კანონების და წესჩვეულებების მორჩილებით.“<sup>7</sup>

პრეზიდენტმა ჯოზეფ ფ. სმითი გვასწავლიდა: „ადამიანს არ შეუძლია საკუთარ თავს შეუნდოს ცოდვები, მას არ შეუძლია თავის განწმენდა საკუთარი ცოდვების შედეგებისგან. ადამიანს შეუძლია აღარ შესცოდოს და სწორად მოიქცეს მომავალში და რამდენადაც მისი ქმედებები მისაღებია უფლისთვის, ის გახდება ღირსეული განხილვისთვის. მაგრამ ვინ უნდა გამოასწოროს ზიანი, რომელიც მათ უკვე მიაყენეს თავიანთ თავს და სხვებს, რაც შეუძლებელია, რომ თვითონ გამოასწორონ? იესო ქრისტეს გამოსყიდვით, მომნანიებელი ცოდვებისგან იქნება განწმენდილი; თუმცა მარწყვივით წითელიც, რომ იყოს, გადაიტყვევა თეთრად, როგორც მატყლი(იხილეთ ისაია 1:18). ეს არის თქვენთვის მოცემული დაპირება.“<sup>8</sup>

ჩვენ არ ვიცით ზუსტად თუ როგორ შეასრულა უფალმა გამოსყიდვა. მაგრამ ვიცით, რომ ჯვარცმის სასტიკი წამება იყო მხოლოდ ერთი ნაწილი იმ საშინელი ტკივილისა, რომელიც დაიწყო გეთსიმანიის ბაღში, ტანჯვის წმინდა ადგილი, რომელიც დასრულდა გოლგოთაზე.

ლუკა წერს:

„თვითონ განშორდა მათ ქვის სასროლ მანძილზე, მუხლი მოიყარა და ლოცულობდა.

„ამბობდა: მამაო! თუ გსურს, ამაცდინე ეს სასმისი, მაგრამ ჩემი ნება კი არა, შენი იყოს

ეჩვენა მას ციდან ანგელოზი და აძლიერებდა.

ამ აგონიაში მყოფი უმხურვალესედ ლოცულობდა. და გახდა მისი ოფლი, როგორც სისხლის მსხვილი წვეთები, რომლებიც მიწაზე ცვიოდა.“<sup>9</sup>

ამგვარად, როგორც მე მესმის არის მხოლოდ ერთი ჩანაწერი სადაც აღწერილია თუ რას ამბობს მხსნელი თვითონ გეთსიმანიის ბაღში გადატანილი. გამოცხადებაში ჩაწერილია:

„რადგან აჰა, მე ღმერთმა ვიტანჯე ეს ყველაფერი ყველასათვის, რომ მათ არ იტანჯონ თუ მოინანიებენ მაგრამ თუ არ მოინანიებენ, ისე უნდა იტანჯონ როგორც მე;

როგორმა ტანჯვამაც მაიძულა მე ღმერთი, ყველაზე დიდი, ავკანკალებულიყავი ტკივილისაგან, და სისხლი მეღვარა ყველა ფორიდან.“<sup>10</sup>

მთელი თქვენი ცხოვრების მანძილზე, თქვენ შეიძლება წახვედით ისეთ ადგილებში, სადაც არ უნდა წასულიყავით და გააკეთეთ ის, რაც არ უნდა გაგეკეთებინათ. თუ თქვენ ზურგს შეაქცევთ ცოდვას, ერთ დღეს თქვენ შესძლებთ გაგებას იმ სიმშვიდის, რომელიც მოდის სრული მონანიების ბილიკის სვლით.

არ აქვს მნიშვნელობა, როგორი დანაშაულები გვაქვს ჩადენილი, არ აქვს მნიშვნელობა რამდენად დავაზარალებთ ჩვენი ქცევით სხვები, ეს დანაშაული შეიძლება წაშლილ იქნას. ჩემთვის ყველაზე მშვენიერი ფრაზა წმინდა წერილებში არის, როდესაც უფალმა სთქვა „აჰა, ვინც მოინანიებს თავის ცოდვებს, მაშინვე შეენდობა და მე უფალს მეტი აღარ მეხსომება ისინი.“<sup>11</sup>

ეს არის დაპირება იესო ქრისტეს სახარების და გამოსყიდვის: რომ მიიღოს ყველა, ვინც მოვა, ყველა ვინც შემოუერთდება და მისცეს გამოცდილების გავლის საშუალება, რათა მათი ცხოვრების ბოლოს, მათ შესძლონ ფარდის იქით გასვლა, თავიანთი ცოდვების მონანიებით, ქრისტეს სისხლით განწმენდით.<sup>12</sup>

ეს არის ის, რასაც უკანასკნელი დღეების წმინდანები აკეთებენ მთელი მსოფლიოს გარშემო ეს არის სინათლე, რომელსაც ჩვენ ვთავაზობთ მათ, ვინც სიბნელეშია და გზა აქვს დაკარგული. სადაც არ უნდა წავიდნენ ჩვენი წევრები და მისიონერები, ჩვენი გზავნილი არის ერთი, რწმენა და იმედი მხსნელი იესო ქრისტეში.

პრეზიდენტი ჯოსეფ ფილდინგ სმითმა დაწერა ლექსი ჰიმნისთვის „ნუთუ გზა გეჩვენება გრძელი?“ ის იყო ჩემი ძვირფასი მეგობარი, ჰიმნი არის მხარდაჭერა და დაპირება მათთვის, ვინც მხსნელის სწავლებებს ეძებს, რომ მიჰყვეს.

ნუთუ გზა გეჩვენება გრძელი  
უხეში და ციცაბო ბილიკი?  
ნუთუ გზაზე ასკილი და ეკალია?  
ნუთუ წვეტიანი ქვეები გესობა ფეხში  
როდესაც ცდილობ მაღლა ასვლას  
სიმაღლეებისკენ დღის სიცხეში?

ნუთუ გული დაგიღონდა  
სულიც იღლება თან  
როდესაც იღწვი შენი საზრუნავისათვის?  
ნუთუ ტვირთია თითქოს მძიმე  
რაც უნდა ასწიო ახლა?  
არ არის ვინმე, რომ ტვირთი გაუნაწილო?

ნუ დასუსტდება გული შენი  
ახლა დაიწყო მოგზაურობა  
არის ერთი, ვინც თავს დაგიკრავს  
ასე რომ, ახედე მაღლა სიხარულით  
და მოჰკიდე მის ხელს ხელი  
ის აგიყვანს ახალ მწვერვალებზე

ღვთიურ მიწაზე და წმინდა,  
სადაც მთავრდება ყველა გასაჭირი  
და ცხოვრება შენი ცოდვისგან თავისუფლდება,  
სადაც აღარ იღვრება ცრემლი  
აღარც დარდი დარჩენილი  
მოჰკიდე მას ხელი ხელში და შედი.<sup>13</sup>

იესო ქრისტეს სახელით, ამინ.

**შენიშვნები**

- |  |  |
|--|--|
| 1. "Brightly Beams Our Father's Mercy,"<br><i>Hymns</i> , no. 335. | 8. <i>Teachings of Presidents of the Church:<br/>Joseph F. Smith</i> (1998), 99–100. |
| 2. მოსია 3:19.   | 9. ლუკა 22:41–44.  |
| 3. მოსე 6:57.  | 10. მოძღვრება და აღთქმები<br>19:16–18.   |
| 4. 2 ნეფი 2:7.   | 11. მოძღვრება და აღთქმები 58:42.   |
| 5. ალმა 34:9.  | 12. იხილეთ გამოცხადება 1:5.  |
| 6. მოსია 16:9.   | 13. "Does the Journey Seem Long?"<br><i>Hymns</i> , no. 127.                         |
| 7. რწმენის სიმბოლოები 1:3.   |  |

---

# ჯერ დააკვირდი, შემდეგ ემსახურე

ლინდა კ. ბერტონი

მოწყალეების საზოგადოების გენერალური პრეზიდენტი

---

ამ პრინციპის გამოყენებით ყოველი  
ჩვენთაგანი შეძლებს უფრო მეტად  
დაემსგავსოს მაცხოვარს მაშინ, როცა ჩვენ  
ღვთის შვილებს ვემსახურებით.

---

ერთ-ერთი უდიდესი დამტკიცება იმისა, რომ ჩვენი საყვარელი წინასწარმეტყველი, პრეზიდენტი თომას ს. მონსონი, უფლის რჩეული მსახურია არის ის, რომ მან ისწავლა მიჰყვეს მაცხოვრის მაგალითს - ემსახუროს ყველას ინდივიდუალურად, რიგ-რიგობით. ისინი ჩვენს შორის, რომლებიც ნათლობის წყალში შევიდნენ, დადეს აღთქმა, აკეთონ იგივე. ამ აღთქმის თანახმად ჩვენ „ყოველთვის გვებხომება მხსნელი და დავიცავთ მის მცნებებს“. <sup>1</sup> მან თქვა: „ეს არის ჩემი მცნება: გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ“. <sup>2</sup>

შენიშნეთ, რომ პრეზიდენტ მონსონის სიტყვები მოიცავს ისეთსავე მოწვევას: „ჩვენს ირგვლივ იმყოფებიან ისინი, ვისაც ჩვენი უურადლება, გამხნელება, მხარში დგომა, ნუგეში და სიკეთე ესაჭიროებათ. . . . ჩვენ აქ, დედამიწაზე, უფლის ხელი ვართ და გვევალება მისი შვილების მსახურება და სულიერი ამაღლება. ის თითოეულ ჩვენთაგანზეა დამოკიდებული“. <sup>3</sup>

გაიგონეთ მოწვევა: გიყვარდეთ ერთმანეთი? ზოგიერთისთვის არ არის ადვილი მიჰყვეს მაცხოვრის მაგალითს ემსახუროს რიგ-რიგობით ყველას. მაგრამ ცხოვრებაში ამ პრინციპის გამოყენებით ყოველი ჩვენთაგანი შეძლებს უფრო მეტად დაემსგავსოს მაცხოვარს

მაშინ, როცა ჩვენ ღვთის შვილებს ვემსახურებით. იმისთვის, რომ უკეთ შევძლოთ ერთმანეთის სიყვარული, მინდა შემოგთავაზოთ დასამახსოვრებლად ოთხი სიტყვა: „ჯერ დააკვირდი, შემდეგ ემსახურე“.

დაახლოებით 40 წლის წინ მე და ჩემი მეუღლე პარასკევს ტაძარში წავედით. ჩვენ სულ ცოტახნის შეუღლებულები ვიყავით და მე ძალიან ვღელავდი, რადგან სატაძრო მსახურების გამოცდილება თითქმის არ მქონდა. ეს ტაძარში ჩემი, როგორც ახალდაქორწინებულის, მხოლოდ მეორე მისვლა იყო. ერთ-ერთმა ჩემს გვერდით მჯდომარე დამ ეს შენიშნა. ის ჩემსკენ გადმოიხარა და მოწიწებით ჩამჩურჩულა: „ნუ ნერვიულობთ, მე დაგეხმარებით“. მე დავწყნარდი და სატაძრო მსახურების სესიის დარჩენილი ნაწილით ვისიამოვნე. ეს ქალბატონი ჯერ აკვირდებოდა, შემდეგ მსახურება გაუწია.

ჩვენ ყველანი მოგვიწვიეს, მივყვეთ იესოს სწავლებას და სხვებს ვემსახუროთ. ეს მოწვევა არ შემოიფარგლება ანგელოზი დებით. როცა გიზიარებთ ეკლესიის წევრების ყოველდღიურ გამოცდილებას, რომელთაც ჯერ დააკვირვება, შემდეგ მსახურება ისწავლეს, გთხოვთ შენიშნოთ იესოს სწავლებანი, რომლებსაც ისინი ამ მაგალითებში ამჟღავნებენ.

ექვსი წლის ბავშვმა პირველადი საზოგადოებიდან თქვა: „როცა კლასის დამხმარეთ დამნიშნეს, მე უნდა ამერჩია ბავშვი, რომელიც ჩემთან იმუშავებდა. მე ავირჩიე ბიჭი, რომელიც ყოველთვის მოჩხუბარი იყო, იმიტომ, რომ მას სხვები არასოდეს ირჩევდნენ. მე მინდოდა მისთვის მესიამოვნებინა“.<sup>4</sup>

რა შენიშნა ბავშვმა? ის, რომ კლასის მოჩხუბარს არასდროს არ ირჩევდნენ. რა გააკეთა მან მსახურების თვალსაზრისით? მან უბრალოდ აირჩია ის, რომ მასთან ერთად ემუშავა კლასში. იესო გვასწავლის: „გიყვარდეთ თქვენი მტრები, დალოცეთ თქვენი მაწყევრები, სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს“.<sup>5</sup>

ერთ მეურვეობაში აარონის მღვდლობის მატარებლები ჯერ დააკვირდნენ, ახლა კი მნიშვნელოვან მსახურებას ეწევიან. ყოველ კვირას ახალგაზრდა მამაკაცები ადრე მოდიან და ნებისმიერ ამინდში - წვიმაში, თოვლში ან

პაპანაქება სიცხეში, სამლოცველოს გარეთ დგანან და ელოდებიან მეურვეობის მოხუცებული წევრების მოსვლას. მათ მანქანიდან ეტლი ან ყავარჯნები გადმოაქვთ, ხელს უწვდიან და მოთმინებით აცილებენ ჭადარა თმიან ადამიანებს შენობაში. ისინი ღვთის წინაშე ნამდვილად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. როცა აკვირდებიან და შემდეგ მსახურებას უწევენ, ისინი მხსნელის სწავლების ცოცხალი მაგალითები ხდებიან: „რაც გაუკეთეთ ერთს ამ ჩემს უმცირესს ძმათაგანს, მე გამიკეთეთ“.<sup>6</sup> ახალგაზრდების ახალი სასწავლო პროგრამის ამოქმედებისას, მათი თვალები კიდევ არა ერთ ქრისტიანულ მსახურების შესაძლებლობას დაინახავენ.

დაკვირვება და მსახურება ზოგჯერ დიდ მცდელობას მოითხოვს. შთაგონებულმა ახალგაზრდა ქალბატონმა, სახელად ალექსანდრიამ, შენიშნა, რომ მისი ნათესავი, მედისონი, ვერ ასრულებდა „პირადი წინსვლის“ მოთხოვნილებებს აუტიზმის მძიმე ფორმის გამო. ალექსანდრიამ თავისი მრევლის ახალგაზრდა ქალები შეკრიბა, ითათბირა ხელმძღვანელებთან და გადაწყვიტა, რადაცით დახმარებოდა მედის. ყოველმა ახალგაზრდა ქალმა მედის მაგივრად შეასრულა „პირადი წინსვლის“ ღონისძიებებისა და პროექტების ნაწილი იმისთვის, რომ მას პირადი მედალიონის აღება შეეძლებოდა.<sup>7</sup>

ეს ახალგაზრდა ქალები მშვენივრად შეითავსებენ დედობისა და მოწყალეების საზოგადოების დების ფუნქციებსაც, რადგან ისინი სწავლობენ ჯერ დაკვირვებას, შემდეგ მოწყალეობით მსახურებას.

პრეზიდენტმა მონსონმა შეგვახსენა, რომ მოწყალეობა, „ქრისტეს წმინდა სიყვარული“<sup>8</sup>, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაკვირვება და მსახურება, „ამკარა ხდება მაშინ, როცა მოხუცი ქვრივი არ ავიწყდებათ მრევლის ფუნქციებში ჩასართავად“ ან მაშინ, „როცა მოწყალეების საზოგადოებაში განცალკევებით მჯდომარე დას პატიჟებენ სიტყვებით: ‘მოდით, ჩვენთან დაჯექით’“.<sup>9</sup> აქ ოქროს წესი უნდა გამოვიყენოთ: „ყველაფერში, როგორც გინდათ, რომ მოგეჭვენ ადამიანები, ისე მოექცით მათ“.<sup>10</sup>

დაკვირვებული ქმარი ორ მნიშვნელოვან საქმეში მსახურობდა. ის იხსენებს:

„ერთხელ კვირას მე პირველად საზოგადოებაში, სადაც ბევრი ენერგიული შვიდი წლის ბავშვები იყვნენ, მეუღლეს ვეხმარებოდი. როცა საერთო საბავშვო შეკრება დაიწყო შევნიშნე, რომ ერთ-ერთი გოგონა სკამზე მოკუნტული იჯდა. ცხადი იყო, რომ ის ცუდად გრძნობდა თავს. სულიწმინდამ ჩამჩურჩულა, რომ მას ნუგეში სჭირდებოდა. მე მას მივუჯექი და ჩუმიად ვკითხე, რაში იყო საქმე. მან არ მიპასუხა. . . , ასე რომ მე დაბალ ხმაზე წამოვიწყე მისთვის სიმღერა.

„პირველადი საზოგადოება ახალ სიმღერას სწავლობდა და როცა ჩვენ ვიმღერეთ ‘თუ გულით მოვისმენ მხსნელის ხმას გავიგონებ’ მე სულში არაჩვეულებრივი სინათლე დავინახე და აუღწერელი სიტბო ვიგრძენი. . . მე მივიღე პირადი მოწმობა მაცხოვრის სიყვარულზე ამ გოგონასა და ჩემს მიმართ. . . მე გავიგე, რომ როცა ერთს ვემსახურებით, ჩვენ მაცხოვრის ხელი ვართ“.<sup>11</sup>

ამ ქრისტესეულმა ადამიანმა არა მხოლოდ ის შენიშნა, რომ მის მეუღლეს შვიდი წლის ენერგიულ ბავშვებთან დახმარება დაჭირდა, არამედ ისიც, რომ ერთ გარკვეულ ბავშვს სჭირდებოდა დახმარება. ის მიჰყვა მაცხოვრის მაგალითს, სადაც ის გვასწავლა: „რასაც კი ხედავდით მე ვაკეთებდი, თქვენც გააკეთეთ“.<sup>12</sup>

წყალდიდობამ ბოლოხანებში იესო ქრისტეს მოწაფეებს საშუალება მისცა, ჯერ დაკვირვებოდნენ და შემდეგ ემსახურათ. მამაკაცები, ქალები, მოზარდები და ბავშვები ხედავდნენ იმას, თუ როგორ ინგრეოდა სახლები და ნადგურდებოდა ბიზნესი. მათ ყველაფერს დაანებეს თავი, რათა აღდგენასა და დასუფთავების საქმეში გაეწიათ დახმარება. ზოგიერთმა შენიშნა, რომ ვიღაცას სარეცხის გარეცხვაში ესაჭიროებოდა დახმარება, ზოგი გულმოდგინედ წმენდდა სურათებს, საბუთებს, წერილებს და სხვა მნიშვნელოვან ქაღალდებს, შემდეგ ფრთხილად კიდებდნენ მათ თოკზე გასაშრობად. ჯერ დაკვირვება და შემდეგ მსახურება ყოველთვის არ არის მოხერხებული და ჩვენს განრიგზე მორგებული საქმე.

სად იპოვით „ჯერ დააკვირდი, შემდეგ ემსახურეს“-თვის იმაზე კარგ ადგილს, ვიდრე ოჯახი? უხუცეს რიჩარდ ჯ. სკოტის ცხოვრებიდან აღებული მაგალითი გვიჩვენებს:



„ერთხელ ჩვენმა პატარა ბიჭმა, რიჩარდმა, რომელსაც გულის პრობლემა ჰქონდა, შუალამისას გამოიღვიძა და ტირილი დაიწყო. ჩვეულებრივ ჩემი მეუღლე დგებოდა ბავშვის მისახედად, მაგრამ ამჯერად მე ვთქვი: ‘მე მივხედავ’.

„რადგან ბავშვს გული აწუხებდა, ტირილის დროს მას გული ძალიან უჩქარდებოდა, პირღებინება ეწყებოდა და თეთრეულს სვრიდა. იმ ღამით მე ის ჩავიხუტე და ვცდილობდი დამეწყნარებინა, თან ტანსაცმელსა და თეთრეულს ვუცვლიდი. სანამ ბავშვმა არ დაიძინა, მე ის ხელში მეჭირა. მაშინ არ ვიცოდი, რომ სულ რამოდენიმე თვის შემდეგ ის გარდაიცვლებოდა. მე ყოველთვის მეხსომება ის, როგორ მეჭირა შუალამეს ხელში შვილი“.<sup>13</sup>

იესომ თქვა: „ვისაც თქვენს შორის დიდობა სურს, თქვენი მსახური იყოს“.<sup>14</sup>

ზოგჯერ ჩვენ მსახურებას ვუწევთ იმ ხერხით, რა ხერხითაც ჩვენ გვსურს და არა ისე, როგორც საჭიროება მოითხოვს. როცა უზუცესმა რობერტ დ. ჰეილსმა გვასწავლა წინდახედული ცხოვრების წესი, მან გაგვიზიარა ერთი მაგალითი. მან მეუღლისთვის საჩუქრის ყიდვა მოინდომა, მაგრამ მეუღლემ ჰკითხა: „შენ ამას ჩემთვის აკეთებ თუ შენთვის“?<sup>15</sup> თუ ჩვენ გადავიტანთ ამ კითხვას ჩვენს მსახურებაზე და ვკითხავთ საკუთარ თავს: „მე ამას ჩემი თავისთვის ვაკეთებ თუ მაცხოვრისთვის“? ჩვენს მსახურებას მაცხოვრის მსახურების აზრი მიეცემა. მაცხოვარმა იკითხა და ჩვენც უნდა დავსვათ ეს კითხვა: „რა გინდათ, რომ გაგიკეთოთ“?<sup>16</sup>

რამოდენიმე კვირის წინ მე განსაკუთრებით დაკავებული ვიყავი. დღის განრიგში უამრავი აუცილებელი საქმე მქონდა. ტაძარშიც მინდოდა წასვლა იმ დღეს, მაგრამ ვიფიქრე, რომ ძალიან დაკავებული ვიყავი. როგორც კი აზრად მომივიდა, რომ სატაძრო მსახურებისთვის არ მეცალა, იმწუთას გამოვფხიზლდი და გავიხსენე, რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი. მე გამოვედი ოფისიდან და სოლთ ლეიქის ტაძრისკენ გავემგზავრე, გზად კი ვფიქრობდი, როგორ უნდა გამომეძებნა დრო დარჩენილი საქმეების შესასრულებლად. მადლობელი ვარ უფლის

მოთმინებისა და მოწყალებისთვის. მან იმ დღეს მე შესანიშნავი გაკვეთილი მასწავლა.

როცა სესიის ჩასატარებელ ოთახში დავჯექი, ვინმე ახალგაზრდა და გადმოიხარა ჩემსკენ და მოწიწებით მომმართა ჩურჩულით: „მე ისე ვნერვიულობ. ეს ჩემი მეორე ჯერია ტაძარში. შეგიძლიათ, დამეხმაროთ?“ მან რა იცოდა, რომ ზუსტად ამ სიტყვების გაგონება მჭირდებოდა? არ იცოდა მან, მაგრამ იცოდა ზეციერმა მამამ. მან დაინახა ჩემი გაჭირვება. მე მსახურება მჭირდებოდა. მან შთააგონა ეს მორჩილი ახალგაზრდა და მემსახუროს იმით, რომ მე გავუწიო მას მსახურება. მე გარწმუნებთ, რომ ყველაზე დიდი სარგებელი ამით მე მივიღე.

მე დიდი მაღლიერებით ვუხრი ქედს იმ მრავალ ქრისტესეულ ადამიანს, რომელნიც წლების განმავლობაში ემსახურებოდნენ ჩვენს ოჯახს. გულწრფელ მაღლობას ვუხდი ჩემს საყვარელ მეუღლეს და ოჯახს, რომელნიც უანგაროდ და დიდი სიყვარულით მსახურობენ.

მოდით ყველა შევეცადოთ ჯერ დავაკვირდეთ, შემდეგ ვემსახუროთ. როცა ასე მოვიქცევით, ჩვენ დადებული აღთქმის ერთგულნი ვიქნებით და ჩვენი მსახურება, ისევე, როგორც პრეზიდენტ მონსონის მსახურება, ჩვენი მოწაფეობის დამოწმება იქნება. მე ვიცი, რომ მხსნელი ცოცხალია. მისი გამოსყიდვის წყალობით ჩვენ მისი სწავლებით ვცხოვრობთ. პრეზიდენტი მონსონი არის ჩვენი წინასწარმეტყველი. იესო ქრისტეს სახელით, ამინ.

**შენიშვნები**

- |  |  |
|--|--|
| 1. მოძღვრება და აღთქმები 20:77.  | <i>Kingdom: The History and Work of Relief Society</i> (2011), 101.  |
| 2. იოანე 15:22.  |  |
| 3. თომას ს.მონსონი, “What Have I Done for Someone Today?” <i>Liahona</i> , ნოემბერი 2009, 86.                      | 10. 3 ნეფი 14:12.  |
| 4. ქენიონ ჰ., “A Good Choice,” <i>Friend</i> , იანვარი 2012, 31.   | 11. Al VanLeeuwen, “Serving the One,” <i>Liahona</i> , Aug. 2012, 19; see also Sally DeFord, “If I Listen with My Heart,” <i>2011 Outline for Sharing Time</i> , 28. |
| 5. მათე 5:44.  |  |
| 6. მათე 25:40.   | 12. 3 ნეფი 27:21.  |
| 7. იხ. “For Madison,” <a href="http://lds.org/youth/video/for-madison">lds.org/youth/video/for-madison</a> .       | 13. რიჩარდ ჯ.სკოტი: “The Eternal Blessings of Marriage,” <i>Liahona</i> , May 2011, 96.  |
| 8. მორონი 7:47.  |  |
| 9. თომას ს.მონსონი, “Charity Never Faileth,” <i>Liahona</i> , ნოემბერი 2010, 125; იხ. ასევე <i>Daughters in My</i> | 14. მათე 20:26.  |

15. რობერტ დ. ჰეილსი, "Becoming Provident Providers Temporally and Spiritually," *Liahona*, მაისი 2009, 9.
16. მათე 20:32.

---

# გულით შეცნობა

უხუცესი უოლტერ ფ. გონსალესი

სამოცდაათიანელთა ჭკორუმის პრეზიდენტობიდან

---

*ქრისტესთან მოსვლის ერთ-ერთი გზა არის  
არსებითი ჭეშმარიტების გულით ძებნა.*

---

„მოდით ჩემთან, რათა შეიგრძნოთ და დაინახოთ“. <sup>1</sup> ეს მცნება დაუტოვა ქრისტემ ამერიკის ძველ მცხოვრებლებს. მათ დაინახეს და საკუთარი ხელებით იგრძნეს, რომ იესო იყო ქრისტე. მცნება, რომელიც მათ მიიღეს, დღეს ჩვენთვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ის იყო მაშინ, მათთვის. როდესაც ჩვენ ქრისტესთან მოვდივართ, შეგვიძლია ვიგრძნოთ და „დავრწმუნდეთ“<sup>2</sup> - არა ხელებითა და თვალებით, მაგრამ გულით და გონებით, რომ იესო არის ქრისტე.

ქრისტესთან მოსვლის ერთ-ერთი გზა არის არსებითი ჭეშმარიტების გულით ძებნა. ამ დროს ღვთისგან მოსული გრძნობები მოგვცემენ იმ ცოდნას, რომლის პოვნაც სხვა საშუალებებით შეუძლებელია. მოციქულმა პეტრემ იცოდა, რომ იესო იყო ქრისტე, ცოცხალი ღვთის ძე. მაცხოვარმა აგვიხსნა, რომ პეტრეს ცოდნის წყარო იყო „არა ხორცი და სისხლი. . . არამედ ზეციური მამა“. <sup>3</sup>

წინასწარმეტყველმა აბინადაიმ აგვიხსნა იმ გრძნობების მნიშვნელობა, რომლებსაც ღმერთისგან გულში ვიღებთ. ის გვასწავლიდა, რომ ჩვენ ვერ გავიგებთ წმინდა წერილს, თუკი ამ საქმეს გულს არ დაუდებთ.<sup>4</sup>

ეს ჭეშმარიტება კარგად არის ჩამოყალიბებული ანტუან დე სენტ ეკზიუპერის ცნობილ საბავშვო წიგნში „კატარა უფლისწული“. იქ კატარა უფლისწული უმეგობრდება მელიას. დამშვიდობებისას მელიამ კატარა უფლისწულს საიდუმლო გაანდო. მან თქვა: „აი ჩემი საიდუმლო: . . . :

მხოლოდ გული ხედავს კარგად, თვალს არ ძალუძს დაინახოს ის, რაც მთავარია და არსებითი”.<sup>5</sup>

ოთხმოცდა რვა წლის თომას კოელიო არის კარგი მაგალითი იმისა, ვინც გულით დაინახა არსებითი რამ. იგი იყო ურუგვაიში პეისანდუს უმაღლესი საბჭოს ერთგული წევრი. სანამ ის ეკლესიის წევრი გახდებოდა, მას ავარია მოუხდა მოტოციკლეტით. როდესაც ის მიწაზე იწვა და ვერ დგებოდა, ორმა მისიონერმა ის ფეხზე წამოაყენეს და სახლამდე მისვლაში დაეხმარნენ. ძმა კოელიომ თქვა, რომ მან რაღაც განსაკუთრებული იგრძნო, როცა მისიონერები მის დასახმარებლად მოვიდნენ. მოგვიანებით მან კვლავ ძლიერი გრძნობა განიცადა, როდესაც მას მისიონერები გაკვეთილებს უტარებდნენ. ამ გრძნობების შედეგი კი ეს იყო: მან სულ რამოდენიმე დღეში თავიდან ბოლომდე წაიკითხა მორმონის წიგნი. იგი მოინათლა და იმ დღიდან დაუღალავად მსახურობდა. მე მახსოვს, როგორ დადიოდა ის მოტოციკლეტით აღმა და დაღმა ჩვენი ქალაქის ქუჩებში, ცივ და წვიმიან ზამთრის დღეებშიც კი. მას სურდა სხვებსაც, მის მსგავსად, ეგრძნოთ, ენახათ და დანამდვილებით ცოდნოდათ ის, რაც მან იცოდა და მოსულიყვნენ ეკლესიაში.

დღეს ჩვენს ირგვლივ იმდენი ინფორმაციაა, რომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მილიონობით ვებ-გვერდების გახსნით მივიღებთ ყველაფერს, რისი ცოდნაც კი საჭიროა. ჩვენ ვებ-გვერდზე შეგვიძლია როგორც კარგი, ასევე ცუდი ინფორმაციის პოვნა, მაგრამ თვითონ ინფორმაცია როდია საკმარისი? ღმერთმა მოგვცა ცოდნის უფრო დიდი წყარო,<sup>6</sup> წყარო, რომელიც უშუალოდ ზეციდან მოდის. მამაზეციერს შეუძლია მოგვცეს ასეთი ცოდნა მაშინ, როცა ჩვენ საკუთარი გულისა და გონების ცელესტიალურ ვებ-გვერდებს ვხსნი. წინასწარმეტყველმა ჯოზეფ სმითმა თქვა, რომ მას „გულში ჰქონდა უძველესი წიგნი, თვით სულიწმინდის ძღვენი“.<sup>7</sup>

ჩვენ ამ ცელესტიალურ წყაროზე ხელი მიგვიწყვდება მაშინ, როცა წმინდა წერილებს ვკითხულობთ, ცოცხალი წინასწარმეტყველების სიტყვას ყურს ვუგდებთ და ვლოცულობთ. მნიშვნელოვანია გაჩერდეთ<sup>8</sup>, იგრძნო და მიჰყვე ცელესტიალურ კარნახს. როცა ასე ვიქცევით, ჩვენ „ვიგრძნობთ და დავინახავთ“ იმას, რისი სწავლაც

შეუძლებელია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. ერთხელ თუ მივიღებთ ცელესტიალურ ვებ-გვერდზე ძებნის გამოცდილებას, ჩვენ ამოვიცნობთ ჭეშმარიტებას მაშინაც, კი, როცა ვკითხულობთ საერო ისტორიას ან სხვა რაიმე მასალებს. ჭეშმარიტების პათიოსანი მაძიებლები შეიცნობენ ჭეშმარიტებას ყოველივეზე სული წმინდის ძალით.<sup>9</sup>

ახლა კი მინდა გაგაფრთხილოთ: ამ ცელესტიალურ ვებ-გვერდზე შესვლა რთულდება ბოროტებისა და უფლის დავიწყების გამო. ნეფიმ უთხრა თავის ძმებს, რომ ისინი „ვერ გრძნობდნენ უფლის სიტყვებს“, რადგან ისინი იყვნენ „მკვირცხლნი ურჯულოების ჩადენაში, მაგრამ ზანტნი უფლის გახსენებაში“<sup>10</sup>. ურჯულოება ხელს გვიშლის იმაში, რომ ვიხილოთ, ვიგრძნოთ და სხვები შევიყვაროთ. იყო მკვირცხლი უფლის ხსენებაში „მთელი გულით“<sup>11</sup> ლოცვით და ჩვენი სულიერი გამოცდილების გახსენებით, ხელს გვიწყობს იმაში, რომ დავინახოთ და ვიგრძნოთ ის, რაც ქრისტესგან არის. ახლა გეკითხებით:

- გახსოვთ სიმშვიდე, რომელიც იგრძენით, როცა დიდი უბედურების შემდეგ, თქვენ ძლიერი ლოცვით შეჭლადადეთ მამაზეციერს?
- გახსოვთ თქვენი დღის განრიგის შეცვლა გულიდან მიღებული კარნახის გამო?

უდიდესი ადამიანები მორმონის წიგნიდან ახერხებდნენ ცოდნის გაღრმავებას იმით, რომ ახსენებდნენ საკუთარ თავს საუკეთესო სულიერ გამოცდილებებს. ალმა აძლიერებდა შვილებს იმით, რომ ახსენებდა მათ თავის რწმენაში მოქცევის გამოცდილებას.<sup>12</sup> ჰელამანი ასწავლიდა ნეფის და ლეხის, ახსოვდეთ, რომ მათ საძირკველი უნდა ააშენონ ქრისტეს კლდეზე იმისთვის, რომ ეშმაკს არ ჰქონოდა მათზე ძალა.<sup>13</sup> ფიქრი ღმერთზე გვეხმარება ცხოვრებაში და შეგრძნებებში. ეს უფრო ღრმა მნიშვნელობას აძლევს მეფე ბენიამენის სიტყვებს, რომელმაც თქვა: „გახსოვდეს, ადამიანო, და არ დაიღუპო თავი“.<sup>14</sup>

ერთ-ერთი ყველაზე წმინდა მოგონება, რომელსაც სათუთად ვეპყრობი, არის გრძნობა, როდესაც გავიგე, რომ

მორმონის წიგნი იყო ღვთის სიტყვა. მე გავიგე, რომ შეგვიძლია განვიცადოთ სიტყვებით აულწერელი სიხარული. იმ დღეს, მუხლმოდრეკილმა ვიგრძენი და დანამდვილებით ვიცოდი ის, რასაც სხვა გზით ვერ ვისწავლიდი. ასეთი მოგონება არის ამ ცხოვრებაში ჩემი მარადიული მადლიერების მიზეზი და ის, რაც მადლიერებს მაშინ, როცა სირთულეების წინაშე ვდგავარ.

მათ, ვინც იღებენ ცოდნას - არა სისხლისგან და ხორცისგან, მაგრამ ზეციერი მამისგან, დანამდვილებით ეცოდინებათ, რომ იესო არის ქრისტე და ეს მისი ეკლესიაა. ამ ცოდნას მოაქვს ძალა იმ ცვლილებების მოსახდენად, რომლებიც ქრისტესთან მიგვიყვანენ. ამ მიზნით ჩვენ ვიწვევთ ყოველ სულს მოინათლოს, მოინანიოს და უფლისკენ შემობრუნდეს.<sup>15</sup>

ქრისტესთან მისვლით, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია დანამდვილებით დაინახოს, იგრძნოს და დარწმუნდეს იმაში, რომ ქრისტე დაიტანჯა და გამოისყიდა ჩვენი ცოდვები, რათა მარადიული ცხოვრების ღირსნი გავხდეთ. თუ მოვინანიებთ, უაზროდ არ დავიტანჯებით. <sup>16</sup> მისი წყალობით ტანჯული სული და მოდრეკილი გული განიკურნება. არ არის ტვირთი, რომლის შემსუბუქება ან მოცილება მას არ შეეძლოს. მან იცის ჩვენი სისუსტეები და ავადმყოფობა. მე გპირდებით და ვმოწმობ, რომ როდესაც გეჩვენებათ, რომ ყველა კარი დაიკეტა, რომ ყველაფერი ჩაიშალა, ის თქვენ არ მიგატოვებთ. ქრისტე დაგეხმარებათ და იგი არის ხსნის გზა, იქნება ეს ცუდი ჩვევა, დეპრესია ან რაიმე სხვა გასაჭირი. მან იცის, როგორ დაეხმაროს „თავის ხალხს“. <sup>17</sup> მეუღლეები ან ოჯახები, რომლებიც რაიმე მიზეზის გამო რთულ პერიოდს გადიან -არის ეს ეკონომიური, ოჯახური პირობები ან მასმედიის გავლენა, ზეციდან იგრძნობენ დამაწყნარებელ ძალას. დამამშვიდებელია „იგრძნო და დაინახო“ ის, რომ იგი მკვდრეთით აღსდგა „მის ფრთებში არსებული განკურნების ძალით“<sup>18</sup> და რომ მის გამო ჩვენ შევძლებთ კვლავ შევხვდეთ და გულში ჩავიკრათ ისინი, ვინც იმ ქვეყნად არიან. ჭეშმარიტად, ჩვენი მისკენ მოქცევა დაჯილდოვებულია ჩვენი განკურნებით.<sup>19</sup>

მე დანამდვილებით ვიცი, რომ ეს ჭეშმარიტებაა. ამ მიზნის გამო მე ვუერთდები ამერიკის ძირძველ მცხოვრებთა შეძახილს „ოსანა! ნეტარ იყოს მაღალი ღმერთის სახელი!“<sup>20</sup> მას მოაქვს ჩვენთვის ხსნა. მე ვმოწმობ, რომ იესო არის ქრისტე, წმინდა მესია. ის არის მეფე ცაბათი, ჩვენი მხსნელი და გამომსყიდველი. იესო ქრისტეს სახელით, ამინ.

**მენიშვნები**

- |   |   |
|---|---|
| 1. 3 ნეფი 18:25.  | 10. 1 ნეფი 17:45.                         |
| 2. 3 ნეფი 11:15.  | 11. მორონი 7:48.                          |
| 3. იხ. მათე 16:16–17.   | 12. იხ.ალმა 36:5–24; 38:6–9.              |
| 4. იხ. მოსია 12:27.   | 13. იხ.ჰელამანი 5:12.1v26.1               |
| 5. ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი, კატარა უფლისწული, კატერინ ვუდსის თარგმანი (1971), 87 | 14. მოსია 4:30.                           |
| 6. იხ.ეთერი 4:13.   | 15. იხ.3 ნეფი 9:13.                       |
| 7. <i>Teachings of Presidents of the Church: Joseph Smith</i> (2007), 132.        | 16. იხ. მოძღვრება და აღთქმები 19:16.      |
| 8. იხ. მოძღვრება და აღთქმები 101:16.  | 17. ალმა 7:12.                            |
| 9. იხ. მორონი 10:3–5.   | 18. 2 ნეფი 25: 13; იხ. ასევე3 Nephi 25:2. |
|   | 19. იხ.2 ნეფი 16:10; 3 Nephi 9:13.        |
|   | 20. იხ.3 ნეფი 11:15–17.                   |



---

# პირველი დიდი მცნება

უხუცესი ჯეფრი რ. ჰოლანდის მიერ  
თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან

---

*ჩვენ ერთგულ მოწაფედ უნდა ვიცხოვროთ,  
რათა ვაჩვენოთ ჩვენი სიყვარული უფალს.*

---

არ არსებობს ისტორიაში ისეთი ჯგუფი რომლის მიმართაც მქონდეს ასეთ სიმპათია როგორც მაქვს დარჩენილ თერთმეტი მოციქულის მიმართ, იმას შემდეგ რაც იხილეს მსოფლიოს მხსნელის სიკვდილი, აღდგომა და ამადლება. ვფიქრობ ხანდახან გვაკვირდება თუ როგორი გამოუცდელი იყვნენ და რამდენად დიდად დამოკიდებულები იყვნენ იესოზე. მათ გამო მას ხშირად უთქვია: „რა ხანია, თქვენთან ვარ და ვერ მიცნობ. . . ?“<sup>1</sup>

მაგრამ რატომ უნდა მათთვის არ იმყოფებოდა მათთან საკმარისად დიდი ხანი. ტრადიციით ჩვენ ვარაუდობთ, რომ იესოს ამქვეყნიური მსახურობა გრძელდებოდა სამი წლის განმავლობაში. ეს არ იყო საკმარისი დრო, რომ ახლადმოქცეულების პატარა ჯგუფიდან მოეწოდებინა მთელი თორმეტი მოციქულის ქვორუმი, განეწმინდა მათში ძველი სწავლებების შეცდომები, ესწავლებინა იესო ქრისტეს სახარების საოცრებები და დაეტოვებინა, რათა გაეგრძელებინათ სამუშაო იქამდე, სანამ მათაც მოკლავდნენ. საკმაოდ რთული და არამყარ პერსპექტივა ახლად დანიშნული უხუცესებისათვის.

განსაკუთრებით რომ მარტო უნდა დარჩენილიყვნენ. იესო კვლავდაკვლავ უმეორებდა მათ, რომ ის მათთან არ იქნეოდა ფიზიკურად, მაგრამ მათ ან არ ესმოდათ ან არ უნდოდათ ასეთი სევდიანი აზრის გაგება. მარკოზი წერს:

„ასწავლიდა თავის მოწაფეებს და ეუბნებოდა: კაცის ძე გადაცემულ იქნება კაცთა ხელში, მოკლავენ მას და მესამე დღეს აღდგება.“

„მათ ვერ გაიგეს ეს სიტყვები და ეშინოდათ, რომ შეკითხოდნენ მას.“<sup>2</sup>

სასწავლებლად და მოსამზადებლად ასეთი მოკლე ხანის შემდეგ, მოხდა წარმოუდგენელი, ახდა დაუჯერებელი, მათი უფალი და მოძღვარი, მრჩეველი და მეფე ჯვარს აცვეს. მისი ამქვეყნიური სამსახური დასრულდა. ისინი იყვნენ მისი აღდგომის მოწმენი, მაგრამ მათთვის ეს იყო, რაღაც გაუაზრებელი. რათქმაუნდა არცერთ ჩვენგანს შეუძლია გაიგოს მათი პირადი გრძნობები, ერთობლივი შეცბუნება, რომელიც ამ ადამიანებმა განიცადეს, როდესაც ფიქრობდნენ: „ახლა რა უნდა ვქნათ?“ პასუხისთვის მათ მიმართეს მთავარ მოციქულს პეტრეს.

აქ მინდა შემინდოთ, რადგან ვაპირებ ჩემებურად და არა წმინდა წერილით გამოვხატო ეს საუბარი. პეტრემ თავის ამხანაგებს უპასუხა: „ძმებო, ეს იყო ბრწყინვალე სამი წელი, ვერცერთი ჩვენთაგანი, რამოდენიმე თვის წინ ვერ წარმოიდგენდა, იმ საოცრებებს, რაც ჩვენ ვიხილეთ და ღვთაებას, რითაც დავტკბით. ჩვენ ვლაპარაკობდით, ვლოცულობდით და ვშრომობდით, თვით ღმერთის ძესთან, მასთან ერთად დავდიოდით და ვჭვითინებდით, და იმ საშინელი დასასრულის ღამე, არავინ ტიროდა ჩემზე მეტად. მაგრამ ეს დასრულდა, მან დაასრულა თავისი სამუშაო და აღსდგა საფლავიდან, მან გამოიხსნა თავისი თავი და ჩვენ. თქვენ მეკითხებით, „ახლა რა ვქნათ?“ მე არ ვიცი გარდა იმისა, რომ გითხრათ დაუბრუნდით თქვენ წარსულ ცხოვრებას და გაიხარეთ. მე კი ვაპირებ ვაკეთო ის, რაც ვიცი ყველაზე კარგად, მე 'სათევზაოდ მივდივარ'“. და არანაკლებ ექვსი დარჩენილი მოციქული დაეთანხმა და სთქვეს, „ჩვენც წამოგყვებით“. იოანე, რომელიც იყო მათთან წერს, „გავიდნენ და ჩასხდნენ ნავში.“<sup>3</sup>

მაგრამ თევზაობა ვერ გამოდიოდა. ტბაზე, რომ პირველად დაბრუნდნენ, იმ ღამეს ვერაფერი დაიჭირეს, არც ერთი თევზი. გარიჟრაჟის შუქზე ისინი დაღონებულნი მობრუნდნენ ნაპირისაკენ, სადაც მათ შორიდან დაინახეს ვიღაც რომელმაც მათ დაუძახა „შვილებო, რამე თუ დაიჭირეთ?“ დაღონებულმა მოციქულებმა, რომლებიც კვლავ მეთევზეები გახდნენ გასცეს პასუხი, რომელიც არცერთ მეთევზეს არ სურს, რომ სთქვას, „ვერაფერი ვერ

დავიჭირეთ,“ და ნაიარებზე მარილივით მოესმათ „შვილებო.“<sup>4</sup>

უცნობმა უთხრა „ისროლე ბადე ნავის მარჯვენა მხარეს და იპოვით,“<sup>5</sup> და ამ უბრალო სიტყვებით მათ იცნეს ის. სამი წლის წინ ზუსტად ეს ადამიანები ამავე ტბაში იჭერდნენ თევზს. იმ დღესაც ისინი „მთელი ღამე შრომობდნენ და ვერაფერი დაიჭირეს,“<sup>6</sup> წმინდა წერილი გვეუბნება, რომ ვინმე თანაგალილეულმა ნაპირიდან დაუძახა, რომ ესროლათ ბადე და მათ დაიჭირეს „დიდი რაოდენობით თევზი,“<sup>7</sup> ისე, რომ ბადე ეხეოდათ, მეორე ნავშიც გაავსეს იმდენად, რომ კინალამ ჩაიძირნენ.

ახლა კვლავ იგივე მეორდებოდა. ამ „შვილებმა,“ როგორც მან სწორად უწოდა, ისროლეს ბადე „და ვეღარ გამოათრიეს თევზის სიმრავლის გამო.“<sup>8</sup> იოანემ სთქვა, რაც აშკარა იყო „ეს უფალია.“<sup>9</sup> და ნავის კიდეზე შედგა დაუოკებელი პეტრე.

აღმსდგარ იესოსთან სიხარულით აღსაცხე შეხვედრის შემდეგ, პეტრეს მხსნელთან საუბარმა სამუდამოდ შეცვალა იგი და მთელი მსოფლიო. მე ვთვლი, რომ ეს იყო გადამწყვეტი შემობრუნების წერტილი მოციქულთა მსახურობისათვის და აუცილებლად თვითონ პეტრესთვის პირადად, რომელმაც ამ დიდ კლდესავით ადამიანს უბიძგა დიადი მსახურობისაკენ და მოციქულთა წინამძღვრობისკენ. შეხედა რა მათ ძველ ნავებს, მათ გაცვეთილ ბადეს და 153 თევზის გროვას, იესომ მიმართა მთავარ მოციქულს: „პეტრე, ამ ყველაფერზე მეტად გიყვარვარ?“ უთხრა მას პეტრემ „დიახ, უფალო; შენ იცი, რომ მიყვარხარ.“<sup>10</sup>

მხსნელი მის მოწაფეს უყურებდა თვალებში და კვლავ უთხრა: „პეტრე თუ გიყვარვარ?“ რათქმაუნდა, შეკითხვის განმეორებით ცოტათი დაბნეულმა დიდმა მეთევზემ მეორედ უპასუხა „დიახ, უფალო; შენ იცი, რომ მიყვარხარ.“<sup>11</sup>

მხსნელმა კვლავ მოკლედ მიმართა და გამომცდელი მზერით მესამეჯერ ჰკითხა, „პეტრე თუ გიყვარვარ?“ უეჭველად პეტრე უკვე უხერხულობა იგრძნო. შეიძლება მის გულში მხოლოდ ფიქრობს იმ მოგონებაზე, როდესაც რამოდენიმე დღის წინ სხვა შეკითხვაზე მან სამჯერ დამაჯერებით უპასუხა, მაგრამ მისი პასუხი იყო

უარყოფითი, ან შეიძლება იფიქრა, რომ არასწორად გაიგო მთავარ მასწავლებელის შეკითხვა, ან შეიძლება ის ცდილობდა გულში ჩაძიებას, რათა მიეღო გულწრფელი პასუხი შეკითხვაზე, რომელზეც მან ასე მზადყოფნით დაუყოვნებლივ უპასუხა. რასაც არ გრძნობდა, პეტრემ მესამეჯერ უპასუხა „უფალო. . . შენ იცი, რომ მიყვარხარ.“<sup>12</sup>

რომელზეც ქრისტემ უპასუხა, (აქ კვლავ აღვწერ ჩემებურად წმინდა წერილს) ალბათ ამბობდა დაახლოებით ასე, „პეტრე მაშინ აქ რატომ ხარ? რატომ დაუბრუნდი იგივე ნაპირს, იგივე ბადეს და ვლაპარაკობთ იგივეს? ნუთუ არ იყო ნათელი და არ არის ნათელი, რომ თუ მე მინდა თევზი, მე შემიძლია მივიღო თევზი? მე რაც მჭირდება ეს არის მოწაფეები და ისინი მჭირდება სამუდამოდ. მე მჭირდება ვინმე, ვინც აძოვებს ჩემს ცხვრებს და გადაარჩენს ჩემს კრავებს, მე მჭირდება, ვინც იქადაგებს ჩემს სახარებას და დაიცავს ჩემს რწმენას, მე მჭირდება ის, ვისაც ვუყვარვარ, ვისაც ჭეშმარიტად ვუყვარვარ, და უყვარს ის რის გასაკეთებლად მოგვიწოდა ჩვენმა მამაზეციერმა. ასე, რომ პეტრე, მეორეჯერ და სავარაუდოდ უკანასკნელად მე გთხოვ მიატოვო ეს ყველაფერი, რომ ასწავლო და დაამოწმო, ემსახურო და შესწირო, შეიყვარო და ერთგულად იმრომო იმ დღემდე, სანამ არ ისინი არ მოგექცევიან ისევე, როგორც მე მომექცნენ.“

შემდეგ მოუბრუნდა მოციქულებს, მან შეიძლება ასეც უთხრა, „ნუთუ იყავით ისეთივე განუსჯელნი, როგორც მწიგნობარნი და ფარისევლები, როგორც ჰეროდი და პილატი იყვნენ? ნუთუ მათსავით ფიქრობდით, რომ ამ სამუშაოს მოკლავდნენ უბრალოდ ჩემი მოკვლით? ნუთუ თქვენც მათსავით ფიქრობდით, რომ ჯვარი, ლურსმნები და საფლავი იყო ყველაფრის დასასრული და ყველას შეუძლია ბედნიერად დაუბრუნდეს იმას, რაც იყავით მანამდე? შვილებო, ნუთუ ჩემმა ცხოვრებამ და ჩემმა სიყვარულმა არ ჩაგწვდათ გულებში ამაზე უფრო ღრმად?“

დებო და ძმებო, მე ნამდვილად არ ვიცი რა გველის განკითხვის დღეს, მაგრამ ძალზედ გოცებულნი ვიქნები, თუ იმ დღეს რატომღაც ღმერთი არ შეგვეკითხება იმას, რაც ქრისტე შეეკითხა პეტრეს „თუ გიყვარვარ?“ მე ვფიქრობ ის მოისურვებს იმის გაგებას, რომ ჩვენი მოკვდავი, არა

ადეკვატური და ხანდახან ბავშურად ჩაჭიდებულ პრიორიტეტებში, თუ მაინც გვესმოდა ერთი პირველი და დიდი მცნება—„შეიყვარე უფალი, ღმერთი მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით..“<sup>13</sup> და თუ ასე გვწამს, შევსძლებთ ენის ბორძიკით სთქმას, „დიახ, უფალო; შენ იცი, რომ მიყვარხარ.“ მაშინ შეიძლება შეგვახსენოს, რომ დამაგვირგვინებელი თვისება სიყვარულისა არის ერთგულება.

„თუ მე გიყვარვართ, ჩემი მცნებანი დაიცავით,“<sup>14</sup> სთქვა იესომ. ასე, რომ ჩვენ გვყავს მეზობლები, რომლებიც უნდა დავლოცოთ, ბავშვები, რომლებიც უნდა დავიცვათ, ღარიბნი, რომლებიც უნდა ფეხზე დავაყენოთ და სიმართლე, რომელიც უნდა დავიცვათ. გვაქვს არასწორი, რაც უნდა გამოვასწოროთ, სიმართლე, რომელიც უნდა გავუზიაროთ, და სიკეთე, რომელიც უნდა ვაკეთოთ. მოკლედ, ჩვენ ერთგულ მოწაფედ უნდა ვიცხოვროთ, რათა ვაჩვენოთ ჩვენი სიყვარული უფალს. ჩვენ არ შეგვიძლია მივატოვოთ და უკან დავბრუნდეთ. ცოცხალი ღვთის ცოცხალი ძესთან შეხვედრის შემდეგ, არაფერი კვლავ არ იქნება ისეთი, როგორიც იყო მანამდე. ჯვარცმა, გამოსყიდვამ და იესოს აღდგომამ აღნიშნა ქრისტიანული ცხოვრების დასაწყისი, არა დასასრული. ეს იყო ჭეშმარიტება რამაც საშუალება მისცა მეთევზეების პატარა ჯგუფს გალილეადან რომლებმაც „სინაგოგისა და ხმლის გარეშე“<sup>15</sup> მიატოვეს თავიანთი ბადეები და ჩამოაყალიბეს მსოფლიო რომელიც ეხლა ჩვენ ვცხოვრობთ.

ის, ვინც ჯერ არ შემოგვიერთდა ქრისტეს ამ დიდ საქმეში, ჩვენ ვეუბნებით „გთხოვთ, შემოგვიერთდით.“ ისინი, ვინც ოდესღაც ჩვენთან იყავით და ჩამოგვცილდით, იმის გამო, რომ გირჩევნიათ ამოარჩიოთ სახარების აღდგენიდან მარტო ის, რაც თქვენ გასურთ, მე ვეუბნებით: „თქვენ გელით ბევრი გრძელი ღამეები და ცარიელი ბადეები.“ მოწოდება არის ერთგულობისა, რომ გიყვარდეთ ღმერთი და ერთგულად გაუწოდეთ დახმარების ხელი. ამ მოწოდებაში შედის ყოველ დაბრუნებულ მისიონერს, რომელიც ოდესღაც ნათლობის წყალში მდგომი ხელაღმართული უთქვია სიტყვები „აღჭურვილი ვარ იესო ქრისტეს რწმუნებით.“<sup>16</sup> უფლებამოსილების ეს აღჭურვა

უნდა სამუდამოდ შეეცვალა ახლადმოქცეულისთვის ცხოვრება და შესაბამისად შეეცვალა ასევე თქვენთვისაც. ეკლესიის ახალგაზრდებო, რომლებიც ემზადებით მისიისთვის, ტაძრისთვის და ქორწინებისთვის, ჩვენ გეუბნებით „გიყვარდეთ ღმერთი და იყავით მორწმუნე. იყავით წმინდები ამ თაობის სისხლისგან და ცოდვებისგან. თქვენ გელით მონუმენტალური სამუშაო გასაკეთებელი, რასაც გუშინ ხაზი გაუსვა ჩინებული გამოსვლით პრეზიდენტმა თომას ს. მონსონმა. თქვენი მამაზეციერი მოელის თქვენგან ერთგულებასა და სიყვარულს, თქვენი ცხოვრების ყოველ ეტაპზე.“

ყველას, ვისაც ესმის ჩემი სიტყვები, დროთა გადაღმა ქრისტეს შეკითხვა ზარივით მოესმის ყოველ ჩვენგანს „თუ გიყვარვარ?“ ყოველი ჩვენგანის მაგივრად მე ვპასუხობ სამუდამოდ, ჩემი მთელი სულით, „დიახ, უფალო, ჩვენ გვიყვარხარ.“ და მოვკიდეთ რა ხელს გუთანს,<sup>17</sup> აღარ მოვიხედებით უკან, სანამ არ დამთავრდება სამუშაო, და უფალის და მოყვასის სიყვარული არ იმეფებს მსოფლიოში. იესო ქრისტეს სახელით, ამინ.

**მენიშვნები**

- |                       |   |
|-----------------------|---|
| 1. იოანე 14:9.        | 13. ლუკა:10:27; იხილეთ ასევე მათე 22:37-38.   |
| 2. მარკოზი 9:31-32.   | 14. იოანე 14:15.  |
| 3. იოანე 21:3.        | 15. იხილეთ Frederic W. Farrar, <i>The Life of Christ</i> (1994), 656; see chapter 62 for more on the plight of this newly founded Church. |
| 4. იხილეთ იოანე 21:5. | 16. მოძღვრება და აღთქმები 20:73.  |
| 5. იოანე 21:6.        | 17. ლუკა 9:62.  |
| 6. ლუკა 5:5.          |   |
| 7. ლუკა 5:6.          |   |
| 8. იოანე 21:6.        |   |
| 9. იოანე 21:7.        |   |
| 10. იოანე 21:15.      |   |
| 11. იოანე 21:16.      |   |
| 12. იოანე 21:17.      |   |

---

# შენიშნეთ დალოცვები თქვენს ცხოვებაში

პრეზიდენტ თომას ხ. მონსონის მიერ

---

*მამაზეციერმა იცის ჩვენი საჭიროებანი და  
დაგვებმარება, თუკი თხოვნით მივმართავთ.*

---

ჩემო საყვარელო დებო და ძმებო, კონფერენცია უკვე 49 წელს ითვლის იმ დღიდან, რაცა 1963 წლის 4 ოქტომბერს მე მხარი დამიჭირეს თორმეტი მოციქულთა ქვორუმის წევრის როლში. ორმოცდა ცხრა წელი დიდი დროა. მიუხედავად ამისა, თითქოს სულ ცოტა ხანი გავიდა იმ დღიდან, რაც გენერალურ კონფერენციაზე პირველად დავდექი ტაბერნაკალის კათედრასთან სიტყვით გამოსასვლელად.

1963 წ. 4 ოქტომბრიდან ბევრი რამ შეიცვალა. ჩვენ სამყაროს ისტორიის უნიკალურ დროში ვცხოვრობთ. ჩვენ იმდენად დალოცვილნი ვართ! და მაინც, ზოგჯერ ძნელია ხედავდე ჩვენს ირგვლივ პრობლემებსა და თავაშვებულობას და არ დაგწყდეს გული. მე შევნიშნე, რომ ნეგატიურზე ყურადღების გამახვილების ნაცვლად ერთი ნაბიჯით უკან რომ დავიხიოთ და ჩვენს ცხოვრებაში დალოცვებზე ვიფიქროთ, თუნდაც მცირედზეც კი, რომელთაც არაფრად არ ვაგდებთ, ჩვენ უფრო მეტ ბედნიერებას ვიპოვით.

ამ 49 წლის ცხოვრებას რომ გადავხედე, ზოგიერთი აღმოჩენა გავაკეთე. ერთი არის ის, რომ ის უამრავი გამოცდილებები, რომლებიც მივიღე ამ წლების განმავლობაში, ზოგიერთი ადამიანის თვალსაზრისით სულაც არ იყო განსაკუთრებული. ფაქტიურად იმ დროისთვის ისინი ხშირად უმნიშვნელოდ და ჩვეულებრივადაც კი გვეჩვენებოდა. მაგრამ უკან მიხედვისა

ჩანს, რომ მათ დალოცეს და გაამდიდრეს სხვების ცხოვრება, მათ შორის ჩემიც. მე გაძლევთ რჩევას გააკეთოთ იგივე - გაიხსენოთ წარსული და მოძებნოთ მასში ყოველი თქვენს მიერ მიღებული დალოცვა, დიდი თუ პატარა.

პირადად მე მსგავსი მიმოხილვის დროს წლების განმავლობაში უფრო და უფრო განმიმტკიცდა ცოდნა იმაზედ, რომ ჩვენს ლოცვებს ღმერთი ისმენს და პასუხობს. ჩვენ ვიცით მორმონის წიგნის 2 ნეფში ნახსენები კემმარიტება: „ადამიანები არსებობენ, რათა განიცადონ სიხარული“<sup>1</sup>. მე ვმოწმობ, რომ ეს სიხარული მეტწილად მოდის მაშინ, როცა გვესმის, რომ ჩვენ შეგვიძლია მამაზეციერს ვესაუბროთ ლოცვაში და რომ ამ ლოცვებს იგი ისმენს და პასუხობს; შეიძლება არა ისე და არა იმ დროს, როგორც ეს ჩვენ გვინდა, მაგრამ აუცილებლად პასუხობს ის, რომელიც ჩვენ გვიცნობს და რომელსაც სრულყოფილი სიყვარულით ვუყვარვართ და სურს ჩვენი ბედნიერება. განა არ შეგვიპირდა იგი ჩვენ: „იყავ მორჩილი და უფალი, შენი ღმერთი, ხელს მოგკიდებს და ლოცვებზე პასუხებს გაგცემს“.<sup>2</sup>

ნება მომეცით ჩემთვის განკუთვნილი დროიდან რამოდენიმე წუთი დავუთმო იმ გამოცდილებებს, სადაც ლოცვაზე პასუხი მიმიღია და წარსულში გახედვით ვიტყვი, რომ ამით ჩემი და სხვების ცხოვრებაც დაილოცა. რომ არა ჩემი დღიური, რომელსაც ამ წლების განმავლობაში ვავსებდი, ძნელი იქნებოდა ზოგი მაგალითის გახსენება.

1965 წ. დასაწყისში მე დამავალეს პალოს კონფერენციებზე დასწრება და წყნარი ოკეანის სამხრეთი ნაწილის კუნძულების ზონაში შეკრებების ჩატარება. ეს იყო მსოფლიოს იმ ნაწილში ჩემი პირველი ვიზიტი და ეს დრო არასდროს არ დამავიწყდება. ამ დავალების შესრულებისას, ხელმძღვანელებთან, მრევლთან და მისიონერებთან შეხვედრების დროს უამრავი სულიერი ხასიათის გამოცდილება მივიღე.

შაბათ-კვირას, 20 და 21 თებერვალს, ჩვენ ბრისბანის პალოს კონფერენციის ჩასატარებლად ავსტრალიაში, ბრისბანში ვიმყოფებოდით. შაბათის შეკრებების დროს მე მოსაზღვრე ოლქის პრეზიდენტი გამაცნეს. როცა მას ხელი ჩამოვართვი, ძლიერი გრძნობა დამეუფლა, რომ მისთვის



რჩევა უნდა მიმეცა. ვთხოვე ამ მიზნით ის მომდევნო დღეს ჩემთან ერთად კვირის დილის სესიაზე წამოსულიყო.

კვირის სესიის დამთავრების შემდეგ ჩვენ ვისაუბრეთ. შევეხეთ იმას, თუ რამდენი ვალდებულება ჰქონდა დაკისრებული მას, როგორც ოლქის პრეზიდენტს. ამ დროს ვიგრძენი, რომ სპეციალური რჩევა უნდა მიმეცა მისთვის მისიონერულ სამსახურთან დაკავშირებით, თუ როგორ შეეძლო მას და მრევლს დახმარებოდნენ ამ ოლქის სრული დატვირთვის მისიონერებს მათსავე სამუშაოში. მოგვიანებით გავიგე, რომ ეს ადამიანი ლოცულობდა ამ საკითხში დახმარების მიღების თაობაზე. მისთვის ჩვენი შეხვედრა იყო განსაკუთრებული მოწმობა იმისა, რომ მისი ლოცვები ღმერთმა შეისმინა და უპასუხა მათ. ეს იყო თითქოს და უმნიშვნელო შეხვედრა, მაგრამ ერთ-ერთი ისეთი, რომელიც ვიცი, რომ სულიწმინდის კარნახით მოხდა და იმ ოლქის პრეზიდენტის ცხოვრებაში და მსახურებაში ცვლილება მოახდინა. მან ასევე შეცვალა მრევლის ცხოვრება და იმ ოლქის სრული დატვირთვის მისიონერების წარმატებაზეც მოახდინა გავლენა.

დებო და ძმებო, უფლის მიზნები ხშირად სრულდება მაშინ, როცა ჩვენ სულიწმინდის კარნახს ვუგდებთ ყურს. მე მჯერა, რომ, რაც უფრო მეტად ვმოქმედებთ შთაგონებით, მით უფრო გვანდობს უფალი თავის საქმეს.

როგორც უკვე აღვნიშნე, მე შევნიშნე, რომ არასდროს არ უნდა გადადოთ კარნახით მოქმედება. მრავალი წლის წინ იყო შემთხვევა, როცა სოლთ ლეიქ სითის დეზერეტის სავარჯიშო აუზში ვცურავდი და მივიღე შთაგონება წავსულიყავი საუნივერსიტეტო კლინიკაში, ჩემი მეგობრის მოსანახულებლად, რომელიც სიმსივნის გამო ქვემო კიდურებს ვერ ამოძრავებდა. მე იმწუთასვე ამოვედი აუზიდან, ჩავიცვი და ამ კარგი ადამიანის მოსანახულებლად გავემგზავრე.

როცა მის პალატასთან მივედი, ის ცარიელი დამხვდა. გავიკითხე და გავიგე, რომ ის ალბათ კლინიკის საცურაო აუზში იყო, იქ, სადაც ფიზიოთერაპიის სეანსები ტარდებოდა. ასეც იყო: ის ეტლით დამოუკიდებლად წავიდა აუზისკენ და იქ მარტოდ მარტო იმყოფებოდა. ის აუზის ღრმა ნაპირთან იყო. მე მას დავუძახე, მან ეტლი ჩემსკენ

მოაბრუნა და მომესალმა. ჩვენ სასიამოვნოდ ვისაუბრეთ და შემდეგ იგი უკან პალატაში მივიყვანე და დავლოცე.

მოგვიანებით გავიგე, რომ იმ დღეს ჩემი მეგობარი დეკრესიაში იყო და თავის მოკვლაზე ფიქრობდა. ის მდგომარეობის შემსუბუქებისთვის ლოცულობდა, მაგრამ ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ ლოცვაზე პასუხს ვერ იღებდა. ის საცურაო აუზზე იმ მიზრით წავიდა, რომ თავისი უბედურებისთვის იქ მოედო ბოლო; ამიტომაც გაეშურა აუზის ღრმა ნაპირისკენ. მე კრიტიკულ მომენტში მივუსწარი და ვიცი, რომ ეს ზემოდან მოსული შთაგონება იყო.

მას შემდეგ ჩემმა მეგობარმა არა ერთი წელი იცოცხლა. ეს ბედნიერებისა და მადლიერების წლები იყო. რაოდენ ბედნიერი ვარ, რომ იმ დღისით საცურაო აუზზე მე უფლის ხელში იარადი ვიყავი.

მეორე შემთხვევა: ერთხელ, როცა მე და ჩემი მეუღლე მეგობრების მონახულების შემდეგ სახლში მანქანით ვბრუნდებოდით, მე მივიღე შთაგონება წავსულიყავით მოხუც ქვრივ ქალბატონთან, რომელიც ადრე ჩვენს მეურვეობაში ცხოვრობდა, ეხლა კი ჩვენგან მრავალი კილომეტრის დაშორებით იმყოფებოდა. მას სახელად ზელა თომასი ერქვა. იმ დროს იგი მოხუცებულთა სახლში იმყოფებოდა. იმ დღეს ჩვენ ზელა ძალიან დასუსტებული დაგვხდა. ის მშვიდად საწოლზე იწვა.

ზელა უკვე დიდი ხნის განმავლობაში უსინათლო იყო, მაგრამ ჩვენ იმ წუთასვე ხმაზე გვიცნო. მან დალოცვა მთხოვა, თან დაამატა, რომ ის იმ ქვეყნად წასასვლელად მზად იყო, თუკი უფალს სურდა მისი სახლში დაბრუნება. ოთახში სიმშვიდის სული სუფევდა, ჩვენ ყველამ ვიცოდით, რომ მას, ამ მიწიერ ცხოვრებაში, არც თუ ისე დიდი დრო ჰქონდა დარჩენილი. ზელამ ხელი მომკიდა და მითხრა, რომ მხურვალედ ილოცა იმისთვის, რომ მოვსულიყავი და ის დამელოცა. მე ვუთხარი, რომ ჩვენ მამაზეციერის პირდაპირი შთაგონებით მოვედით. მე მას შუბლზე ვეამბორე და ვიცოდი, რომ ალბათ ვეღარ ვნახავდი. ზუსტად ასეც მოხდა: ის მეორე დღეს გარდაიცვალა. ჩვენი ტკბილი ზელასთვის სიმშვიდისა და ნუგეშის მიცემა დალოცვა იყო როგორც ჩემთვის, ასევე მისთვის.

ვიღაცის ცხოვრებაში დალოცვის შეტანის საშუალება ხშირად მოულოდნელად მოდის. 1983–84 წწ. შაბათის განსაკუთრებულად ცივ ზამთრის ღამეს, მე და და მონსონი მანქანით იუტაში, მიდვეიში მივდიოდით, სადაც იმ დროს სახლი გვქონდა. იმ ღამეს ტემპერატურა -24 ფარენჰაიტის სკალით, ცელსიუსის სკალით კი -31 გრადუსი იყო. ჩვენ გვინდოდა დავრწმუნებულიყავით იმაში, რომ ყველაფერი კარგად იყო. მას შემდეგ, რაც დავინახეთ, რომ ყველაფერი რიგზე იყო უკან, სოლთ ლეიქში წავედით. სულ რამოდენიმე კილომეტრი გავიარეთ, როცა მანქანა მოულოდნელად გაჩერდა. ჩვენ მართლაც რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ისე, როგორც იმ ღამეს მცოდნა, მგონი არასდროს არ შემცივნია.

ჩვენ უხალისოდ ფეხით გავეშურეთ უახლოეს ქალაქისკენ; მანქანები მიქროდნენ. საბოლოოდ ერთი მანქანა გაჩერდა და ახალგაზრდა მამაკაცმა დახმარება შემოგვთავაზა. როგორც გაირკვა, სიცვივის გამო დიზელი ჩვენს მანქანაში შესქელდა და ამიტომაც მანქანა გაჩერდა. ამ კეთილმა ახალგაზრდამ მიდვეიში სახლამდე მიგვიყვანა. მე ვეცადე გადამეხადა მისთვის, მაგრამ მან თავაზიანი უარი გვითხრა. მან გვიამბო, რომ ბოი სკაუტი იყო და კარგი საქმის კეთება სურდა. მე ჩემი თავი წარვუდგინე მას; მან გვითხრა, რომ მოხარული იყო იმის გამო, რომ მიეცა უპირატესობა - დაგვხმარებოდა ჩვენ. ის მისიონერის ასაკში იყო, ამიტომაც ვკითხე, აპირებდა თუ არა მისიაში მსახურებას. მან მიპასუხა, რომ ჯერ ზუსტად არ იცოდა, რისი კეთება უნდოდა ცხოვრებაში.

ორშაბათს მე ამ ახალგაზრდას წერილი მივწერე და სიკეთისთვის მადლობა გადავუხადე. წერილში შევაგულიანე სრული დატვირთვის მისიაში წასულიყო. წერილს თან ერთ-ერთი ჩემი წიგნი დავურთე, სადაც მოვნიშნე ის თავები, რომლებიც მისიონერულ სამსახურს ეთმობოდა.

დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ ამ ახალგაზრდა მამაკაცის დედამ დამირეკა. მან მითხრა, რომ მისი ვაჟი არაჩვეულებრივი ახალგაზრდა იყო, მაგრამ გარკვეული ცხოვრებისეული გავლენის გამო, მისი დიდი ხნის სურვილი-მისიაში მსახურება შემცივდა. ვაჟის დედ-მამა

მარხულობდნენ და ლოცულობდნენ იმისთვის, რომ შვილის გული შეცვლილიყო. მათ მისი სახელი უტას პროვოს ტაძარში ლოცვის სიაში შეიტანეს. ისინი იმედოვნებდნენ, რომ რამენაირად მისი გული სიკეთისკენ შეიცვლებოდა და მას კვლავ გაუჩნდებოდა სურვილი ერთგულად ემსახურა უფლისთვის მისიაში. დედას უნდოდა მცოდნოდა, რომ იმ ცივ ღამით მომხდარი ამბავი მისი ლოცვის პასუხი იყო. მე ვუპასუხე: „გეთანხმებით“.

ჩვენ ამ ახალგაზრდასთან რამოდენიმე თვის განმავლობაში არ ვკარგავდით ურთიერთობას და დაგდა დღე, როცა მე და და მონსონი დიდი სიხარულით გავემგზავრეთ მის მისიასთან დაკავშირებით მოწყობილ გამოსამშვიდობებელ საღამოზე. იგი კანადის ვანკუვერის მისიაში მიემგზავრებოდა.

შემთხვევითი იყო ის, რომ ჩვენი გზები გადაიკვეთა იმ ცივ დეკემბრის ღამეს? ერთი წუთითაც არ დავიჯერებ ამას. მე მჯერა, რომ ჩვენი შეხვედრა იყო მშობლების საყვარელი შვილის გამო გულითადი ლოცვის პასუხი.

და ისევ, ჩემო დებო და ძმებო, ჩვენმა ზეციერმა მამამ იცის ჩვენი საჭიროებანი და იგი დაგვხმარება, თუ ჩვენ მას ამას ვთხოვთ. მე მჯერა, რომ არც ერთი ჩვენი დარდი არ არის მცირე ან უმნიშვნელო. უფალმა ჩვენი ცხოვრების ყოველი წვრილმანი იცის.

ბოლოს მინდა მოგახსენოთ ერთი ბოლო დროს მომხდარი მოვლენა, რომელმაც ასობით ადამიანზე მოახდინა შთაბეჭდილება. ეს მოხდა ხუთი თვის წინ, კანზას სითის ტაძართან, კულტურათა ზეიმის დროს. ეს იყო ერთ-ერთი ისეთი შემთხვევა, რომელიც ხშირად ხდება ჩვენს ცხოვრებაში და რომელზედაც ჩვენ, როგორც წესი, ვამბობთ: ყველაფერი მოგვარდა. მაგრამ, როგორც შემდეგში შევიტყვე, ტაძრის კურთხევის წინა ღამეს კულტურათა ზეიმთან დაკავშირებით იყო გარკვეული სირთულეები. მე მივხვდი, რომ იმ ღამეს ჩატარებული ზეიმი სულაც არ იყო ჩვეულებრივი. პირიქით, ის ძალზედ გამორჩეული იყო.

როგორც ყოველი კულტურული მოვლენის დროს, რომელიც ტაძრის კურთხევასთან არის დაკავშირებული, კანზას სითის, მისურის ტაძრის ოლქის ახალგაზრდები რეპეტიციაზე იმყოფებოდნენ და ჯგუფებად

მეცადინეობდნენ. შაბათს დილით დაგეგმილი იყო მათი ერთობლივი შეხვედრა იჯარით აღებულ დიდ მუნიციპალურ ცენტრში, რათა ენახათ, სად და როგორ უნდა შევიდნენ, სად უნდა იდგნენ, რა მანძილით უნდა იყვნენ ერთმანეთისგან დაშორებულნი, როგორ გამოვიდნენ პირველი სართულიდან და ა.შ. - უამრავი დეტალი, რომელიც მათ უნდა ესწავლათ დღის განმავლობაში იმ დროს, როცა პასუხისმგებელი პირები სხვადასხვა სცენებს დგავდნენ იმისთვის, რომ წარმოდგენა პროფესიონალურ დონეზე შესრულებულიყო.

იმ დღეს ერთი ძირითადი პრობლემა იყო. მთლიანი დადგმა დამოკიდებული იყო წინასწარ ჩაწერილ ნაწყვეტებზე, რომლების ჩვენებასაც დიდ ეკრანზე აპირებდნენ (ე.წ. ჯამბოტრონი). ეს ჩაწერილი ნაწყვეტები ძალიან მნიშვნელოვანი იყო მთლიანი დადგმისთვის. ისინი არა მხოლოდ აერთებდნენ ყველა ნაწილს, არამედ ყოველი ვიდეო ნაწყვეტი, შემდეგ ნაწილს წარმოადგენდა. ამ ვიდეო ნაწყვეტებზე მთლიანი დადგმა იყო აგებული. ჯამბოტრონი კი არ მუშაობდა.

ტექნიკური პერსონალი გამალებული მუშაობდა პრობლემის აღმოფხვრაზე იმ დროს, როცა ასობით ახალგაზრდები ლოდინში კარგავდნენ ძვირფას სარეპეტიციო დროს. სიტუაცია გამოუსწორებელი ჩანდა.

სუზან კუპერი, ზეიმის დამდგმელი და დირექტორი, მოგვიანებით ყვებოდა: „როცა ჩვენ ყველაფერი ვცადეთ დავინახეთ, რომ არაფერი არ გამოდიოდა. . . . ცხრილს ვუყურებდით და ვიცოდით, რომ ჩვენს შესაძლებლობებში არ იყო რაიმე შეგვეცვალა, თუმცა ისიც ვიცოდით, რომ დაბლა სართულზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი ძალა იმყოფებოდა - 3 000 ახალგაზრდა. საჭირო იყო დაბლა ჩასვლა და იმის ახსნა, რაც ხდებოდა. ჩვენ მათ რწმენას უნდა დავყრდნობოდით.“<sup>3</sup>

მაყურებლის შემოსვლამდე ერთი საათით ადრე 3 000 ახალგაზრდამ დაიჩოქა და ერთად ილოცა. მათ ილოცეს მათთვის, ვინც ჯამბოტრონის შეკეთებაზე მუშაობდა, რათა მათ შთაგონება მიეღოთ და პრობლემა აღმოეფხვრა; მათ სთხოვეს ზეციერ მამას დახმარება იმაში, რასაც თვითონ დროის სიმცირის გამო ვერ ახერხებდნენ.

პიროვნებამ, რომელიც ეს აღწერა, მოგვიანებით თქვა ასეთი სიტყვები: „ ეს იყო ლოცვა, რომელიც ახალგაზრდებს მუდამ ეხსომებათ. არა იმიტომ, რომ იატაკი ხმელი იყო, არამედ იმიტომ, რომ სული წმინდამ მათ ძვლებშიც კი შეაღწია“.<sup>4</sup>

ბევრი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც ტეჩნიკოსი გამოვიდა მათთან და უთხრა, რომ პრობლემა აღმოაჩინეს და გადაჭრეს. მან პრობლემის მოგვარება „ბედნიერ შემთხვევას“ დაუკავშირა, მაგრამ ახალგაზრდებმა უკეთ იცოდნენ, რაშიც იყო საქმე.

როცა იმ საღამოს მუნიციპალურ ცენტრში შევედით, ჩვენ წარმოდგენა არ გვქონდა იმ სირთულეებზე, რომლებიც მათ იმ დღეს ჰქონდათ. ჩვენ ამის შესახებ მხოლოდ მოგვიანებით გავიგეთ. მანამდე კი მხოლოდ უნაკლო, დიდებული დადგმა ვნახეთ, ერთ-ერთი საუკეთესო, რაც კი ცხოვრებაში მინახავს. ახალგაზრდებში ძლიერი სული იგრძნობოდა, რომელსაც ყველა იქ მყოფი გრძნობდა. ისეთი შთაბეჭდილება იყო, რომ მათ ზუსტად იცოდნენ, სად უნდა შესულიყვნენ, დამდგარიყვნენ და რა უნდა გაეკეთებინათ სხვებთან ერთად. როცა გავიგე, რომ მათ რეპეტიციისთვის ნაკლები დრო ჰქონდათ და ნომრების უმრავლესობა მთლიანმა ჯგუფმა ვერ გაიმეორა, ძალზედ გამიკვირდა. ამას ვერავინ ვერ მიხვდებოდა. უფლის ჩარევამ მართლაც დიდი ცვლილება მოახდინა.

მე ყოველთვის გაკვირვებით აღვნიშნავ იმას, თუ როგორ შეუძლია უფალს თავისი სასუფეველის ყოველი ნაწილის ამოქმედება და კონტროლი და ამავე დროს ცალკეული ადამიანების შთაგონება, ან კულტურათა ზეიმის ან ჯამბოტრონის მართვა. ის ფაქტი, რომ მას ეს შეუძლია და ასეც აკეთებს, ჩემთვის მოწმობას წარმოადგენს.

ჩემო დებო და ძმებო, უფალი ჩვენი ცხოვრების ყოველ ნაწილშია. მას ჩვენ ვუყვარვართ. მას სურს ჩვენი დალოცვა. მას სურს, რომ ჩვენ მისგან დახმარებას ვითხოვდეთ. როცა ის წინ მიგვიძღვის და გვხელმძღვანელობს, ისმენს ჩვენს ლოცვებს და პასუხობს მათ, ჩვენ ამ ცხოვრებაში ვიპოვით იმ ბედნიერებას, რომელიც მას სურს ჩვენთვის. დაე ჩვენთვის ნაცნობი იყოს მისი დალოცვები ჩვენს

ცხოვრებაში, მე ამაზედ ვლოცულობ ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს სახელით, ამინ.

**შენიშვნები**

1. 2 ნეფი 2:25.
2. მოძღვრება და აღთქმები 112:10.
3. სუზან კუპერი, მარინ პროქტორის "Nothing's Too Hard for the Lord: The Kansas City Cultural Celebration," *Meridian Magazine*, მაისი 9, 2012, [ldsMag.com](http://ldsMag.com).
4. Proctor, *Meridian Magazine*, მაისი 9, 2012.

# იყო ქრისტიანზე უფრო ქრისტიანი

უხუცესი რობერტ დ. ჰეილსი  
თორმეტ მოციქულთა ჯვორშიდან

---

დღეს ეს არის ქრისტეს შედახილი ყოველი  
ქრისტიანისთვის: „ადოვე ჩემი კრავები. . . .  
დამწყსე ჩემი ცხვრები“.

---

რას ნიშნავს, იყო ქრისტიანი?

ქრისტიანს აქვს უფალი იესო ქრისტეს რწმენა. მას სწამს, რომ ის ღვთის შვილია -სიტყვის სრული მნიშვნელობით, რომელიც მამამ გამოაგზავნა, ნიშნად უმაღლესი სიყვარულისა, დატანჯულიყო ჩვენი ცოდვებისთვის, რაც ჩვენთვის ცნობილია, როგორც გამოსყიდვა.

ქრისტიანს სწამს, რომ ღვთისა და მისი ძის, იესო ქრისტეს მადლით, ჩვენ შეგვიძლია მოვინანიოთ, მივუტევოთ სხვებს,დავიცვათ მცნებანი და დავიმკვიდროთ მარადიული ცხოვრება.

სიტყვა ქრისტიანი ნიშნავს საკუთარ თავზე ქრისტეს სახელის აღებას. ჩვენ ამას ვაკეთებთ ნათლობისა და სული წმინდის ძღვენის მიღების დროს, როცა მაცხოვრის მღვდლობის უფლება-მოსილების მქონე პირები თავზე გვასხამენ ხელს.

ქრისტიანმა იცის, რომ საუკუნეების მანძილზე ღვთის წინასწარმეტყველები ყოველთვის მოწმობდნენ იესო ქრისტეს შესახებ. იგივე იესო, მამაზეციერის თანხლებით, გამოეცხადა წინასწარმეტყველ ჯოზეფ სმითს 1820 წელს, აღადგინა სახარება და თავისი თავდაპირველი ეკლესიის წყობა.



წმინდა წერილისა და ჯოზეფ სმითის მოწმობის მადლით ჩვენ ვიცით, რომ ღმერთს, ჩვენს ზეციერ მამას, აქვს დიდებული, ძვლისა და ხორცისგან შემდგარი სრულყოფილი სხეული. იესო ქრისტე არის მისი მხოლოდ შობილი ხორციელი ძე. სული წმინდა არის არსება, რომელიც მოწმობს მამასა და ძეზე. სამება არის სამი დამოუკიდებელი და განსხვავებული არსება, რომლებსაც საერთო მიზანი აკავშირებთ.

ასეთი მოძღვრებით, როგორცაა ჩვენი რწმენის საფუძვლები, შეიძლება იყოს რაიმე ეჭვი იმაზედ, რომ ჩვენ ქრისტიანები ვართ? მაგრამ მაინც, ყოველ ქრისტიანისთვის ღიად რჩება შეკითხვა: როგორი ქრისტიანები ვართ ჩვენ? სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაოდენ კარგად ვასრულებთ დავალებას - მივცევთ ქრისტეს?

მოდით განვიხილოთ ორი ქრისტიანი მოწაფის მაგალითი:

„როცა გალილეის ზღვის ნაპირას მიდიოდა, მან დაინახა ორი ძმა: სიმონი, პეტრედ წოდებული, და ანდრია, მისი ძმა. ბადეებს ისროდნენ ზღვაში, ვინაიდან მებადურები იყვნენ.“

„უთხრა მათ: მომყევით მე და ადამიანთა მებადურებად გაგზავნით.“

„მათ მყისვე მიატოვეს ბადეები და გაჰყვნენ მას“.<sup>1</sup>

დღეს ჩვენ, როგორც ქრისტიანებს, გაგვაჩნია შესაძლებლობა ვიმოქმედოთ პირდაპირ, გაბედულად, დაუყოვნებლივ და ზუსტად ისე, როგორც პეტრემ და ანდრიამ: „მათ მყისვე მიატოვეს ბადეები და გაჰყვნენ მას“<sup>2</sup>.

ჩვენც მოგვიხმობენ მივატოვოთ ბადეები, უარცყოთ მიწიერი ჩვევები, ჩვეულებანი და ტრადიციები. ჩვენ ასევე მოგვიწოდებენ უკან მოვიტოვოთ ცოდვები. „მოუწოდა კვლავ ხალხს, . . . და უთხრა: თუ ვინმეს სურს მე მომყვეს, უარყოს თავი, აიღოს თავისი ჯვარი და მომდიოს მე“<sup>3</sup>.

არაღვთაებრივი ყოფაქცევისთვის საკუთარი თავის უარყოფა არის მონანიების დასაწყისი, რომელსაც შემდეგ მოჰყვება გულის ძლიერი გამოცვლა იქამდე, სანამ ბოლომდე არ გაქრება ჩვენში ბოროტების ჩადენის სურვილი“.<sup>4</sup>

ამ ცვლილების მოხდენა, რომელსაც უწოდებენ მოქცევას, მხოლოდ მაცხოვრის მეშვეობითაა შესაძლებელი.

იესო შეგვპირდა: „თუ ჩემთან მოვლენ ადამიანები, ვუჩვენებ მათ მათსავე სისუსტეებს . . . და ჩემი მადლი ეყოფა ყველას, ვინც ჩემს წინაშე მორჩილი იქნება; ვინაიდან თუ იქნებიან ჩემს წინაშე მორჩილნი და იქონიებენ ჩემს მიმართ რწმენას, იმას, რაც სუსტია, გავაძლიერებ მათთვის“.<sup>5</sup> ჩვენი ქრისტიეში განახლებით იცვლება თვით ჩვენი ბუნებაც და აღარ გვინდა დავუბრუნდეთ ძველ გზებს.

ამ შემთხვევაშიც კი, ერთგული ქრისტიანები ყოველთვის დალოცვილნი იქნებიან სირთულეებისა და გულგატეხილობის გამოცდილებით. როცა ეს განწმენდის ცვლილებები მოვა, ჩვენ შეიძლება გაგვიჩნდეს ცდუნება დავუბრუნდეთ ჩვენს ძველ გზებს. მაცხოვარი ჯვარცმის შემდეგ გამოეცხადა ქალებს და უთხრა მათ, რომ მამაკაცები გალილეაში იპოვიდნენ მას. როცა პეტრე, უფროსი მოციქული, გალილეაში დაბრუნდა, ის კვლავ იმ საქმის გასაკეთებლად წავიდა, რაც ასე კარგად იცოდა, და ეხერხებოდა. „სათევზაოდ მივდივარ“,<sup>6</sup> - თქვა მან და რამოდენიმე მოწაფე გაიყოლა.

ჭეშმარიტად, პეტრე, სხვებთან ერთად მთელი ღამე თევზაობდნენ, მაგრამ თევზი ვერ დაიჭირეს. დილით სანაპიროზე იესო გამოჩნდა და წყალში მყოფთ დაუძახა: „ისროლეთ ბადე ნავის მარჯვენა მხარეს“. ნავში მყოფმა მოწაფეებმა დაუჯერეს იესოს რჩევას და მალე აღმოაჩინეს, რომ ბადეები სასწაულებრივად აივსო. იოანემ იცნო მხსნელის ხმა, პეტრე კი უმაღვე წყალში ჩახტა და ხმელეთისკენ გაცურა.<sup>7</sup>

იმ ქრისტიანებს, რომლებიც დაუბრუნდნენ თავიანთ ძველ, ნაკლებად ჭეშმარიტ გზებს, მივმართავ: იფიქრეთ პეტრეს ერთგულების მაგალითზე. ნუ დააყოვნებთ. მოდით და იცანით მოძღვრის ხმა, რომელიც გეძახით. შემდეგ პირდაპირ დაუბრუნდით მას და კვლავ მიიღეთ მისი უხვი დალოცვები.

ხმელეთზე რომ დაბრუნდნენ, ნახეს თევზი და პური. „მოდით, ისაუბრეთ“,<sup>8</sup> მოიწვია მაცხოვარმა ისინი. საუბრისას სამჯერ ჰკითხა მხსნელმა პეტრეს: „სიმონ იოანესო, ამათზე მეტად გიყვარვარ“? როცა პეტრემ სიყვარული გამოხატა, მხსნელი შეევედრა: „აძოვე ჩემი კრავები. . . . დამწყსე ჩემი ცხვრები“.<sup>9</sup>

დღეს ეს არის ქრისტეს შედახილი ყოველი ქრისტიანისთვის: „აძოვე ჩემი კრავები. . . დამწყე ჩემი ცხვრები“ - გაუზიარე ჩემი სახარება ახალგაზრდებსა და მოხუცებს, დალოცე, სულით აამაღლე, ანუგეშე, შეაგულიანე, მიეცი საკუთარ თავში რწმენა, განსაკუთრებით მათ, ვინც ჩვენნაირად არ ფიქრობს და სხვანაირად სწამს. ჩვენ ვაძოვებთ მაცხოვრის კრავებს სახლში იმისდამიხედვით, თუ როგორ ცვხოვრობთ სახარების მიხედვით, ანუ: როგორ ვიცავთ მცნებებს, ვლოცულობთ, ვსწავლობთ წმინდა წერილს და ვამუღავენებთ მაცხოვრის სიყვარულს. ჩვენ ვწყემსავთ მის ცხვრებს ეკლესიაში, როცა სამღვდელოების ქვორუმებსა და დამხმარე ორგანიზაციებში ვმსახურობთ. ჩვენ ვწყემსავთ მის ცხვრებს მთელს მსოფლიოში, როცა ქრისტიანულად ვეპყრობით მოყვასს, ცხოვრებაში ვატარებთ ქვრივებსა და ობლებზე, ღარიბებსა და გაჭირვებულებზე ზრუნვის სუფთა რელიგიურ პრინციპს.

მრავალ ადამიანს მოწვევა - იყო ქრისტიანი, ეჩვენება მრავლის მომთხოვნი და დაუძლეველიც კი. მაგრამ ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს ან ვიგრძნოთ თავი შეუფერებლად. მაცხოვარი დაგვპირდა, რომ თავის სამუშაოს შესასრულებლად ღირს გაგვხდის. „მომყევით მე“, გვითხრა მან, და „ადამიანთა მეზადურებად გაგხდით“. <sup>10</sup> როცა ჩვენ მას მივყვებით, ის გვასაჩუქრებს, გვლოცავს ნიჭით და ძალით - მივიღოთ მისი ნება, ვაკეთოთ ის, რაც აქამდე შეუძლებელი გვეგონა და ამით გავცდეთ ჩვენი კომფორტის ზღვარს. ეს შეიძლება ნიშნავდეს მოყვასისათვის სახარების გაზიარებას, იმის გადარჩენას, ვინც სულიერად დაკარგულია, სრული დროის მისიაზე მსახურებას, სატაძრო სამუშაოს, განსაკუთრებული ზრუნვის საჭიროების მქონე ბავშვის აღზრდას, უძღები შვილის სიყვარულს, ავადმყოფის მოვლას, გაუგებრობების მოგვარებას ან ტანჯვის ატანას. ეს ნიშნავს მოამბადო საკუთარი თავი იმისთვის, რომ უპასუხო მაცხოვრის მოწვევას სიტყვებით: “წავალ იქ, სადაც შენ გასურს; ვიტყვი იმას, რაც შენ გასურს; გავაკეთებ იმას, რაც შენ გასურს; ვიქნები ის, რაც შენ გასურს, რომ ვიყო“.<sup>11</sup>

იმისთვის, რომ ვიყოთ, რაც მამაზეციერს სურს, ჩვენ იესო ქრისტეს მივყვებით. მე ვმოწმობ, რომ ის

განუწყვეტლივ მოგვმართავს, მივყვით მას. თუ თქვენ ახლა ეცნობით უკანასკნელი დღეების წმინდანთა ქრისტიანულ ვალდებულებას ან სრულად არ მონაწილეობდით საეკლესიო ცხოვრებაში და გასურთ ისევ მიჰყვით უფალს - არ შეგეშინდეთ! უფლის პირველი მოწაფენი ყველანი ეკლესიის ახალი წევრები იყვნენ, სახარებაში ახლად მოქცეულნი. იესო მოთმინებით ასწავლიდა თითოეულ მათგანს. ის ეხმარებოდა მათ ვალდებულებების შესრულებაში. მან მეგობრები უწოდა მათ და სიცოცხლე შესწირა. და უკვე გააკეთა იგივე თქვენთვის და ჩემთვის.

მე ვმოწმობ, რომ მისი უსაზღვრო სიყვარულისა და მადლის წყალობით ჩვენ შეგვიძლია გავხედეთ ქრისტიანზე უფრო მეტი ქრისტიანნი. დაფიქრდით შემდეგ ქრისტესეულ თვისებებზე. რაოდენ კარგად ვაძლიერებთ მათ საკუთარ თავში?

*ქრისტიანული სიყვარული.* მაცხოვარი აფასებს ყოველ ადამიანს. ყველას მიმართ კეთილი და მოწყალე, მან ერთის მოსაძებნად ოთხმოცდა ცხრამეტი მიატოვა, <sup>12</sup> ვინაიდან ჩვენს „თავზე თმებიც კი . . . დათვლილია“. <sup>13</sup>

*ქრისტიანული რწმენა.* ცდუნებების, სირთულეებისა და დევნის მიუხედავად მაცხოვარი ენდობოდა მამაზეციერს და გააკეთა არჩევანი იყოს მისი მცნებების ერთგული და მორჩილი.

*ქრისტიანული მსხვერპლი.* მთელი სიცოცხლის განმავლობაში მაცხოვარი წირავდა თავის დროს, ენერგიას, და საბოლოოდ საკუთარი თავიც კი შესწირა გამოსყიდვის მეშვეობით იმისათვის, რომ ღვთის შვილებს შეძლებოდათ მკვდრეთით აღდგომა და მარადიული ცხოვრების დამკვიდრება.

*ქრისტიანული ზრუნვა.* როგორც კარგი სამარიელი, მაცხოვარი ყოველთვის დახმარების, სიყვარულისა და ზრუნვის ხელს უწვდიდა მათ, ვინც მის გარშემო იმყოფებოდა, მათი კულტურის, სარწმუნოებისა თუ მდგომარეობის მიუხედავად.

*ქრისტიანული მსახურება.* მაცხოვარი თავის დღეებს სხვების მსახურებაში ატარებდა -იყო ეს ჭიდან წყლის ამოღება, თევზით გამასპინძლება თუ მტკვრიანი ფეხების

დაბანა. ის დაქანცულებს ამხნევებდა და სუსტებს აძლიერებდა.

*ქრისტიანული მოთმინება.* თავის მწუხარებისა და ტანჯვის უამს მხსნელი მამას მიენდო. ის მოთმინებით გველოდება, თუ როდის მივალთ მასთან სახლში.

*ქრისტიანული სიმშვიდე.* თავისი მსახურების დროს ის დაუინებით მოითხოვდა გაგებას და აძლიერებდა სიმშვიდეს. განსაკუთრებით თავის მოწაფეებს შორის ყოფნისას ის ასწავლიდა, რომ ქრისტიანებს არ უნდა ეკამათათ სხვა ქრისტიანებთან, მიუხედავად მათი განსხვავებებისა.

*ქრისტიანული მიტევება.* ის გვასწავლიდა, დავლოცოთ ჩვენი მაწყვერები. მან თავის ლოცვაში გვიჩვენა, რომ შესაძლოა მათი მიტევება, ვინც იგი ჯვარს აცვა.

*ქრისტიანული მოქცევა.* ისე, როგორც პეტრე და ანდრია, მრავალი ადამიანი გაგონებისთანავე აღიარებს სახარების ჭეშმარიტებას. ისინი მაშინვე რწმენაში მოიქცევიან. სხვებს შეიძლება მეტი დრო დასჭირდეთ. ჯოზეფ სმითის მეშვეობით მოცემულ გამოცხადებაში მაცხოვარი გვასწავლის: „ის, რაც ღვთისგანაა, არის სინათლე; და ის, ვინც იღებს სინათლეს და ღმერთშია, უფრო მეტ სინათლეს იღებს; და ის სინათლე უფრო და უფრო კაშკაშა ხდება და დღის სინათლეს უტოლდება“, <sup>14</sup> ჩვენი მოქცევის სრულყოფილ დღეს. იესო ქრისტე არის „სამყაროს სინათლე და გამომსყიდველი; ჭეშმარიტების სული“.<sup>15</sup>

*ქრისტიანული ბოლომდე მოთმენა.* მაცხოვარმა მთელი სიცოცხლის მანძილზე, არც ერთხელ არ უღალატა მამის ნებას. მან თავისი მიწიერი ცხოვრება სამართლიანობაში, მოწყალებაში, ჭეშმარიტებასა და სიკეთეში გაატარა.

აი იმ ადამიანების რამოდენიმე დახასიათება, ვინც უსმენს და ყურს უგდებს მაცხოვრის ხმას. მე, როგორც მაცხოვრის ერთ-ერთი განსაკუთრებული მოწმე, გაძლევთ ჩემს ქრისტიანულ დამოწმებას, რომ ის დღესაც გეძახით: „მომყევით მე“.<sup>16</sup> მოდით ვიაროთ იმ გზაზე, რომელსაც მარადიული ბედნიერებისკენ, სიხარულისკენ და ჩვენი ზეციური მამის სასუფეველში მარადიული ცხოვრებისკენ მივყავართ. ჩვენი მაცხოვრისა და გამომსყიდველის, იესო ქრისტეს სახელით, ამინ.

**შენიშვნები**

1. მათე 4:18–20.
2. მარკოზი 1:18.
3. მარკოზი 8:34.
4. მოსია 5:2.
5. ეთერი 12:27.
6. John 21:3.
7. იხ. იოანე 21:3–8.
8. იოანე 21:12.
9. იოანე 21:15–17.
10. მათე 4:19.
11. იხ. “I’ll Go Where You Want Me to Go,” *Hymns*, no. 270.
12. იხ. Matthew 18:12–14.
13. ლუკა 12:7.
14. მოძღვრება და აღთქმები 50:24.
15. მოძღვრება და აღთქმები 93:9.
16. ლუკა 18:22.

---

# გარდაცვლილთა გამოსყიდვის სიხარული

უზუცესი რეზიუმე ჟ. სკოტი  
თორმეტ მოციქულთა ჟგორუმედან

---

ის შვილების გულებში დანერგავს  
მამებისთვის მიცემულ დაპირებას და  
შვილების გულები, მათი მამების გულებისკენ  
მობრუნდებიან.

---

უფალმა გაუმხილა წინასწარმეტყველ ჯოზეფ სმითს  
დიადი სწავლება ნათლობის წმინდა წეს-ჩვეულების  
შესახებ. ეს ნათელი შემოვიდა იმ დროს, როცა სხვა  
ქრისტიანული ეკლესიები ასწავლიდნენ, რომ სიკვდილი  
სულის მარადიული დანიშნულებაა. ისინი ასწავლიდნენ,  
რომ მონათლულები ჯილდოდ უსაზღვრო სიხარულს  
მიიღებდნენ იმ დროს, როცა სხვები მარადიულ ტანჯვას  
განიცდიდნენ და გამოსყიდვის იმედიც არ ექნებოდათ.

უფლის გამოცხადებით, მღვდლობის შესაბამისი  
უფლებამოსილებით, შეიძლება ჩაატარო ნათლობა  
გარდაცვლილთათვის, რაც უფლის მტკიცებულების  
სამართლიანობას ინარჩუნებს: „ვინც წყლისა და სულისგან  
არ იშვება, ვერ შევა დვთის სასუფეველში“.<sup>1</sup> სხვის მაგივრად  
ნათლობა აძლევს საშუალებას ყოველ ღირსეულ ადამიანის  
სულს, რომელიც მიწიერ ცხოვრებაში არ მოინათლა, მიიღოს  
ეს აუცილებელი წეს-ჩვეულება.

ეს დიდებული სწავლება არის კიდევ ერთი მოწმობა  
იმაზედ, რომ იესო ქრისტეს გამოსყიდვა ყოველის  
მომცველ ხასიათს ატარებს. მან ყოველი მომნანიებელი  
სულისთვის შესაძლებელი გახადა ხსნა. მისმა გამოსყიდვამ  
დაამარცხა სიკვდილი და მისი წყალობით ღირსეული

გარდაცვლილი სულები, შემცვლელის მეშვეობით, შეძლებენ მიიღონ ყოველი ხსნის წეს-ჩვეულება.

150 წელზე მეტი ხნის წინ დაწერილ გზავნილში ჯოზეფ სმითი წერს: „წმინდანებს აქვთ პრივილეგია მოინათლონ . . . მათი გარდაცვლილი ნათესავებისთვის . . . მათთვის, ვინც სულში მიიღეს სახარება მათ . . . მეშვეობით, რომელთაც დაევალათ მათი სწავლება“. <sup>2</sup> შემდეგ მან დაამატა: ის წმინდანები, რომლებიც უგულებელჰყოფენ ამას თავიანთი გარდაცვლილი ნათესავებისთვის, საშიშროების ქვეშ აყენებენ საკუთარ ხსნას“. <sup>3</sup>

წინასწარმეტყველმა ილიამ კირტლანდის ტაძარში<sup>4</sup> გადასცა ამ შემცვლელი სამუშაოს შესრულების გასაღები ჯოზეფ სმითს, რათა აღსრულდეს უფლის დაპირება, რომ ის შვილების გულებში დანერგავს მამებისთვის მიცემულ დაპირებას და შვილების გულები, მათი მამების გულებისკენ მობრუნდებიან.<sup>5</sup>

ჯოზეფ სმითისა და მის მომდევნო წინასწარმეტყველებისათვის მიცემულ გამოცხადებებიდან ჩვენ გავიგეთ სატადრო სამუშაოს არსი, ოჯახური ისტორია კი ეხმარება ამ საქმეს. ჯოზეფ სმითიდან დაწყებული, ყოველი წინასწარმეტყველი ჩვენთვის და გარდაცვლილი ნათესავებისთვის ყოველი წესჩვეულების აუცილებლობას უსვამდა ხაზს.

სატადრო და ოჯახური ისტორიის სამუშაო არის ორ ნაწილად გაყოფილი ერთი სამუშაო. ისინი ისევე უკავშირდებიან ერთმანეთს, როგორც ნათლობის წეს-ჩვეულება და სული წმინდის ძღვენი. ზოგიერთი წევრი ვერ ჩაატარებს ორივე სამუშაოს ჯანმრთელობის პირობების ან ტადრის სიშორის გამო.

პრეზიდენტი ჰოვარდ ვ. ჰანტერი გვასწავლიდა:

„ჩვენ უნდა შევასრულოთ საკუთარი ამბლებსთვის საჭირო სამღვდელთების სატადრო წეს-ჩვეულებები; შემდეგ უნდა შევასრულოთ სამუშაო მათთვის, ვისაც დედამიწაზე ცხოვრების დროს არ ჰქონდათ საშუალება მიეღოთ სახარება. სხვებისთვის სამუშაოს შესრულება მოიცავს ორ ნაწილს: პირველი: ოჯახური ისტორიის კვლევა ჩვენი წინაპრების დასადგენად; მეორე: სატადრო წეს-ჩვეულებების



ჩატარება იმისთვის, რომ მივცეთ მათ იგივე საშუალებები, რაც ცოცხლებს გააჩნიათ.

„მინც არსებობს მრავალი ეკლესიის წევრი, რომლებსაც ტაძარზე არ მიუწვდებათ ხელი. ისინი აკეთებენ ყველაფერს, რაც მათ შეუძლიათ. ისინი არ წყვეტენ ოჯახურ ისტორიის კვლევას და სხვებს ატარებინებენ შემცვლელ წეს-ჩვეულებებს. ამის საპირისპიროდ, არსებობენ წევრები, რომლებიც დიდი ძალისხმევით მუშაობენ ტაძრებში, მაგრამ საკუთარ ოჯახურ ისტორიულ კვლევას არ უთმობენ დროს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვების დასახმარებლად ღვთიურ საქმეში იღებენ მონაწილეობას, ისინი კარგავენ საკუთარი გარდაცვლილი ნათესავების კვლევის საქმეში მონაწილეობის დალოცვას, რადგან ეს დავალება ჩვენ მივიღეთ უკანასკნელი დღეების წინასწარმეტყველებისგან.

...

„მე შევნიშნე, რომ ისინი, ვინც ჩართულნი არიან ოჯახური ისტორიის კვლევაში და შემდეგ მონაწილეობენ სატაძრო წეს-ჩვეულებებში მათთვის, ვისი სახელებიც მათ მოიძიეს, კურთხევის ორივე ნახევრის მიღებით იპოვიან დამატებით სიხარულს“.<sup>6</sup>

მამაზეციერს სურს, რომ თითოეულმა ჩვენთაგანმა ამ საჭირო შემცვლელი სამუშაოს კურთხევის ორივე ნაწილი მიიღოს. მან სხვებს უჩვენა, როგორ გავხდეთ ამის ღირსნი. ახლა ჩემზე და თქვენზე დამოკიდებული ამ კურთხევების მიღება.

ტაძარში ჩატარებული ნებისმიერი სამუშაო ღირსეულად გატარებული დროა, მაგრამ თქვენი გარდაცვლილი წინაპრებისთვის შემცვლელ წეს-ჩვეულებებზე ტაძარში დახარჯული დრო უფრო წმინდად განიხილება და უფრო დიდ კურთხევებს მოგიტანთ. პირველმა პრეზიდენტობამ განაცხადა: „ჩვენი უპირველესი ვალდებულებაა, ჩვენი საკუთარი წინაპრების მოძებნა და მათი იდენტიფიკაცია“.<sup>7</sup>

თქვენ, ახალგაზრდებო, გინდათ შეამციროთ მტრის გავლენა თქვენს ცხოვრებაზე? ჩაიძირეთ თქვენი წინაპრების ძიების საქმეში, მოამზადეთ მათი სახელები ტაძარში წმინდა შემცვლელი წეს-ჩვეულებების შესასრულებლად და შემდეგ წადით ტაძარში, რათა დადგეთ მათ ნაცვლად ნათლობისა და სული წმინდის ძღვენის წეს-

ჩვეულებების მისაღებად. და როცა გაიზრდებით, თქვენ შეძლებთ სხვა წეს-ჩვეულებებშიც მიიღოთ მონაწილეობა. მე არ შემიძლია მოვიფიქრო უფრო დიდი დაცვა მტრისგან ამ ცხოვრებაში.

რუსეთის, როსტოვის მისიაში ახალგაზრდობამ მიიღო მოსაწვევები გადმოიწერონ 2 000 სახელი, შემდეგ თავიანთი ოჯახიდან სატადრო წეს-ჩვეულებების გასავლელად დაასახელონ მინიმუმ ერთი სახელი. ისინი, ვინც შეასრულეს ეს დავალება, მოიწვიეს ავტობუსით წასულიყვნენ უკრაინაში, კიევის ახალ ტაძარში. ერთმა ახალგაზრდამ გაგვიზიარა თავისი გამოცდილება: „მე უამრავ დროს ვუთმობდი კომპიუტერულ თამაშებს. როდესაც დავიწყე სახელების გადაწერა, თამაშებისთვის დრო აღარ მრჩებოდა. თავიდან ვიფიქრე: „როგორ შეიძლება ეს?“ როცა ეს პროექტი დამთავრდა, მე თამაშები აღარ მაინტერესებდა. . . . გენეალოგიური სამუშაო არის ის, რისი გაკეთებაც შეგვიძლია აქ, დედამიწაზე, მაგრამ ის ზეცაში შეინახება“.

მრავალმა ერთგულმა წმინდანმა შეასრულა თავისი ნათესაური კავშირების ძიება და იყენებს საოჯახო ძიების რეზერვულ წყაროს, რათა საკუთარი ოჯახის წევრებისთვის ჩაატაროს შემცვლელი წეს-ჩვეულებანი. სახელების რეზერვული წყაროს შექმნის დანიშნულებაა მისცეს ცალკეულ პირებს საკმარისი დრო და იმის საშუალება, რომ ჩაატარონ წეს-ჩვეულებები პირდაპირი და ირიბი ნათესაური ხაზის წინაპრებისათვის. ამჟამად წეს-ჩვეულებების ჩატარებას 12 მილიონი სახელი ელის და მილიონობით წეს-ჩვეულება კიდევ ჩასატარებია. მრავალი სახელი წლების განმავლობაში რეზერვშია. წინაპრები მოუთმენლად ელიან იმ წუთს, როდესაც მათი სახელები წარდგენილი იქნება წეს-ჩვეულებების შესასრულებლად. მაგრამ, მათ სულაც არ გაუხარდებათ კვლავ ლოდინი.

ჩვენ გვინდა წავახალისოთ ისინი, ვისაც რეზერვის დიდი წყარო აქვთ, სთხოვონ ნათესავებს, პალოსა ან მეურვეობის წევრებს დახმარება ამ სამუშაოს შესასრულებლად. ამისათვის თქვენ შეგიძლიათ ბარათებზე დაბეჭდილი სახელები გადასცეთ პალოსა ან მეურვეობის წევრებს ან პირდაპირ გამოიყენოთ ოჯახური ძებნის

სისტემა და კომპიუტერის საშუალებით წარუდგინეთ სახელები პირდაპირ ტაძარს. ამ ხერხს წლების განმავლობაში მიმართავს სინდი ბლევინსი კასპერიდან, ვაიომინგის შტატი.

და ბლევინსი მოინათლა, როცა ის მოზარდი იყო და თავის ოჯახში მხოლოდ ის იყო მონათლული. მან უზარმაზარი გენეალოგიური სამუშაო ჩაატარა. მაგრამ ჯერ კიდევ უამრავი სახელია, რომელთა დამუშავებას ვერც ის და ვერც მისი ოჯახის წევრები ვერ შეძლებენ. მაშასადამე, და ბლევინსმა სახელები ტაძარში წარადგინა. მისი თქმით, მათ დამუშავებას რამოდენიმე კვირა ესაჭიროება და სამუშაოს ატარებენ ორიდან ერთი ტაძარი, რომელიც უფრო ახლოსაა სახლთან. ის ამბობს, რომ მოსწონს ფიქრი იმაზე, რომ მისი პალოსა თუ მეურვეობის მეგობრები ან მეზობლები არიან მათ შორის, ვინც მისი წინაპრებისთვის სამუშაოს ასრულებენ. ის ამისთვის მათი მადლობელია.

ჩემი საყვარელი მეუღლე, ჟანინი, სიყვარულით ასრულებს საოჯახო ისტორიულ კვლევას. როცა შვილები პატარები გვყავდნენ, ის რიგრიგობით მეგობრებს უთანხმებდა დროს, რათა შვილები დაეტოვებინა მათთან და ყოველ კვირას რამოდენიმე საათი დაეთმო ჩვენი საოჯახო ხაზის ძიებისთვის. მას შემდეგ, რაც ჩვენმა უმცროსმა შვილმა სახლი დატოვა, მეუღლემ დღიურში ჩაწერა: “მე ამ წუთას მივიღე გადაწყვეტილება და მინდა ხმამაღლა გამოვაცხადო: მაიკის საწოლი ოთახი ახლა ჩემი გენეალოგიის კაბინეტია. იგი კარგად არის აღჭურვილი სამუშაოსა და ჩანაწერების მომზადებისთვის. ახლა ჩემი ცხოვრების ძირითადი მიზანი იქნება ესოდენ მნიშვნელოვანი ოჯახური ძიებისა და ტაძრისთვის სახელების წარდგენის სამუშაო. მე მოუთმენლად ველი ამ საქმის დაწყებას”.<sup>8</sup>

აი კიდევ ერთი ამონარიდი დღიურიდან: „ჩემთვის . . . სასწაული მოხდა მელ ოლსენის ოჯახური ისტორიის ძიების კაბინეტში. მან წარმომიდგინა მთელი ჩემთვის ცნობილი საგვარტომეულოს ამობეჭდილი ჩანაწერები, რომლებიც მან ამოიღო გენეალოგიის საზოგადოებაში არსებული წინაპართა ფაილის განახლებული კომპიუტერიზირებული ჩანაწერებიდან. ისინი ძირითადად ამოიკრიბა ოთხი

თაობის ჩანაწერების პროგრამიდან, რომლის შექმნაც ეკლესიამ მრავალი წლის წინ მოითხოვა. მე მიჭირდა იმის წარმოდგენა, თუ რაოდენ დიდი სამუშაო მელოდა წინ, ოჯახური ორგანიზაციებიდან ყველა ჩემი წინაპრების შესახებ ჩანაწერების მოსაგროვებლად და კომპიუტერში პირველი წინაპართა ფაილის შესაქმნელად, ამ ინფორმაციის დასამუშავებლად. აი ახლა მშვენიერი, დალაგებული, ლაზერულ პრინტერზე ამობეჭდილი მასალები მაგიდაზე მეწყო. მე ისე ავლელდი, რომ ჯერ უბრალოდ გაკვირვებული ვიჯექი და მერე სიხარულისგან ავტირდი. . . . იმისთვის, ვინც ოცდაათი წლის განმავლობაში ასე დაჟინებით, გულმოდგინედ ატარებდა ძიებას, ამ ინფორმაციის კომპიუტერულად დამუშავება ნამდვილად ამაღელვებელი იყო. და როდესაც მე ვფიქრობ ასობით ათას ადამიანებზე, რომლებიც ახლა ან სულ მალე დაიწყებენ აღწერის მონაცემების უდიდესი ბლოკებისა და პირადი ძიების დისკების კომპიუტერულად დამუშავებას. . . . ისე ძალიან ვღელავ ამაზე. ეს ჭეშმარიტად უფლის სამუშაოა და იგი ხელმძღვანელობს მას.<sup>9</sup>

მე საკმარისად ვიგემე ამ დიადი სამუშაოს ნაყოფი საიმისოდ, რომ ვთქვა: მე ვიცი, რომ ის გასაღებები, რომლებიც ილიამ აღადგინა და გადასცა ჯოზეფ სმითს, გვაძლევს საშუალებას შევაერთოთ გულები, რის შემდეგაც თითოეული ჩვენთაგანი დაუკავშირდება იმ წინაპრებს, რომლებიც ჩვენგან დახმარებას ელიან. აჰ, დედამიწაზე, წმინდა ტაძრებში მხსნელის მიერ გადმოცემული უფლებამოსილების გამოყენებით, ჩვენი მცდელობების შედეგად ჩვენი წინაპრები იღებენ ხსნის წეს-ჩვეულებებს, რომლებიც მათ მარადიული ბედნიერების სიხარულს მიანიჭებენ.

წარსულში, შეგულიანებულნი სამუშაოს სიწმინდით, ადამიანები მამაცურად დგებოდნენ ისეთი სირთულის წინაშე, როგორიც იყო ნებრასკას შტატში ხელით ხორბლის მოსავლის აღება. ახლა სამუშაოს უამრავი ძლიერი კომბაინი ასრულებს. ერთად ჩვენ შეგვიძლია შევასრულოთ საჭირო სამუშაო და შევასრულებთ კიდევაც მას!

მე ვმოწმობ, რომ დედამიწის ზურგზე ილიას სული მამაზაციერის მრავალი შვილის გულს ეხება და

წარმოუდგენლად აჩქარებს სამუშაოს გარდაცვალებულთათვის.

თქვენ? ილაცეთ თქვენი წინაპრებისთვის შესასრულებელი სამუშაოსთვის? გადადეთ გვერდზე ის, რაც თქვენს ცხოვრებაში არც თუ ისე მნიშვნელოვანია. მიიღეთ გადაწყვეტილება გააკეთოთ ის, რასაც მარადიული შედეგი ექნება. შეიძლება თქვენ მიიღეთ სულის კარნახი, მოიძიოთ თქვენი წინაპრები, მაგრამ ფიქრობთ, რომ არ ხართ გენეალოგიის სპეციალისტი. დარწმუნდით, რომ ამის აუცილებლობა აღარ არსებობს? ყველაფერი იწყება სიყვარულით და გულწრფელი სურვილით დაეხმაროთ მათ, ვინც იმ ქვეყნად არიან და საკუთარ თავს ვერ ეხმარებიან. მიიხედ-მოიხედეთ. ვინმე იქნება თქვენს რაიონში, ვინც დაგეხმარებათ წარმატების მიღწევაში.

ეს სულიერი სამუშაოა, ურთიერთ თანამშრომლობის გრანდიოზული მცდელობა ფარდის ორივე მხრიდან, სადაც დახმარება ორივე მიმართულებით ეძლევათ. სადაც კი არ უნდა იყოთ ამ ქვეყნად, თქვენ შეგიძლიათ ლოცვის, რწმენის, სიმტკიცის, სიბეჯითის და მსხვერპლის გაღების გაერთიანებული დიდი ღვაწლი შემოიტანოთ ცხოვრებაში. დაიწყეთ ამის კეთება ახლაც. მე გპირდებით, რომ უფალი დაგეხმარებათ გზის პოვნაში და თქვენ არაჩვეულებრივი გრძნობა დაგეუფლებათ. იესო ქრისტეს სახელით, ამინ.

### მენიშვნები

1. იოანე 3:5.
2. *History of the Church*, 4:231.
3. *Teachings of Presidents of the Church; Joseph Smith* (2007), 471–72.
4. იხ. მოძღვრება და აღთქმები 110:13 -16.
5. მოძღვრება და აღთქმები 2:2.
6. ჰოვარდ ჰანტერი, "A Temple-Motivated People," *Liahona*, მაისი 1995, 5–6; .
7. პირველი პრეზიდენტობის წერილი, 29 თებერვალი, 2012.
8. ჯანეტ უოტკინს სკოტის პირადი დღიური, აპრილი 1988 წ.
9. ჯენინ უოტკინსის პირადი დღიური, აპრილი, 1988წ.

---

# მაცხოვართან ერთი ნაბიჯით უფრო ახლოს მისვლა

რასელ ტ. ოსგუტორფი

საკვირაო სკოლის გენერალური პრეზიდენტი

---

მოქცევა არის სახარების სწავლებისა და  
შეცნობის მიზანი. მოქცევა არ არის  
ერთჯერადი მოვლენა. ეს არის მცდელობა  
მთელი სიცოცხლის მანძილზე ემსგავსებოდე  
მაცხოვარს.

---

ამ ზაფხულს ლიახონასა და ენზაინ ჟურნალებში  
გამოქვეყნდა ჩემს მიერ დაწერილი მოკლე სტატია. ჩემმა  
ვაჟიშვილმა email-ით მომწერა და მითხრა: „მამა, იქნებ  
შეგვატყობინო ხოლმე შენი სტატიის დაბეჭდვის შესახებ“?  
მე ვუპასუხე: „უბრალოდ მინდოდა მენახა, კითხულობთ თუ  
არა საეკლესიო ჟურნალებს“. მან პასუხად მომწერა, რომ  
მისი 10 წლის ქალიშვილმა „ჩააბარა ეს გამოცდა. მან  
საფოსტო ყუთიდან ენზაინი ამოიღო, სახლში დაბრუნდა და  
წაიკითხა. შემდეგ ჩვენს ოთახში შემოვიდა და შენი სტატია  
გვაჩვენა“.

ჩემმა შვილიშვილმა წაიკითხა ენზაინი, რადგან მას  
სწავლა სურდა. მან დამოუკიდებლად იმოქმედა და  
საკუთარი არჩევანი გააკეთა. პირველმა პრეზიდენტობამ  
ახლახანს დაამტკიცა ახალგაზრდობისთვის ახალი  
სასწავლო პროგრამები, რომლებიც დაეხმარებიან  
ახალგაზრდების სწავლის, ცხოვრებისა და სახარების  
გაზიარების ბუნებრივი სურვილის გაძლიერებაში. ეს ახალი  
სასწავლო პროგრამები უკვე ხელმისაწვდომია ინტერნეტში.

იანვარში ჩვენ დავიწყებთ მათ გამოყენებას კლასებში  
lds.org/youth/learn).

როცა მაცხოვარი ასწავლიდა, მოსწავლის არჩევანს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მან არა მარტო ის გვითხრა, რა ვასწავლოთ, არამედ ისიც, თუ როგორ ვასწავლოთ. ის მოსწავლის საჭიროებებზე ამახვილებდა ყურადღებას. ის ეხმარებოდა ცალკეულ ადამიანებს, აღმოეჩინათ ჭეშმარიტება საკუთარი თავისთვის. <sup>1</sup> ის ყოველთვის უსმენდა მათ შეკითხვებს. <sup>2</sup>

ეს ახალი სასწავლო პროგრამები ყველას დაგვებმარება იმაში, რომ ოჯახში და გაკვეთილებზე ვასწავლოთ მაცხოვრის მსგავსად. <sup>3</sup> როცა ასე მოვიქცევით, ჩვენ ვუპასუხებთ მის მოწვევას: „მომყევით მე“, <sup>4</sup> როგორც ეს უხუცესმა ჰეილსმა ასე მშვენივრად გვასწავლა. ამ ახალი პროგრამების განვითარების პროცესში, მე მიინახია ხელმძღვანელები და მასწავლებლები დამხმარე ორგანიზაციებსა და სემინარიებში, რომლებიც მშობლებთან ერთად თათბირობდნენ, როგორ დაეკმაყოფილებინათ მოსწავლეთა საჭიროებანი. მე მიინახავს ახალგაზრდა ქალები კლასებში, ახალგაზრდა მამაკაცები აარონის სამღვდლოების ქვორუმებში და ახალგაზრდები საკვირაო სკოლის გაკვეთილებზე, რომლებიც საკუთარი არჩევანის გამოყენებასა და დამოუკიდებლად მოქმედებას სწავლობდნენ.

ახალგაზრდებისთვის საკვირაო სკოლის ერთი მასწავლებელი ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ დახმარებოდა ორ აუტიზმის მქონე ახალგაზრდა მამაკაცს, ესწავლათ საკუთარი არჩევანის გაკეთება და დამოუკიდებლად მოქმედება. როცა მან სთხოვა მოსწავლეებს მოეყოლათ, თუ რას სწავლობდნენ ისინი, მას ეშინოდა, რომ ის ორი ახალგაზრდა გამოკითხვაში მონაწილეობას არ მიიღებდა. მაგრამ პირიქით: ერთი ადგა და გაუზიარა სხვებს, თუ რა ისწავლა და მეორეს სთხოვა აუტიზმით დაავადებულ ახალგაზრდას დახმარება. როცა პირველს გაუჭირდა, მეორე გვერდით დაუდგა და ყურში უჩურჩულებდა, რათა მეგობარს წარმატებულად ეგრძნო თავი. ორივენი ასწავლიდნენ იმ დღეს. ისინი ასწავლიდნენ იმას, რასაც მაცხოვარი ასწავლიდა, და ისე, როგორც მაცხოვარი აკეთებდა ამას.

მაცხოვარს სწავლებისას სიყვარული ამოდრავებდა იმის მიმართ, ვისაც ასწავლიდა, ზუსტად ისე, როგორც ამას იმ დღეს ერთი მეგობარი აკეთებდა მეორესთვის.<sup>5</sup>

როცა ჩვენ ვსწავლობთ და ვასწავლით უფლის სიტყვას მისივე მიდგომით, ჩვენ ვიღებთ მოწვევას: „მომყევით მე“. ჩვენ მას თითო ნაბიჯით მივყვებით. ყოველი ნაბიჯით ჩვენ ვუახლოვდებით მაცხოვარს. ჩვენ ვიცვლებით. უფალმა იცის, რომ სულიერი ზრდა უცებ არ ხდება. ის ნელ-ნელა მოდის. ყოველთვის, როცა ჩვენ ვიღებთ მის მოწვევას და ვაკეთებთ არჩევანს მივყვით მას, ჩვენ წინ მივიწევთ მოქცევის გზაზე.

მოქცევა არის სახარების სწავლებისა და შეცნობის მიზანი. მოქცევა არ არის ერთჯერადი მოვლენა. ეს არის მცდელობა მთელი სიცოცხლის მანძილზე ემსგავსებოდე მაცხოვარს. უხუცესმა დალინ ოუქსმა შეგვახსენა, რომ „ცოდნა“ არ არის საკმარისი. „რწმენაში მოქცევა . . . მოითხოვს ჩვენგან მოქმედებას და გარდაქმნას.“<sup>6</sup> ასე რომ, მოქცევის მიზნით სწავლა წარმოადგენს ცოდნის შეძენის, მოქმედებისა და გარდაქმნის უწყვეტ პროცესს. ამის მსგავსად, მოქცევის მიზნით სწავლებაც მოითხოვს ძირითადი მოძღვრების ცოდნას, მოქმედებისკენ მოწვევას და დაპირებულ დალოცვას.<sup>7</sup> ჭეშმარიტი მოძღვრების სწავლებისას ჩვენ ვებმარებით მოსწავლეს შეცნობაში. როცა ჩვენ მოვუწოდებთ სხვებს მოქმედებისაკენ, ამით ვებმარებით მათ, იცხოვრონ მოძღვრების მიხედვით. და როცა უფლის დაპირებულ დალოცვებს ვიღებთ, ჩვენ ვიცვლებით. ისევე, როგორც ალმას, ჩვენ შეგვიძლია გარდავიქმნათ ახალ ადამიანებად.<sup>8</sup>

ახალგაზრდობისთვის განკუთვნილ ახალ სასწავლო პროგრამებს აქვთ ერთი ძირითადი მიზანი: დაეხმარონ ახალგაზრდებს იესო ქრისტეს სახარებისკენ მოქცევაში. მე ახლახანს ვნახე ერთი ახალგაზრდა ადამიანი, ახალგაზრდობისთვის განკუთვნილ საკვირაო სკოლის გაკვეთილზე, რომელმაც თავისთვის ჭეშმარიტება აღმოაჩინა. როცა შევნიშნე, რომ მას გაუჭირდა გაეხსენებინა გამოსყიდვასთან დაკავშირებული მაგალითი საკუთარი ცხოვრებიდან, მე ვკითხე, უგრძვნია თუ არა მას როდესმე პატიება. მან მიპასუხა: „კი, როგორც მაშინ, ფეხბურთის



თამაშის დროს ცხვირი რომ გავუტეხე ბიჭს. მე ისე ცუდად ვიგრძენი თავი ამის გამო. ვეკითხებოდი საკუთარ თავს, რა უნდა მექნა იმისთვის, რომ თავი უკეთ მეგრძნო. მე მასთან სახლში წავიდი და პატიება ვთხოვე მას, თუმცა ვიცოდი, რომ ეს არ იყო საკმარისი. მე ვილოცე და მაშინ ვიგრძენი, რომ მამაზეციერმაც მომიტევა. აი რას ნიშნავს ჩემთვის გამოსყიდვა“.

როცა მან იმ დღეს კლასში ეს მაგალითი მოგვიყვა, წავვიკითხა იოანე 3:16— „რადგან იქამდე შეიყვარა ღმერთმა სოფელი, რომ მისცა თავისი ერთადერთი ძე“. შემდეგ მან დაამოწმა გამოსყიდვის ძალის შესახებ. ამის შემდეგ ეს მოძღვრება ამ ახალგაზრდა ადამიანისთვის აღარ იყო აბსტრაქტული ცნება. იგი მისი ცხოვრების ნაწილი გახდა, რადგან მან დასვა კითხვა, რის შემდეგაც მოქმედებისთვის თავისუფალი არჩევანი გამოიყენა.<sup>9</sup>

ეს ახალგაზრდა ადამიანი უფრო მეტად მოიქცა რწმენაში, ასევე თავისი კლასელებიც. მათ წმინდა წერილების შესწავლით მთელი ყურადღება გადაიტანეს ძირითად მოძღვრებაზე. ამ ახალგაზრდებმა ის წმინდა სიტყვები მოარგეს საკუთარ ყოფას, რის შემდეგაც დაამოწმეს იმ დალოცვების შესახებ, რომლებიც მოძღვრების მიხედვით ცხოვრების შედეგად, შემოვიდა მათ ცხოვრებაში. იესო ქრისტეს სახარების სწავლებისას ჩვენ მთელი ყურადღება გადაგვაქვს წმინდა წერილებზე და თანამედროვე წინასწარმეტყველების სიტყვებზე. წმინდა ტექსტზე დაყრდნობით ჩვენ ვეხმარებით რწმენის განძტკიცებაში, მოწმობის გაძლიერებაში და ვეხმარებით ყველას სრულად მოექცნენ. ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი ახალი სასწავლო პროგრამები დაეხმარება ყველას, ვინც იყენებს მათ, ღვთის სიტყვის გაგებასა და ამ სიტყვის მიხედვით ცხოვრებაში.

კოსტა-რიკაში წმინდანების სწავლებისას მე მათ სწავლება - არ არის ამაზე დიდი მოწოდებას სახელმძღვანელო ვაჩვენე და ვკითხე „აბა, რამდენს გაქვთ ეს წიგნი?“ თითქმის ყველამ ასწია ხელი. მე ღიმილით ვუპასუხე: „დარწმუნებული ვარ, თქვენ მას ყოველ დღე კითხულობთ“. ჩემდა გასაკვირად, იმის ნიშნად, რომ ეს ასეა, წინა რიგში ერთმა დამ ხელი ასწია. მე მას ვთხოვე

კათედრასთან გამოსულიყო და აეხსნა. მან მიპასუხა: „ყოველ დილით მე მორმონის წიგნს ვკითხულობ. შემდეგ სწავლება - არ არის ამაზე დიდი მოწოდებიდან ვკითხულობ რაიმეს, რათა საუკეთესოდ ვასწავლო ჩემს შვილებს ის, რაც ამწუთას შევიცანი“.

მას უნდოდა შეესწავლა და ესწავლებინა უფლის სიტყვა მისივი ხერხით, ამიტომ მან წმინდა წერილიდან შეისწავლა მისი სიტყვა, შემდეგ შეისწავლა ის, თუ როგორ ასწავლოს უფლის სიტყვა ისე, რომ შვილები მოაქციოს. ამ დის სახარების შესწავლისა და სწავლების პრინციპი უცებ არ ჩამოყალიბებულა. მან მიიღო გადაწყვეტილება ემოქმედა. რაც უფრო მეტს აკეთებდა ისეთს, რაშიც დარწმუნებული იყო, მით უფრო აძლიერებდა მას უფალი ევლო მისი გზით. ყოველ ნაბიჯზე ის იღებდა მაცხოვრის მოწვევას: „მომყევით მე“.

ზოგჯერ მოქცევის გზა გრძელი და რთულია. ჩემი სიძე 50 წლის განმავლობაში ნაკლებად აქტიური წევრი იყო. მან მხოლოდ 60 წლის ასაკში მიიღო მაცხოვრის მოწვევა. ამაში მას მრავალი ადამიანი დაეხმარა. ერთ-ერთი შინა მასწავლებელი ყოველ თვე, 22 წლის განმავლობაში, უგზავნიდა მას საფოსტო ბარათს, მაგრამ მას თვითონ უნდა გადაეწყვიტა სურდა თუ არა დაბრუნება. მას თავისუფალი არჩევანი უნდა გამოეყენებინა. მას უნდა მიეღო უფლის მოწვევა „მომყევით მე“. ამჟამად ის თავის მეუღლესთან ერთად ჩაბეჭდილია და საეპისკოპოსოში მსახურობს.

ცოტა ხნის წინ ჩვენ ვუჩვენეთ მას ვიდეოფილმი, რომელიც განკუთვნილია ხელმძღვანელებისა და მასწავლებლებისთვის ახალი სასწავლო პროგრამების დასანერგად. ფილმის დამთავრებისთანავე ჩემი სიძე, სკამის საზურგეს მიეყრდნო და ემოციურად თქვა: „ეს რომ მქონოდა ახალგაზრდობის დროს, იქნებ არ ჩამოვშორდებოდი ეკლესიას“.

რამოდენიმე კვირის წინ მე გავიცანი ახალგაზრდა მამაკაცი, რომელსაც პრობლემები ჰქონდა. ვკითხე, ეკლესიის წევრი თუ იყო. მან მიპასუხა, რომ აგნოსტიკი იყო, თუმცა ადრე ჰქონია შეხება ეკლესიასთან. როცა მე მას ვუამბე საკვირაო სკოლაში ჩემი მოწოდების შესახებ და რომ გენერალურ კონფერენციაზე სიტყვით უნდა

გამოვსულიყავი, მან თქვა: „თუკი შენ გამოხვალ სიტყვით, მე ვუყურებ სესიას“. იმედია ის დღეს მიყურებს. მე ვიცი, რომ თუ ის უყურებს კონფერენციას, რაიმეს ისწავლის. ეს კონფერენციის ცენტრი არის უნიკალური ადგილი, სადაც ხდება სწავლა და სწავლება მოქცევისათვის .

როცა ჩვენ ვცხოვრობთ იმ პრინციპებით, რომლებსაც გვასწავლიან ისინი, ვისაც ჩვენ მხარს ვუჭერთ, როგორც წინასწარმეტყველებს, ნათელმხილველებსა და განმაცხადებლებს, ჩვენ მაცხოვრის ხერხით ვსწავლობთ.<sup>10</sup> ჩვენ მასთან ერთი ნაბიჯით უფრო ახლოს მივდივართ. ამ კონფერენციის დასასრულს მე ვიწვევ ყველას, გადადგას ეს ნაბიჯი, მიიღოს უფლის მოწვევა - „მომყევით მე“. როგორც ძველ დროს ნეფიელებს, ჩვენც „შეგვიძლია დავბრუნდეთ სახლებში და ვიფიქროთ . . . იმაზე, რაც ითქვა, და ვთხოვოთ მამაზეციერს, ქრისტეს სახელით, რომ დაგვცხმაროს ყოველივე ამის გაგებაში“.<sup>11</sup>

ჩვენ გვინდა, რომ ყოველმა ახალგაზრდამ გაიგოს. ჩვენ გვსურს, რომ მათ ისწავლონ, ასწავლონ და ყოველდღიურ ცხოვრებაში იცხოვრონ იესო ქრისტეს სახარების თანახმად. უფალს ეს ყოველი თავისი შვილისთვის სურს. ხართ თქვენ ბავშვი, ახალგაზრდა თუ ზრდასრული ადამიანი, მე ყველას გიწვევთ მიჰყევთ ქრისტეს. მოდით და მიჰყევით მის ნაკვალევს. მე ვმოწმობ, რომ ყოველ გადადგმულ ნაბიჯზე უფალი გაგვაცდლიერებს ჩვენ. ის დაგვცხმარება გავიაროთ გზის დარჩენილი მონაკვეთი. შემდეგ, წინააღმდეგობის შეხვედრის შემთხვევაში, ჩვენ გავაგრძელებთ სიარულს. როცა ეჭვი გაგვიჩნდება, ჩვენ კვლავ გავაგრძელებთ სიარულს. ჩვენ არასდროს არ დავბრუნდებით უკან ჩვენ არ ჩამოვშორდებით გზას.

მე ვმოწმობ, რომ მამაღმერთი და მისი ძე, იესო ქრისტე, ცოცხლობენ. მე ვმოწმობ, რომ მხსნელი, დღესაც ისე, როგორც ძველ დროს, მოგვიხმობს : „მომყევით მე“. ჩვენ ყველას შეგვიძლია მივიღოთ მისი მოწვევა. მაცხოვრისკენ ერთი ნაბიჯის გადადგმით, ჩვენ ყველას შეგვიძლია ვისწავლოთ, ვასწავლოთ და ვიცხოვროთ მისი სიტყვის თანახმად . ამგვარი მოქმედებით ჩვენ ჭეშმარიტად მოვიქცევით რწმენაში. იესო ქრისტეს სახელით, ამინ

### მენიშვნები

1. იხ. იოანე 3:1–7. ამ ნაწყვეტში, მაცხოვარი პასუხობს ნიკოდემოსის მიერ დასმულ კითხვას. ის ასწავლიდა ნიკოდემოსს მისი საჭიროებების მიხედვით. მან ნება მისცა ნიკოდემოსს, სწავლისთვის გამოეყენებინა საკუთარი არჩევანი. იგი დაეხმარა ნიკოდემოსს თავისით ეპოვა პასუხი.
2. იხ. იოანე 3:4; ჯოზეფ სმითი - ისტორია 1:18.
3. იხ. “Teaching the Gospel in the Savior’s Way,” [lds.org/youth/learn/guidebook/teaching](https://lds.org/youth/learn/guidebook/teaching).
4. იხ. ლუკა 18:18–22.
5. იხ. 1 1 იოანე 4:19.
6. დალინ ჰ. ოუქსი, “The Challenge to Become,” *Liahona*, იანვარი 2001, 41: „დამოწმობა - ნიშნავს იცოდე და აცხადებდე. სახარება მიზნად გვისახავს ‘მოქცევას’, რაც მოითხოვს მოქმედებასა და გარდაქმნას. თუ რომელიმე ჩვენთაგანი მხოლოდ საკუთარ ცოდნასა და სახარების დამოწმებას ეყრდნობა, ის იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდება, როგორშიც კურთხევა მიღებული, მაგრამ, მაინც ჯერ კიდევ არასრულყოფილი მოციქულები, რომლებსაც იესო

- ‘მოქცევისაკენ’ მოუწოდებდა. ყოველი ჩვენთაგანი იცნობს ისეთ ადამიანს, რომელსაც ძლიერი დამოწმება აქვს, მაგრამ არ მოქმედებს მის საფუძველზე და ამიტომაც არ მოიქცევა“.
7. იხ. აბრაამი 2:11.
  8. იხ. მოსია 27:24–26; 2 კორინთელთა 5:17.
  9. იხ. დევიდ ა. ბედნარი, “Watching with All Perseverance,” *Liahona*, მაისი 2010, 43: „ვეხმარებით ჩვენ საკუთარ შვილებს დამოუკიდებლად იმოქმედონ და სწავლითა და რწმენით ეძიონ ცოდნა, თუ მივაჩვიეთ ისინი იმას, რომ უნდა ელოდონ და სხვისგან მიიღონ ცოდნა? ჩვენ, როგორც მშობლები, ძირითადად სულიერი თევზის ტოლფასს საკვებს ვაწვდით შვილებს, თუ გამუდმებით ვეხმარებით მათ მოქმედებაში, სწავლასა და მტკიცედ, ურყევად დგომაში? ვეხმარებით ჩვენ საკუთარ შვილებს, ჩაერთონ თხოვნის, ძიებისა და დაკაკუნების პროცესში?“.
  10. იხ. დენის ბ. ნოინშვანდერი, “Living Prophets, Seers, and Revelators,” *Liahona*, იანვარი 2001, 49–51; .
  11. 3 ნეფი 17:3.

# რწმენით ყველაფერი აღსრულდება

უხუცესი მარკუს ბ. ნემო  
სამოცდაათიანელთა ქვორუმიდან

რწმენა სახარების ბილიკზე უსაფრთხოდ  
ასვლაში დაგვებმარება, მიწიერი ცხოვრების  
სიძნელეებს დაგვაძლევინებს და  
დაგვაბრუნებს მამაზეციერის დიდებულ  
გარემოცვაში.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ ჩვენი ოჯახის რამოდენიმე წევრი ჰუაინა პიჩუს მწვერვალზე ავიდა, რაც პერუს მთებში ინკების უძველესი მაჩუ პიჩუს ნანგრევებს ესაზღვრება. ეს მეტად ციცაბო კლდეა, მომნუსხველი ხედებითა და ციცაბო კლდის კალთებით. სამწუხაროდ, ამ ვიწრო ციცაბო ბილიკებმა ზოგიერთი ადამიანის სიცოცხლეს კი შეიწირა. მსგავსი ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად ახლა ჰუაინა პიჩუს მთიან მხარეს კლდეზე უკვე ძლიერი ბაგირები მიმაგრებული. მთაზე ასვლისას, ჩვენ ამ ბაგირებს ვეჭიდებოდით და უშიშრად მწვერვალზე ავდიოდით. დიდებული ხედი იყო!

ზუსტად ისე, როგორც ჰუაინა პიჩუს ბილიკი, ჩვენი მიწიერი მგზავრობაც ციცაბო და რთული ასასვლელია, ისეთი, სადაც წარმატების მისაღწევად მამაზეციერის დახმარება გვჭირდება. ამ მიზნით მან დააწესა სახარების პრინციპები და წეს-ჩვეულებები, რომლებიც დაგვებმარებიან მივიდეთ მაცხოვართან და ვიგრძნოთ მისი გადამრჩენი ძალა.<sup>1</sup> პირველი ამ პრინციპებიდან, რომელიცაა იესო ქრისტეს რწმენა,<sup>2</sup> ჰუაინა პიჩუს ბაგირს ჰგავს: თუ რწმენა ძლიერი და უსაფრთხოა თან ჩვენი “მხსნელი

კლდეზე<sup>3</sup> მიმაგრებული, იგი სახარების ბილიკზე უსაფრთხოდ ასვლაში დაგვეხმარება, მიწიერი ცხოვრების<sup>4</sup> სიძნელეებს დაგვაძლევინებს<sup>2</sup> და დაგვაბრუნებს მამაზეციერის დიდებულ გარემოცვაში. ყველაფერი ხდება რწმენით.<sup>5</sup>

რწმენა არის როგორც მოქმედების, ასევე ძალის<sup>6</sup> პრინციპი. ეს არ ნიშნავს „ყველაფრის სრულყოფილ ცოდნას; მაშასადამე, თუ გვაქვს რწმენა, ჩვენ იმის იმედიც გვაქვს, რასაც ვერ ვხედავთ, რომელიც ჭეშმარიტია“. <sup>7</sup> ეს არის სწავლის შედეგად მოპოვებული სული წმინდის მეშვეობით მოპოვებული<sup>8</sup> დარწმუნება, რომელიც მოქმედებისკენ<sup>9</sup> გვიბიძგებს: მივსდით მხსნელის მაგალითს და ლოცვით დავიცვათ მისი მცნებები, მსხვერპლგაღებისა და გაჭირვების დროსაც კი.<sup>10</sup> რწმენას ჩვენთვის უფლის ძალა მოაქვს, რომელიც, ყველაფერთან ერთად, გამომჟღავნდება სიკეთის იმედის აღსრულებით,<sup>11</sup> სასწაულებით, რომლებიც ადასტურებენ რწმენას<sup>12</sup> და მიწიერ და სულიერ საქმეში ღვთაებრივის დაცვით.<sup>13</sup>

ეკლესიის ადრეული ხანის პიონერის, ენ როულის ცხოვრება, გვიჩვენებს, თუ როგორ შეუძლია რწმენის გამოვლენას უკეთესობისკენ შეცვალოს ჩვენი ცხოვრება. და როულიმ, ინგლისელმა ქვრივმა, გამოხატა თავისი რწმენა წინასწარმეტყველის მოწოდების მიმართ - სიონში შეკრებაზე. ის იყო უილლის ურიკებით მოგზაურთა ჯგუფში, რომელიც ხელის ურიკებით 1856 წლის შემოდგომით თოვლის დიდ ნამქერში მოჰყვა. დადგა ისეთი მომენტი, როცა და როულის შვიდი შვილი შიმშილობდა. იგი წერდა: „მე გული მტკიოდა ჩემი მშვიერი შვილების ყურებაში. . . ღამდებოდა და ვახშმისთვის არაფერი არ გვქონდა. მე ისე, როგორც ყოველთვის, ღმერთს ვთხოვე დახმარება. ლოცვისთვის რომ დავიჩოქე მახსოვდა, რომ . . . ზღვაზე მოგზაურობიდან დარჩა ორი ხმელი ორცხობილა. ისინი პატარები იყო და ისე გახმა, რომ არც კი ტყდებოდა. რა თქმა უნდა, 8 კაცისთვის საკმარისი არ იყო, მაგრამ არც 5 პური და 2 თევზი არ იყო საკმარისი 5 000 ადამიანისთვის, თუმცა იესომ სასწაული მოახდინა. ასე რომ, ღმერთის დახმარებით ყველაფერი შესაძლებელია. მე ორცხობილები ვიპოვე და თუჯის ქვაბში ჩავდე. წყალი დავასხი და ღმერთს

დალოცვა ვთხოვე. შემდეგ ქვაბს სახურავი დავახურე და ნაკვერჩხალზე შევდგი. ცოტა ხანში ქვაბს რომ სახურავი ავხადე, ის სავსე იყო. მე და ჩემმა ოჯახმა დავიჩოქეთ და ღმერთს მადლობა შევწირეთ. იმ ღამით ჩემს ოჯახს საკმარისი საკვები ჰქონდა“.<sup>14</sup>

ენ როული ცხოვრობდა სახარების პრინციპებით პირადი მსხვერპლგაღებით. მას დახმარება ესაჭიროებოდა და მან ეს ლოცვაში ითხოვა. თავისი რწმენის გამო ენი იმედით აღივსო და სასწაულებრივად მიიღო საკვები მშვიერი ოჯახისთვის. უფალმა ასევე დალოცა იგი მარადიულად მნიშვნელოვან შესაძლებლობით –“ბოლომდე რწმენაში“.<sup>15</sup> გაურკვეველი მომავლის მიუხედავად ის არ ითხოვდა ცოდნოდა, როგორ დაეპურებინა შვილები მეორე დღეს; ამის ნაცვლად ის „უფალს მიენდო“<sup>16</sup> და იმედით გააგრძელა ცხოვრება, ისე, როგორც ეს ლამაზ ჰიმნშია აღწერილი:

*გამიძებ, კეთილო სინათლევ, ამ სიბნელეში; იყავ ჩემი მეგზური!*

*ღამე ბნელია, მე სახლიდან შორს ვარ; იყავ ჩემი მეგზური!*

*შენ მატარე, მე არ გთხოვ დავინახო*

*ის, რაც შორს არის - ერთი ნაბიჯიც მეყოფა.<sup>17</sup>*

ჩვენც შეგვიძლია მსგავსი რწმენის გამოვლენა უფლის მიმართ, გვწამს რა, რომ ჩვენი კეთილი და მარადიული ღმერთი<sup>18</sup> დაგვლოცავს თავისი სასწაულებრივი ძალით თავის დროზე ისე, როგორც საჭიროა. ასე რომ მოვიქცევით, ჩვენც დავინახავთ ღვთის ხელს ჩვენს ცხოვრებაში.

უფალმა გვიბრძანა აგველო “რწმენის ფარი, რომელსაც აიფარებთ ბოროტთა ყოველიცეხლიანი ისრის წინააღმდეგ“.<sup>19</sup> სატანა ისეთ იარაღს გამოიყენებს, როგორცაა: ეჭვი, შიში ან ცოდვა - გვაცდუნოს ვიაროთ რწმენის გარეშე და დავკარგოთ დაცვა, რომელსაც იგი გვთავაზობს. მოდით დავაკვირდეთ ყოველ ასეთ სირთულეს, რომელიც უპირისპირდება რწმენას, რათა ამოვიცნოთ მტრის ცდუნება და არ ავყვეთ მას.<sup>20</sup>

პირველი: უფლისა და სახარების ურწმუნოება გვაიძულებს ღვთის სულის<sup>21</sup> უარყოფას. უფლის ეჭვის დასაძლევნი საშუალება მარტივია. როგორც მეფე ბენიამენმა

გამოაცხადა: „გწამდეთ ღმერთი; გწამდეთ მისი არსებობისა და იმის, რომ მან შექმნა ყველაფერი ცასა და დედამიწაზე; გწამდეთ, რომ მას აქვს ყოველი სიბრძნე და ძალა, როგორც ცაში, ისევე დედამიწაზე; გწამდეთ, რომ ადამიანს არ შეუძლია გაიგოს ყოველივე ის, რაც უფალმა იცის“.<sup>22</sup>

თუ თქვენი ურწმუნოებისა ან ეჭვის გამო შეამჩნევთ, რომ თქვენი რწმენა მერყეობს, გახსოვდეთ, რომ ძველი დროის მოციქულებიც კი ევედრებოდნენ უფალს: „მოგვიმატე რწმენა“.<sup>23</sup> დავიმახსოვროთ, რომ რწმენა და მიზეზი უცვლელი თანამგზავრები არიან და განვიხილოთ ასეთი ანალოგია: რწმენა და მიზეზი თვითმფრინავის ფრთებს ჰგავს. ორივე მნიშვნელოვანია ფრენის დროს. თუ თქვენი თვალსაზრისით მიზეზი ეწინააღმდეგება რწმენას, გაჩერდით და გაიხსენეთ, რომ ჩვენი ხედვა უფლის<sup>24</sup> ხედვასთან შედარებით განსაკუთრებულად შეზღუდულია. ისე, როგორც თვითმფრინავს ფრენის დროს არ მოუხსნით ფრთას, ასევე რწმენა არ გამოირიცხოთ. ამის ნაცვლად გააღვივეთ რწმენის ნამცეცი და ნება მიეცით იმედს, რომელსაც იგი ბადებს, იყოს თქვენი სულისა და მიზეზის ღუზა“.<sup>25</sup> აი რატომ გვიბრძანეს: „ეძიეთ ცოდნა . . . სწავლითა და ასევე რწმენით“.<sup>26</sup> გახსოვდეთ, რომ რწმენა წინ უძღვის და ქმნის სასწაულებს, ისეთებს, რომლებსაც საკუთარი გამოცდილებიდან იმ წუთას ახსნას ვერ ვუპოვით, როგორც ის თუჯის ქვაბი, რომელიც ორი ორცხობილით აივსო, ან უბრალოდ ყოველი უცნაურობის მიუხედავად რწმენით მოთმენა.<sup>27</sup>

მეორე: შიში ძირს უთხრის და ფანტავს მხსნელის რწმენას. მოციქულმა პეტრემ ერთ ქარიან ღამეს შეხედა უფალს თვალებში და წყალზე გაიარა, მაგრამ თვალი რომ აარიდა „ქარი დაინახა და შეეშინდა“ და ჩაძირვა დაიწყო.<sup>28</sup> მას შეეძლო წყალდაწყალ გაეგრძელებინა სიარული, რომ არ შეშინებოდა! იმის ნაცვლად, რომ შიშზე, ტალღებზე და ქარზე გავამახვილოთ ყურადღება, უფალი გვიწვევს „ყოველ აზრში მომენდეთ მე, გამიხსენეთ, ნუ დაეჭვდებით, ნუ შეგეშინდებათ“.<sup>29</sup>

მესამე: ცოდვა ამცირებს ჩვენს ცხოვრებაში სულიწმინდის არსებობას; სულიწმინდის გარეშე კი ჩვენ დაგვაკლდება სულიერი გამძლეობა, რომელსაც ვეჭიდებით



და რომლითაც რწმენას ვამჟღავნებთ. საუკეთესოა გამოვავლინოთ რწმენა ისე, რომ „არ შევეხოთ ბოროტ ძღვენს, არც სხვა რაიმე უწმინდურს“<sup>30</sup> და „ვიყოთ ბეჯითნი ყველა მცნების დაცვაში, თუ არა და . . . თქვენი რწმენა მიგატოვებთ და მტერი იზეიმებს თქვენზე“.<sup>31</sup> თუ ცოდვამ დაალაქავა თქვენი ცხოვრება გთხოვთ გამოავლინოთ „რწმენა მონანიებისკენ“<sup>32</sup> და მხსნელი, გამოსყიდვის მადლით, განწმენდს და გააჯანსაღებს თქვენს ცხოვრებას.

დებო და ძმებო, უფალი, ჩვენი რწმენის მიხედვით, შეასრულებს თავის დაპირებას და დაგვებმარება ყოველი სირთულის გადალახვაში.<sup>33</sup> მან ეს გააკეთა ენ როულისთვის და თავისი ხალხისთვის ყოველ ერში, დროსა და თაობაში. ვინაიდან იგი არის „სასწაულების ღმერთი“ და „არ იცვლება“, ის ყველას დაგვლოცავს იმედით, დაცულობითა და ძალით, ჩვენი მისადმი რწმენის მიხედვით.<sup>34</sup> ურყევი რწმენა უფალი იესო ქრისტესი ისე, როგორც ბაგირი ჰუაინა პიჩუს ბილიკზე მიგიყვანთ თქვენ და მათ, ვინც გიყვართ, „გამომსყიდველის კლდესთან“<sup>35</sup> და მის შეუდარებელ ხსნის ძალასთან.

პრეზიდენტმა თომას ს.მონსონმა ბრძანა: „რაოდენ ნათელიცაა თქვენი რწმენა, იმდენად ნათელი იქნება თქვენი მომავალი“. <sup>36</sup> მე ვმოწმობ ამ დიადი იმედის მომგვრელ ჭეშმარიტების შესახებ და გიწვევთ თითოეულ თქვენთაგანს იაროთ წინ უფლის რწმენით, „ურყევად“. <sup>37</sup> მე ვიცი, რომ მხსნელი ცოცხალია, რომ იგი არის „ჩვენი რწმენის ავტორი და განმახორციელებელი“<sup>38</sup> და ის, ვინც „თავის მაძიებელს დააჯილდოებს“. <sup>39</sup> მე ამას ვმოწმობ იესო ქრისტეს სახელით, ამინ.

### შენიშვნები

1. იხ. Doctrine and Covenants 84:19–21.
2. იხ. *არწმენის სიმბოლოები* 1:4.
3. ჰელამანი 5:12.
4. იხ. მოძღვრება და აღთქმები 76:53.
5. იხ. ეთერი 12:3.
6. იხ. *Lectures on Faith* (1985), 3; იაკობი 4:6; ეთერი 12:7–22; ; ებრაელთა 11:4–40.
7. ალმა 32:21.
8. იხ. Joseph Smith Translation, Hebrews 11:1 (in Hebrews 11:1, footnote b).
9. იხ. 2 ნეფი 25:23; ალმა 34:15–17; ეთერი 12:6; იაკობი 2:17–26.
10. იხ. ეთერი 12:4–6; *Lectures on Faith*, 69.
11. იხ. მორონი 7:40–42.
12. იხ. Bible Dictionary, “Faith.” იხ. ასევე მორმონი 9:8–21; მორონი 7:33–37.

13. იხ. მოძღვრება და აღთქმები 27:17 ; ალმა 57:19-27 ; 58:10-13.
14. ენ როული, ანდრიუ ოლსენის წიგნში, *The Price We Paid: The Extraordinary Story of the Willie and Martin Handcart Pioneers* (2006), 113.
15. მოძღვრება და აღთქმები 20:25.
16. ესაია 40:31.
17. "Lead, Kindly Light," *Hymns*, no. 97.
18. იხ. იაკობი 4:10 ; მორმონი 9:9.
19. მოძღვრება და აღთქმები 27:17.
20. იხ. 1 ნეფი 8:33-34 ; ალმა 37:33 ; მოძღვრება და აღთქმები 20:22.
21. იხ. ალმა 32:28.
22. მოსია 4:9.
23. ლუკა 17:5.
24. იხ. მოსია 4:9-10 ; იგავები 3:5-7 ; ესაია 55:8-9.
25. იხ. ეთერი 12:4.
26. მოძღვრება და აღთქმები 88:118.
27. იხ. მორონი 7:33-38 ; ეთერი 12:19.
28. იხ. მათე 14:25-31.
29. მოძღვრება და აღთქმები 6:36.
30. მორონი 10:30.
31. მოძღვრება და აღთქმები 136:42.
32. იხ. ალმა 34:15-17 ; იხ. ასევე ეთერი 12:3.
33. იხ. ეთერი 12:29 ; ალმა 7:27.
34. იხ. მორმონი 9:18-21 ; იხ. ასევე მორონი 7:33-38 ; ალმა 37:16-17.
35. ჰელამანი 5:12.
36. თომას ს. მონსონი "Be of Good Cheer," *Liahona*, მაისი, 2009, 92.
37. იხ. იაკობი 1:6-8.
38. მორონი 6:4 ; იხ. ასევე ებრაელთა 12:2.
39. ებრაელთა 11:6 ; იხ. ასევე ეთერი 12:41.

---

# ჭეშმარიტი მოწაფეობის გზაზე შედგომა

უხუცესი დენიელ ლ. ჯონსონი  
სამოცდაათიანელთა ჯვორუმიდან

---

*მცდელობით, დავემორჩილოთ უფლის  
მცნებებს და მოყვასის მსახურებით, ჩვენ  
იესო ქრისტეს უფრო კარგი მოწაფენი  
გავხდებით*

---

ჩვენს შორის ისინი, ვინც ნათლობის წყალში შევიდნენ და მიიღეს სული წმინდის ძღვენი, დადეს აღთქმა იმაზედ, რომ საკუთარი ნებით იღებენ თავის თავზე იესო ქრისტეს სახელს, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ ვაცხადებთ ჩვენს თავს უფლის მოწაფეებად. ყოველ კვირას ზიარების მიღებისას ჩვენ განვაახლებთ ამ აღთქმას და ჩვენი ცხოვრების წესით გამოვავლენთ მოწაფეობას. ასეთი მოწაფეობა შესანიშნავად გამომჟღავნდა ბოლო დროს მექსიკაში მომხდარი მოვლენების დროს.

მექსიკის ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც ხილი მოჰყავთ, მშვენიერი გაზაფხული იდგა. ხეხილი ყვაოდა, ყველა უხვ მოსავალს ელოდა. ხალხი უკვე ადგენდა გეგმებს სესხების დაფარვის, მოძველებული ტექნიკის შეცვლის, დაბერებული ხეების ჩანაცვლებისა და პირადი გეგმების - როგორცაა სწავლის გადასახადი - შესახებ. ირგვლივ ოპტიმიზმის ატმოსფერო სუფევდა. შემდეგ, მარტის ბოლოს, ორშაბათს შუადღეს, ზამთრის ქარიშხალი შემოიჭრა და თოვა დაიწყო. დაახლოებით ღამის სამ საათამდე თოვდა. შემდეგ, ღრუბლები რომ დაიშალა, მკვეთრად დაეცა ტემპერატურა. მთელი ღამე გათენებამდე ყველა ღონე იქნა გამოყენებული იმისთვის, რომ ნაწილობრივ მაინც გადაერჩინათ ხეხილი, მაგრამ ამაოდ. უბრალოდ ისე აცივდა, რომ ხილი გაიყინა. იმ

წელს ხილის მოსავალი არ იქნებოდა. სამშაბათი გათენდა ჯერ კიდევ გუშინდელი შესანიშნავი გეგმების, იმედების და ოცნებებისგაცრუებით.

მე იმ საშინელი სამშაბათის დილის შესახებ სანდრა ხეჩის (ჯონ ხეჩის, კოლონია ხუარეს ჩიხუახუა ტაძრის პრეზიდენტობის პირველი მრჩეველის) მეუღლისგან e-mail-ით შევიტყვე. მე ვახდენ ამ წერილის ნაწილობრივ ციტირებას: „ჯონი ადრე, დაახლოებით დილის 6:30 ადგა და ტაძარში გაიქცა, რათა ენახა, უნდა გაეუქმებინა თუ არა დილანდელი სესია. ის დაბრუნდა და თქვა, რომ მანქანების სადგომი და გზები ცარიელი იყო, ასე რომ, ჩვენ სესიის ჩატარება გადავწყვიტეთ. ჩვენ ვიფიქრეთ, რომ ის ტაძრის მსახურები, ვისაც ბაღები არ ჰქონდათ, მოვიდოდნენ ტაძარში და ჩვენ ყველას ერთ სესიაზე შევიყვანდით. . . . ეს ისეთი ამბოღებული განცდა იყო, როდესაც მსახურები, უძილო ღამისა და მას შემდეგ, რაც დარწმუნდნენ, რომ მათი მოსავალი გაფუჭდა, რიგ-რიგობით შემოდოდნენ ტაძარში. . . . მე ვაკვირდებოდი მათ ჩვენი მოსამზადებელი შეკრების დროს და ვხედავდი, რომ ძალიან უჭირდათ ფხიზლად ყოფნა. მიუხედავად იმისა, რომ მათ არ გამოცხადებისთვის საკატიო მიზეზი ჰქონდათ, ისინი მაინც მოვიდნენ. 38 ადამიანი გამოცხადდა და სესია სრულად ჩატარდა! ჩვენთვის ეს სულის ასამბლავი დილა იყო და ჩვენ მადლობა გადავუხადეთ ზეციერ მამას იმ კარგი ადამიანებისათვის, რომლებიც მიუხედავად ყველაფრისა ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს. იმ დილით მე იქ განსაკუთრებული სული ვიგრძენი. მე დარწმუნებული ვარ, რომ უფალი ხარობდა იმით, რომ ჩვენ გვიყვარს მისი სახლი და იმ მძიმე დილით ვიგრძენით, რომ ეს სამყოფად საუკეთესო ადგილი იყო.

თუმცა ამბავი ამით არ მთავრდება.

უმეტესობას, ვინც ხილის მოსავალი დაკარგა, ნაკვეთები ჰქონდათ, სადაც შეეძლოთ სეზონური მოსავალი - ჩილი ან ლობიო დაეთესათ. ამ მოსავლით ისინი შემდეგ მოსავლამდე, მაინც გაიტანდნენ თავს. თუმცა იყო ერთი კარგი ძმა, რომელსაც ახალგაზრდა ოჯახი ჰქონდა, მაგრამ ნაკვეთი არ გააჩნდა და ამიტომაც შემოსავლის წყარო არ არსებობდა. სამეზობლომ, ამ ტრაგიკული მდგომარეობის

შემხედვარემ, ინიციატივა გამოიჩინა და საკუთარი ხარჯებით მას ნაკვეთი აულო, პირადი ტექნიკით მიწა დაამუშავა და ჩილის ნერგებიც შეუძინა.

მე პირადად ვიცნობ ადამიანებს, რომლებზედაც ახლა მოგიყვით. და რადგან მე მათ ვიცნობ, სულაც არ გამკვირვებია მათი საქციელი. მაგრამ ისინი, ვინც მათ არ იცნობენ, ალბათ დავამენ ორ კითხვას და ორივე დაიწყება საიტყვით რატომ. რატომ მოვიდნენ ისინი ტაძარში თავისი ვალდებულებების შესასრულებლად უძილო ღამის შემდეგ, იმ დროს, როცა მთელი წლის შემოსავალი დაკარგეს? რატომ გამოიყენეს მწირი ძვირფასი დანაზოგი სხვა გაჭირვებული ადამიანის დასახმარებლად მაშინ, როცა თვითონ იმყოფებოდნენ გასაჭირში?

თუ იცით, რას ნიშნავს იყო იესო ქრისტეს მოწაფე, თქვენ ამ კითხვებზე პასუხებიც გეცოდინებათ.

დადო აღთქმა გახდე ქრისტეს მოწაფე არის დასაწყისი, ეს პროცესი მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძელდება და არჩეული გზა ყოველთვის ადვილი როდია. ცოდვების მონანიებით, მცდელობით ვაკეთოთ ის, რაც უფალს სურს და მოყვასის მსახურებით ისე, როგორც უფალი ემსახურებოდა, ჩვენ აუცილებლად დავემსგავსებით მას. დავემსგავსოთ მას და გავხდეთ მასთან ერთიანი არის ჩვენი საბოლოო მიზანი, მისწრაფება და ჭეშმარიტი მოწაფის აუცილებელი განსაზღვრება.

მაცხოვარმა ჰკითხა თავის მოწაფეებს, როდესაც ის ეწვია ამერიკის კონტინენტს, როგორი ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ ისინი და თავისივე კითხვის პასუხად თქვა, რომ თავისნაირნი უნდა იყვნენ (3 ნეფი 27:27).

არ არის ადვილი დაემსგავსო მაცხოვარს, განსაკუთრებით იმ სამყაროში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. თითქმის ყოველდღე ჩვენ დაბრკოლებებისა და გაჭირვების წინაშე ვდგებით. ამისთვის არსებობს მიზეზი, და ეს მიწიერი ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. როგორც წერია აბრაამის წიგნში 3:25, ღმერთმა თქვა, რომ ჩვენ გამოგვცდიან იმისთვის, რომ დაინახონ, შევასრულებთ თუ არა ყველაფერს ისე, როგორც გვიბრძანეს.

ეს გამოცდები და ტესტები განსხვავდება ბუნებითა და ძალით. მაგრამ არავინ არ წავა ამ მიწიერი ცხოვრებიდან

ისე, რომ არ გაიაროს ისინი. უმეტეს შემთხვევაში ჩვენ წარმოვიდგენთ დანაკარგს, როგორც მოსავლის, სამსახურის, ახლობელი ადამიანის დაკარგვას, ავადმყოფობას, ფიზიკურ, მენტალურ ან ემოციურ დარღვევებს, სიღარიბეს ან მეგობრის დაკარგვას. თუმცა, მიწიერ განზომილებაში ღირებულ მიზნების მიღწევებს შესაძლოა თავისი საფრთხე ახლდეს თან, ისეთი, როგორიცაა ძნელად დასაძლევ ამაპარტავნება, როდესაც ჩვენ უფრო მეტად მივიღწევთ ადამიანური პატივმოყვარეობისკენ, ვიდრე ზეციურის წინაშე დამსახურების მოსაპოვებლად. პოპულარობა, საზოგადოებაში სახელის მოხვეჭა, ფიზიკური შესაძლებლობები, სამსახიობო ან ათლეთური ნიჭი, წარმატება და სიმდიდრე არის ამ პატივმოყვარეობის სიაში. როცა საქმე ეხება ამ ჩამონათვალს, ზოგიერთს შეიძლება გაუჩნდეს ისეთი გრძნობები, როგორც ახლდა ტევიეს ფილმიდან *მევიოლინე სახურავზე*: „თუ სიმდიდრე წყევლაა, ღმერთმა დამწყევლოს ამ წყევლით ისე, რომ ვერასდროს ვერ ამოვიდე ამ წყევლიდან“!<sup>1</sup>

მსგავსი გამოცდები ზოგჯერ უფრო სახიფათო და უფრო რთული გადასალახავია, ვიდრე ადრე ნახსენები. ჩვენი მოწაფეობა განვითარდება და დამტკიცდება არა იმის მიხედვით, თუ რა სახის გამოცდებს წარვუდგებით წინ, არამედ იმით, თუ როგორ გავუმკლავდებით მათ. როგორც პრეზიდენტი ჰენრი ბ. აირინგი გვასწავლის: “ცხოვრების დიდი გამოცდა იმაში მდგომარეობს, რომ დავინახოთ, დავუგდებთ ყურს და დავემორჩილებით ღვთის მცნებებს ცხოვრებისეული ქარიშხლების დროს თუ არა. მთავარი ის კი არაა, გაუძლო ქარიშხალს, არამედ ის, რომ მისი მძვინვარებისას გააკეთო სწორი არჩევანი. და ზუსტად ამაშია ცხოვრების ტრაგედია, რომ ადამიანი ვერ გადის ამ გამოცდას და მაშასადამე ვერ ხდება ღირსი იმისა, რომ დიდებით დაბრუნდეს ჩვენს ზეციურ სახლში” (“Spiritual Preparedness: Start Early and Be Steady,” *Liahona*, Nov. 2005, 38)

მე ვამაყობ იმით, რომ 23 შვილიშვილი მყავს. ისინი გაუთავებლად მაკვირვებენ თავიანთი მარადიული ჭეშმარიტების გაგებით, მაშინაც კი, როცა სულ პატარები არიან. როცა ამ გამოსვლისთვის ვემზადებოდით, მე ვთხოვე

თითოეულ მათგანს, გამოეგზავნათ ჩემთვის სულ მოკლე განმარტება იმისა, თუ რას ნიშნავს მათთვის იყო ქრისტეს მოწაფე ან მიმდევარი. ყველამ შესანიშნავი პასუხი გამცა, მაგრამ მინდა გაგიზიაროთ რვა წლის ბენჯამინის სიტყვები: „იყო იესო ქრისტეს მოწაფე ნიშნავს იყო სხვებისთვის მაგალითი. ეს ნიშნავს იყო მისიონერი და ემზადებოდე მისიისთვის. ეს ნიშნავს ემსახურო სხვებს. ეს ნიშნავს იმას, რომ უნდა იკითხო წმინდა წერილები და ილოცო. ეს ნიშნავს წმინდად შეინახო კვირა დღე. ეს ნიშნავს უსმინო სული წმინდის კარნახს. ეს ნიშნავს ეკლესიაში და ტაძარში სიარულს“.

მე ვეთანხმები ბენჯამინს. მოწაფეობა ნიშნავს მოქმედებას და ჩამოყალიბებას. უფლის მცნებების დაცვითა და სხვების მსახურებით, ჩვენ ქრისტეს უფრო კარგი მოწაფეები ვხდებით. მისადმი მორჩილება და მისი ნების მიმართ დამორჩილება სიმშვიდის, სიხარულისა და უსაფრთხოების კურთხევასთან ერთად, სული წმინდის თანხლებასაც განაპირობებს. არ არსებობს ამის მისაღებად სხვა ხერხი. უფლისადმი ჩვენი ნების სრული მორჩილება გვებმარება დავემსგავსოთ მაცხოვარს. და კვლავ, დავემსგავსოთ უფალს და გავხდეთ მასთან ერთიანი - ეს არის ჩვენი საბოლოო მიზანი, მისწრაფება და ჭეშმარიტი მოწაფეობის განსაზღვრება.

მოწაფეობა არის ის, რასაც მე კოლონია ხუარეს ტაძარში და მის მდებარე ტერიტორიაზე ვხედავდი, როცა ერთ რწმენაში გაერთიანებული დები და ძმები, მიუხედავად უბედურებით გამოწვეული გულგაცრუებისა, ხელახლა გამოხატავდნენ სიმტკიცეს ღმერთისა და ერთმანეთის წინაშე აღებულ ვალდებულებების მიმართ.

მე ვმოწმობ, რომ როცა ჩვენ ვემორჩილებით უფლის მცნებებს, ვემსახურებით სხვებს და ვუმორჩილებთ საკუთარ ნებას უფლის ნებას, ჩვენ ნამდვილად მისი ჭეშმარიტი მოწაფენი ვხდებით. მე ამას ვმოწმობ იესო ქრისტეს სახელით, ამინ.

*Note*

1. See Joseph Stein, Jerry Bock, Sheldon Harnick, *Fiddler on the Roof* (1964), 61.

---

# ზიარების დალოცვა

უხუცესი დონ რ. კლარკი

სამოცდაათიანელთა ჭკორუმიდან

---

*ჩვენ დალოცვილნი ვიქნებით, როცა იესო ქრისტეს გამოსყიდვისთვის მადლიერებას ვიგრძნობთ, ნათლობის აღთქმას განვაახლებთ, ვიგრძნობთ მიტევებას და მივიღებთ სული წმინდის შთაგონებას.*

---

მე დავიბადე აიდაჰოში, რექსბურგში, სადაც მშვენიერი ოჯახი, მეგობრები, მასწავლებლები და ხელმძღვანელები მასწავლიდნენ და გავლენას ახდენდნენ ჩემზე. ყველას ცხოვრებაში ჰქონია განსაკუთრებული განცდები, რომლებიც ჩვენს სულს შეეხნენ და სამუდამოდ შეცვალეს ჩვენი ცხოვრება. ერთი ასეთი შემთხვევა მე ახალგაზრდობაში მქონდა. ამ გამოცდილებამ ჩემი ცხოვრება შეცვალა.

მე ყოველთვის ეკლესიის აქტიური წევრი ვიყავი და აარონის სამღვდელოების წოდებაში თანდათანობით მაღალ საფეხურზე მასხამდნენ ხელს. როდესაც მოზარდი ვიყავი, ძმა ჯეიკობსმა, ჩემმა მასწავლებელმა, გვთხოვა დაგვეწერა ბარათზე, თუ რას ვფიქრობდით ზიარების დროს. მე ავიღე ბარათი და დავიწყე წერა. სიაში პირველი კალათბურთის თამაში აღმოჩნდა, რომელიც ჩვენ გუშინ მოვიგეთ, შემდეგ პაემანი, რომელზედაც თამაშის შემდეგ წავედი და ა.შ. სადღაც სიის ბოლოს და შეუმჩნევლად იესო ქრისტეს სახელი აღმოჩნდა.

ყოველ კვირას ჩვენ ბარათს ვავსებდით. ახალგაზრდა აარონის მღვდლობის მატარებლისთვის ზიარებას და ზიარების შეკრებას ახალი, გაფართოვებული, სულიერი მნიშვნელობა მიეცა. მე მოუთმენლად ველოდი კვირას და ზიარების მიღებას, რადგან ვხვდებოდი, რომ მაცხოვრის



გამოსყიდვა ჩემში ცვლილებებს იწვევდა. ყოველ კვირას, დღემდე, ზიარების მიღებისას, მე თვალწინ ის ბარათი მიდგას და სიას ვკითხულობ. ახლა ყოველთვის ამ ბარათის თავში კაცობრიობის მხსნელი დგას.

ახალ აღთქმაში ჩვენ ვკითხულობთ მხსნელსა და მის მოციქულებზე, როდესაც ისინი ზედა ოთახში შეიკრიბნენ საპასეჟო დღესასწაულის აღსანიშნავად.

„აიღო პური, მადლი შესწირა, დატეხა, დაურთო მათ და უთხრა: ეს ჩემი სხეულია, რომელიც თქვენთვის მიეცემა. ეს გააკეთეთ ჩემს მოსაგონებლად.

ასევე აიღო სასმისი სერობის შემდეგ და თქვა: ეს სასმისი არის ახალი აღთქმა ჩემს სისხლში, თქვენთვის რომ იღვრება.“<sup>1</sup>

იესომ ზიარების წეს-ჩვეულება დააწესა ნეფიელებთან ყოფნის დროსაც.<sup>2</sup> მე ამ ორი საკითხის მნიშვნელობა გავიგე.

პრეზიდენტმა დევიდ ო.მაკქეიმმა თქვა: „მე ვგრძნობ, რომ ხაზი უნდა გავუსვა იმას, რაც უფალმა დააწესა, როგორც ეკლესიაში ყველაზე მნიშვნელოვანი შეკრება და ეს ზიარების შეკრებაა“.<sup>3</sup> თუ ჩვენ შესაბამისად მოვემზადებით ზიარებისთვის, ეს ჩვენს ცხოვრებას შეცვლის. მე სურვილი მაქვს შემოგთავაზოთ ხუთი პრინციპი, რომელსაც შეუძლია ჩვენი ცხოვრების შეცვლა, თუ, რა თქმა უნდა, ჩვენ ღირსეულად მივიღებთ ზიარებას.

## I. იესო ქრისტეს გამოსყიდვისთვის მადლიერების გრძნობა

პირველი პრინციპი - ზიარების დროს იქონიო მადლიერების გრძნობა მამაზეციერის მიმართ მისი ძის გამოსყიდვის გამო. ზიარების დარიგებასთან დაკავშირებით მოგიყვებით ასეთ ამბავს.

„ზიარებას არასდროს არ ჰქონია ჩემთვის დიდი მნიშვნელობა იმ დრომდე, სანამ დიაკვნად არ დამასხეს ხელი. იმ დღეს მე პირველად ვარიგებდი ზიარებას. შეკრების დაწყებამდე ერთ-ერთმა დიაკვანმა გამაფრთხილა: ‘ძმა შმიდტის მიმართ ყურადღებით იყავი. შეიძლება მისი გაღვიძება მოგიწიოს!’ და აი დადგა დრო, როცა ზიარება უნდა დამერიგებინა. პირველ ექვს რიგში უპრობლემოდ ჩამოვატარე. ბავშვებიც და უფროსებიც იღებდნენ ზიარების პურს. შემდეგ მეშვიდე რიგში

გადავინაცვლე, იქ, სადაც ყოველთვის ძმა შმიდტი იჯდა. გამიკვირდა, რადგან მძინარე ადამიანის ნაცვლად ფხიზელი კაცი დავინახე. სხვებისგან განსხვავებით, მან დიდი პატივისცემითა და ღრმა ფიქრებით მოცულმა აიღო პური.

„რამოდენიმე წუთის შემდეგ მე ისევ მივუახლოვდი მეშვიდე რიგს წყლის დასარიგებლად და დავრწმუნდი ჩემი მეგობრის სიტყვებში. ძმა შმიდტი თავჩაღუნული იჯდა. მას დიდი გერმანული თვალებიდახუჭული ჰქონდა. ცხადი იყო, რომ ეძინა. რა უნდა მექნა ან მეთქვა? რაღაც წამების განმავლობაშიწარბეზზე ვაკვირდებოდი. მას შუბლზე სირთულეებისა და ხანგრლივი შრომის კვალი ემჩნეოდა. ის მოზარდის ასაკში მოინათლა, რის გამოც მას გერმანიაში, თავის პატარა ქალაქში, დიდი ხნის განმავლობაში ავიწროვებდნენ. მე ეს ამბავი ბევრჯერ მომისმენია ზიარებისა და დამოწმების შეკრებებზე. გაღვიძების მიზნით მე გადავწყვიტე მხარზე შევხებოდი მას. მან ნელა ასწია თავი. ძმა შმიდტს ლოყებზე ცრემლები ჩამოსდიოდა. თვლებში რომ ჩაეხედე, სიყვარული და სიხარული დავინახე. მან ჩუმად აიღო წყალი. მიუხედავად იმისა, რომ სულ თორმეტი წლის ვიყავი, მე დღესაც ნათლად მახსოვს გრძნობა, რომელიც ზიარების მიღებისას გამიჩნდა ამ დანაოჭებული ადამიანის ყურების დროს. მე ყოველგვარი ეჭვის გარეშე ვიცოდი, რომ ეს ადამიანი ისეთ რამეს გრძნობდა ზიარების დროს, რაც მე არასოდეს განმიცდია. მაშინ გადავწყვიტე, რომ მეც მივლოდა განმეცადე იგივე გრძნობები, რაც მას ჰქონდა.“<sup>4</sup>

ძმა შმიდტი ზეცას ესაუბრებოდა, ზეცა კი ესაუბრებოდა მას.

## II. გახსოვდეთ, რომ ჩვენ ვანახლებთ ნათლობის აღთქმას

მეორე პრინციპი - გვახსოვდეს, რომ ზიარების მიღებისას ვანახლებთ ჩვენს ნათლობის აღთქმას. ზოგიერთი ჩვენი დაპირება მოხსენიებულია წმინდა წერილებში:

„მოვიდეთ ღვთის ფარაში და დაგვიძახონ მისი ხალხი, . . . ვატაროთ ერთმანეთის ტვირთი, . . . ვიგლოვოთ მგლოვიარებთან . . . , რათა ვიყოთ ღვთის მოწმენი“.<sup>5</sup>

„მოდით მოდრეკილი გულით და მომნანიებელი სულით, . . . აიღეთ საკუთარ თავზე იესო ქრისტეს სახელი და მიიღეთ გადაწყვეტილება, ბოლომდე ემსახუროთ მას“, <sup>6</sup> დაიცვათ მისი მცნებანი და ყოველთვის გახსოვდეთ იგი.<sup>7</sup>

ზიარების ლოცვები გვახსენებს ამ აღთქმას. ზიარების მიღებისას ჩვენ ვანახლებთ საკუთარ ვალდებულებას - ვიცხოვროთ ამ აღთქმის თანახმად. მე მჯერა, რომ კარგი იქნებოდა ზიარების ლოცვების დაზეპირება გულითაც და გონებითაც. ეს დაგვეხმარება, მთლიანად გადავიტანოთ ყურადღება ჩვენი ნათლობის აღთქმის განახლებაზე. არა აქვს მნიშვნელობა, ვიყავით 8 წლის თუ 80-ის, როცა მოვინათლეთ, მაგრამ იმედია არასოდეს დავივიწყებთ იმ დღეს და ჩვენს მიერ დადებულ აღთქმას.

### III. ზიარების დროს შეგვიძლია ვიგრძნოთ ჩვენი ცოდვების მიტევება

მესამე- ზიარების დროს ჩვენ შეგვიძლია ვიგრძნოთ საკუთარი ცოდვების მიტევება. თუ ზიარებამდე ცოდვებს ვინანიებთ, ზიარების მიღების შემდეგ სისუფთავესა და სიწმინდეს ვიგრძნობთ. პრეზიდენტმა ბოიდ კ. პეკარმა თქვა: „ზიარება პატიების პროცესს ანახლებს. ყოველ კვირეული ზიარების დარიგება არის მიტევების პროცესის განახლება. . . . ყოველ კვირას ჩვენ ვიწმინდებით, რათა დანიშნულ დროს, გარდაცვალებისას, სული გვქონდეს სუფთა.“<sup>8</sup> ზიარების მიღება ღირსეულად დაგვეხმარება თავი ვიგრძნოთ ისე, როგორც მეფე ბენიამენის ხალხმა, რომელიც „ცოდვების მიტევების შემდეგ სიხარულით აღივსო და სინდისი დაიმშვიდა.“<sup>9</sup>

### IV. ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ შთაგონება ჩვენი პრობლემების გადასაწყვეტად

მეოთხე პრინციპი - ჩვენ ზიარების შეკრების დროს, პირადი პრობლემების გადასაწყვეტად, შეგვიძლია შთაგონება მივიღოთ. ბოლივიაში ჩემი მისიის პრეზიდენტად ყოფნის დროს, მე და ჩემმა მეუღლემ, მარი ენმა, მივიღეთ დალოცვა - დავესწროთ მისიის პრეზიდენტის სემინარს, სადაც პრეზიდენტი ჰენრი ბ. აირინგი იმყოფებოდა. ამ შეკრებაზე ის გვასწავლიდა, რომ შეკრებიდან სარგებლობის მისაღებად არსებობს სამი

მნიშვნელოვანი ხერხი. ჩვენ თან უნდა მოვიტანოთ პრობლემები, გავხდეთ სწავლის მიმართ ბავშვებივით მორჩილნი და ვიქონიოთ სურვილი - დავეხმაროთ ღვთის შვილებს.

როცა ჩვენ მორჩილად მოვდივართ ზიარებაზე, შეგვიძლია ვიგრძნოთ, თუ როგორ გადავწყვიტოთ ყოველდღიური პრობლემები. ჩვენ უნდა მომზადებული მოვიდეთ, ყურადღებით მოვისმინოთ და არ გავფანტოთ გონება. წმინდა წერილში ვკითხულობთ: „მაგრამ აჰა, გეუბნებით თქვენ, რომ უნდა შეისწავლოთ ეს გონებაში; შემდეგ მკითხოთ, სწორია ეს თუ არა და თუ სწორია, მოვახდენ ისე, რომ შენ მკერდში სითბოს იგრძნობ; მაშასადამე, გეცოდინება, რომ ეს სწორია.“<sup>10</sup> ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ, რა უნდა მოვიმოქმედოთ ჩვენი პრობლემების გადასაწყვეტად.

#### **V. ღირსეულად ზიარების მიღება დაგვეხმარება - აღვივსოთ სულიწმინდით**

მეხუთე პრინციპი - ზიარების ღირსეულად მიღება, დაგვეხმარება აღვივსოთ სულიწმინდით. იესომ, ნეფიელებთან ზიარების დაწესების დროს განაცხადა: „ის, ვინც ჭამს ამ პურს, ჩემს სხეულს ჭამს საკუთარი სულისთვის; და ის, ვინც ამ ღვინოს სვამს, ჩემს სისხლს სვამს სულისთვის; და მისი სული არც შიმშილს და არც წყურვილს არ განიცდის არამედ გაივსება“.<sup>11</sup> მათ მიიღეს დაპირება, რომ თუ სამართლის მიმართ წყურვილი და შიმშილი ექნებოდათ, სულიწმინდით აღვივებოდნენ. ზიარების ღოცვა ასევე გვპირდება, რომ თუ აღთქმას დავიცავთ, მისი სული ყოველთვის იქნება ჩვენთან.<sup>12</sup>

უხუცესმა მელვინ ჯ. ბალარდმა თქვა: „მე მოწმე ვარ იმისა, რომ სული წმინდა მოეფინება ზიარების დროს და სითბო შემოაქვს სულში; ჩვენ ვგრძნობთ, როგორ იკურნება სული და ტვირთი გვცილდება. ნუგეში და ბედნიერება შემოდის სულში, რომელიც ღირსეულია და ჭეშმარიტად ეძებს სულიერ საკვებს“.<sup>13</sup>

ჩვენ დალოცვილნი ვიქნებით, როცა იესო ქრისტეს გამოსყიდვისთვის მადლიერებას ვიგრძნობთ, ნათლობის აღთქმას განვაახლებთ, ვიგრძნობთ მიტევებას, და ყოველ კვირას, ზიარების მიღებისას, მივიღებთ სული წმინდის

შთაგონებას. ზიარების შეკრება ყოველთვის დიდებული იქნება, თუ ზიარებას ჩვენი ღვთის მსახურების მთავარ როლს მივანიჭებთ. მე მადლობელი ვარ იესო ქრისტეს გამოსყიდვისთვის. მე ვიცი, რომ ის ცოცხალია. იესო ქრისტეს სახელით, ამინ.

**შენიშვნები**

- |   |   |
|---|---|
| <ol style="list-style-type: none"> <li>1. ლუკა 22:19–20.</li> <li>2. იხ. 3 ნეფი 18.</li> <li>3. დევიდ ო. მაკქეი, in Conference Report, ოქტომბერი 1929, 11.</li> <li>4. <i>Book of Mormon Student Manual</i> (Church Educational System manual, 1979), 417.</li> <li>5. მოსია 18:8–9.</li> <li>6. მოძღვრება და აღთქმები 20:37.</li> <li>7. იხ. მოძღვრება და აღთქმები 20:77.</li> </ol> | <ol style="list-style-type: none"> <li>8. ბოიდ კ. პეკარი, <i>Mine Errand from the Lord</i> (2008), 196.</li> <li>9. მოსია 4:3.</li> <li>10. მოძღვრება და აღთქმები 9:8.</li> <li>11. 3 ნეფი 20:8.</li> <li>12. იხ. მოძღვრება და აღთქმები 20:77.</li> <li>13. Melvin J. Ballard, in Bryant S. Hinckley, <i>Sermons and Missionary Services of Melvin Joseph Ballard</i> (1949), 149.</li> </ol> |
|---|---|

---

# უფლისკენ მოქცეულნი

უხუცესი დევიდ ა. ბედნარი  
თორმეტ მოციქულთა ჯვორუმიდან

---

*მოწმობის არსი არის იმის ცოდნა, რომ სახარება ჭეშმარიტია. მოქცევის არსი არის იყო თანმიმდევრულად სახარების ერთგული.*

---

ჩემს გზავნილში ძირითად ყურადღებას ვუთმობ იმას, თუ რა კავშირია, ერთი, რომ იღებ მოწმობას იმაზედ, რომ იესო არის ქრისტე და მეორე, ქრისტესკენ და მის სახარებაში მოქცევას შორის. როგორც წესი, ჩვენ მოწმობისა და მოქცევის თემებს განვიხილავთ დამოუკიდებლად და ცალ-ცალკე. მიუხედავად ამისა, როცა ჩვენ ამ ორ მნიშვნელოვან თემას ერთად განვიხილავთ, უფრო მნიშვნელოვან პერსპექტივასა და ღრმა სულიერი დარწმუნებას ვიღებთ.

მე ვლოცულობ იმაზედ, რომ სული წმინდა იყოს ჩვენი ხელმძღვანელი და დამრიგებელი.

## თქვენ კი რას იტყვით: ვინა ვარ მე?

ჩვენ ბევრი რამ შეგვიძლია ვისწავლოთ მოწმობასა და მოქცევის შესახებ პეტრე მოციქულის მსახურებიდან.

როცა იესო ფილიფეს კესარიის სანაპიროს მიუახლოვდა, მან თავის მოწაფეებს ეს გამჭოლი შეკითხვა დაუსვა: „თქვენ კი რას იტყვით: ვინა ვარ მე?“

პეტრემ გულახდილად უპასუხა:

„შენა ხარ ქრისტე, ძე ცოცხალი ღვთისა.

„მიუგო იესომ და უთხრა მას: ნეტარ ხარ შენ, სიმონ იონას ძე, ვინაიდან შენ ეს გამოგიცხადა არა ხორცმა და სისხლმა, არამედ მამაჩემმა, რომელიც ცაშია“ (მათე 16:15–17).

პეტრეს პასუხის მაგალითი და მაცხოვრის დარიგება გვიჩვენებს, რომ მოწმობა არის გამოცხადების მეშვეობით

მიღებული პირადი ცოდნა სულიერ ჭეშმარიტებაზე. მოწმობა არის ღვთის ძღვენი და ის ყოველი მისი შვილისთვის ხელმისაწვდომია. ჭეშმარიტების ნებისმიერ მართალ მაძიებელს შეუძლია მიიღოს მოწმობა, თუკი ის საცდელად გამოიყენებს ესოდენ აუცილებელ იესო ქრისტეს „რწმენის ნამცეცს“ (ალმა 32:27) და გამოსცდის სიტყვის მადლს (ალმა 31:5), რათა დანებდეს სულიწმიდის გავლენას (მოსია 3:19) და გაიღვიძოს ღმერთის მიმართ (ალმა 5:7). მოწმობას თან მოაქვს გაზრდილი პირადი პასუხისმგებლობა და ის მიზნის, დარწმუნებისა და სიხარულის წყაროა.

სულიერი მოწმობის ძიება და მიღება საჭიროებს წრფელი გულით, ჭეშმარიტი ზრახვითა და მაცხოვრის რწმენით (მორონი 10:4) თხოვნას, ძიებას და დაკაკუნებას (მათე 7:7; 3 ნეფი 14:7). მოწმობის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია ცოდნა იმაზედ, რომ ზეციერი მამა ცოცხალია და ჩვენ მას ვუყვარვართ; ის, რომ იესო ქრისტე არის ჩვენი მხსნელი და რომ სახარების სისავსე აღდგენილი იქნა დედამიწაზე ამ უკანასკნელ დღეებში.

### როცა კვლავ მოიქცევი

მაცხოვარმა, როცა ის ბოლო სერობის დროს თავის მოწაფეებს ასწავლიდა, უთხრა პეტრეს:

„სიმონ, სიმონ, აჰა, სატანამ გამოგიტხოვათ თქვენ . . . რომ ხორბალივით გაგცხრილოთ:

„მაგრამ მე ვილოცე შენთვის, რომ არ დაილიოს შენი რწმენა და, როცა კვლავ მოიქცევი, გაამხნევე შენი ძმები“ (ლუკა 22:31–32).

საინტერესოა ის, რომ ეს ძღვევამოსილი მოციქული ესაუბრებოდა უფალს, მის გვერდით დადიოდა, მისი მრავალი სასწაულის თვითმხილველი იყო და მაცხოვრის ღვთიური ბუნების შესახებ ძლიერი მოწმობა ჰქონდა. მაგრამ პეტრესაც კი სჭირდებოდა დამატებითი დარიგება იესოსგან სული წმინდის მოქცევისა და განწმენდის ძალისა და თავისი ერთგული მსახურების დავალების შესახებ.

იესო ქრისტეს სახარების არსი მოითხოვს ჩვენი ბუნების საფუძვლიან და მტკიცე ცვლილებებს, რაც შესაძლებელი გახდა მაცხოვრის გამოსყიდვის მადლით. ჭეშმარიტი მოქცევა გვიცვლის რწმენას, გულს და ცხოვრებასაც კი,

იმისთვის, რომ მივიღოთ ღვთის ნება და დავემორჩილოთ მას (იხ.საქმეები 3:19; 3 ნეფი 9:20). ის აგრეთვე მოითხოვს შეგნებული გადაწყვეტილების მიღებას - გახდეთ ქრისტეს მოწაფე.

მოქცევა არის მოწმობის ზრდის, გაღრმავებისა და გაფართოების საფუძველი. იგი ღვთის გამოცხადების შედეგია, რომელსაც პირადი მონაწილეობა, მორჩილება და სიბეჯითე მოჰყვება. ჭეშმარიტების ყოველი მართალი მადიებელი შეიძლება მოიქცეს, როცა ის განიცდის გულის ძლიერ ცვლილებას და სულიერად ღვთისგან გახდება შობილი (იხ.ალმა 5:12-14). როცა ჩვენ პატივს მივაგებთ ხსნისა და ამბლებს წეს-ჩვეულებებსა და აღთქმებს (იხ. მოძღვრება და აღთქმები 20:25), ქრისტეში სიმტკიცით წინ მივისწრაფით (იხ. 2 ნეფი 31:20) და ბოლომდე მოვითმენთ რწმენაში (იხ. მოძღვრება და აღთქმები 14:7), ჩვენ ქრისტეში ახალ ქმნილებად გარდავიქცევით (იხ. 2კორინთელთა 5:17). მოქცევა არის, მოწმობის ძღვენის მიღების მადლიერების ნიშნად, საკუთარი თავის, სიყვარულისა და ერთგულების ღმერთისთვის გაღება.

### **მოქცევის მაგალითები მორმონის წიგნიდან**

მორმონის წიგნი სავსეა მოქცევის შთამაგონებელი მაგალითებით. იაკობის შთამომავალმა, ყამალეკმა, გამოაცხადა, რომ ჩვენ უნდა მივიდეთ ქრისტესთან, რომელიც არის ისრაელის წმინდა და გავხდეთ მისი ხსნისა და გამოსყიდვის ძალის მონაწილენი. ჩვენ უნდა მივიდეთ მასთან და შესაწირის სახით შევთავაზოთ მას მთელი ჩვენი სული (იხ.ომნი 1:26).

ძნიშვნელოვანი და აუცილებელია იცოდეთ სული წმინდის ძალით ის, რომ იესო არის ქრისტე. მაგრამ მასთან წრფელი მისვლა და შესაწირის სახით მთელი ჩვენი სულის მიცემა მოითხოვს, უბრალო ცოდნაზე გაცილებით უფრო მეტს. მოქცევა მოითხოვს მთელ ჩვენს გულს, მთელ ჩვენს ძალასა და გონებას (იხ. მოძღვრება და აღთქმები 4:2).

მეფე ბენიამენის ხალხმა მის სწავლებასთან დაკავშირებით თქვა, რომ მათ სჯერათ მისი ყოველი სიტყვა და იციან, რომ მისი ნათქვამი ჭეშმარიტია, რადგან ყოვლისმპყრობელმა უფლის სულმა მათ გულებში ძლიერი ცვლილება მოახდინა ისე, რომ მათ მუდამ სიკეთის კეთება



სურდათ და ბოროტების ჩადენის არანაირი სურვილი აღარ ჰქონდათ (იხ. მოსია 5:2). ნათქვამი სიტყვების მიღებამ, მათი ჭეშმარიტების შესახებ მოწმობის მოპოვებამ და ქრისტეს რწმენის გამოვლენამ გამოიწვია გულის ძლიერი ცვლილება და მტკიცე გადაწყვეტილება - გახდნენ იმაზე უფრო უკეთესნი, რაც იყვნენ.

მოქცეული ლამანიელები ჰელამანის წიგნში აღწერილნი არიან, როგორც საკუთარი ვალდებულებების მიმართ მორჩილნი, ღვთის წინაშე მოწიწებულად მოსიარულენი და როგორც ხალხი, რომელიც იცავდა მის მცნებებსა, და წესებს და იცოდა განსასჯელის შესახებ. . . .

და ისინი დაუღალავი სიბეჯითით ცდილობდნენ, ჭეშმარიტების ცოდნისკენ მიეყვანათ თავიანთი ძმების ნარჩენი (იხ. ჰელამანი 15:5-6).

როგორც ეს მაგალითები გვიჩვენებენ, მოქცევის ძირითადი დამახასიათებელი თვისება უკავშირდება ძლიერ ცვლილებებს გულში, სიკეთის კეთების მუდმივ სურვილს, ვალდებულებების შესრულებას, ღვთის წინაშე მოწიწებით სიარულს, მცნებების დაცვას და დაუღალავი სიბეჯითით მსახურებას. ცხადია, რომ ეს ერთგული სულები უფლისა და მისი მცნებების თავდადებული მიმდევრები გახდნენ.

## მოქცევა

მრავალი ჩვენთაგანისთვის მოქცევა უწყვეტი პროცესია და არა ერთჯერადი მოვლენა, რომელიც რაიმე ძლიერი ან დრამატული შემთხვევის გამო შექმნილი გამოცდილების შედეგია. ხაზი ხაზზე, ბრძანება ბრძანებაზე, თანდათანობით და თითქმის შეუმჩნევლად, ჩვენი ზრახვები, აზრები, სიტყვები და მოქმედებები ღმერთის ნებას გაუტოლდება. უფალთან საუბარი მოითხოვს ორივეს: როგორც შეუპოვრობას, ასევე მოთმინებას.

ლამანიელმა სამუელმა დაადგინა უფლისკენ მოქცევის ხუთი ძირითადი ელემენტი: (1) წმინდა წერილებში არსებული წინასწარმეტყველებების, სწავლებებისა და წინასწარმეტყველებების რწმენა, (2) უფალ იესო ქრისტეს რწმენა, (3) მონანიება, (4) გულის ძლიერი შეცვლა და (5) სიმტკიცე და ურყეობა რწმენაში (იხ. ჰელამანი 15:7-8). ეს არის მოქცევისკენ მიმავალი მაგალითი.

## მოწმობა და მოქცევა

მოწმობა არის მოქცევის უწყვეტი პროცესის დასაწყისი და მოთხოვნა. მოწმობა არის ამოსავალი წერტილი და არა დანიშნულების ადგილი. ძლიერი მოწმობა არის საფუძველი, რომელზედაც მკვიდრდება მოქცევა.

მხოლოდ მოწმობა არ არის და არ იქნება საკმარისი უკანასკნელი დღეების სიბნელისა და ბოროტების ბობოქრობის უამს. მოწმობა აუცილებელი და მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენთვის საჭირო სულიერი ძალისა და დაცვისთვის არა საკმარისი. მოწმობის მქონე ეკლესიის ზოგი წევრი სულიერად დასუსტდა და დატოვა ეკლესია. მათი სულიერი ცოდნა და ვალდებულება არ იყო საკმარისი იმ სიძნელებისთვის, რომელთა წინაშეც ისინი აღმოჩნდნენ.

მნიშვნელოვანი გაკვეთილი მოწმობისა და მოქცევის შორის არსებული კავშირის შესახებ, ცხადად ჩანს მოსიას შვილების მისიონერულ სამსახურში.

ყოველი ადამიანი, რომელმაც ამონისა და მისი ძმების მეშვეობით შეიცნო ჭეშმარიტების ცოდნა გამოცხადებისა და წინასწარმეტყველების სულის თანახმად და ღვთის ძალით, რომელიც სასწაულებს ახდენდა მათში, არც ერთი ლამანიელი, რომელმაც ირწმუნა მათი სწავლება და უფლისკენ მოიქცა, არ ჩამოშორდა არჩეულ გზას.

და გახდნენ ისინი მართალი ხალხი; მათ დაყარეს აჯანყების იარაღი და აღარ იბრძოდნენ ღვთის წინააღმდეგ.

...

აჰა, ეს არიან ისინი, ვინც უფლისკენ მოიქცნენ (იხ.ალმა 23:6–8).

ამ მუხლებში აღწერილია ორი მთავარი ელემენტი: (1) *ჭეშმარიტების ცოდნა*, რომელიც შეიძლება გავიგოთ, როგორც მოწმობა და (2) *უფლისკენ მოქცევა*, რაც ჩემი აზრით ნიშნავს მაცხოვრისკენ და მის სახარებაში მოქცევას. ასე რომ, მოწმობისა და უფლისკენ მოქცევის ძლიერმა ერთობამ შედეგად გამოიღო სიმტკიცე, ურყეობა და უზრუნველჰყო სულიერი დაცვა.

ისინი არ ჩამოშორდნენ არჩეულ გზას და დათმეს “თავიანთი აჯანყების იარაღი - ისინი აღარ ებრძოდნენ ღმერთს”. იმისთვის, რომ გვერდზე გადავდოთ „აჯანყების

იარაღი“, ისეთი, როგორცაა ეგოიზმი, ამპარტავნება და ურჩობა, საჭიროა გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე რწმენა და ცოდნა. დარწმუნება, თავმდაბლობა, მონანიება და მორჩილება არის ჩვენს მიერ აჯანყების იარაღის დაყრის წინაპირობა. გვაქვს ჯერ კიდევ მე და თქვენ აჯანყების იარაღი, რომელიც ხელს გვიშლის იმაში, რომ უფლისკენ მოვიქცეთ? თუ ეს ასეა, ახლაც უნდა მოვიწინაოთ.

მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ ლამანიელები არ მოიქცნენ არც მისიონერებისკენ, რომლებიც მათ ასწავლიდნენ და არც ეკლესიის შესანიშნავ პროგრამებისკენ. ისინი არ მოიქცნენ არც მათი ხელმძღვანელების პიროვნებებისკენ და არც თავიანთი მამებისა და ტრადიციების კულტურულ მემკვიდრეობისკენ. ისინი მოიქცნენ უფლისკენ, როგორც მაცხოვრისკენ და მის ღვთიურობისკენ და მოძღვრებისკენ და არც ერთხელ არ გადაუხვიეს არჩეულ გზას.

მოწმობა არის სული წმინდის ძალის მეშვეობით მოპოვებული სულიერი ცოდნა ჭეშმარიტების შესახებ. უწყვეტი მოქცევა არის ჩვენთვის გაცხადებული და ჩვენსაცვ მიერ მიღებული ჭეშმარიტების მიმართ მუდმივი თავდადება მართალი მიზეზებისთვის და მზადმყოფი გულით. მოწმობის არსი არის იმის ცოდნა, რომ სახარება ჭეშმარიტია. მოქცევის არსი არის იყო თანმიმდევრულად სახარების ერთგული. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ სახარება ჭეშმარიტია და ასევე უნდა ვიყოთ სახარების ერთგულნი.

### **მოწმობა, მოქცევა და იგავი ათ ქალწულზე**

ახლა მინდა გამოვიყენო ათი ქალწულის შესახებ იგავის ერთ-ერთი შესაძლო ინტერპრეტაცია იმისთვის, რომ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს კავშირი მოწმობისა და მოქცევის შესახებ. ათმა ქალწულმა, ხუთმა გონიერმა და ხუთმა უგუნურმა, აიღეს ლამპრები და წავიდნენ ნეფის შესახვედრად. მოდით წარმოვიდგინოთ, რომ ქალწულების ლამპრები მოწმობის ლამპრებია. უგუნურმა ქალწულებმა წამოიღეს თავიანთი მოწმობის ლამპრები, მაგრამ არ გამოიყოლეს ზეთი. წარმოვიდგინოთ, რომ ლამპარის ზეთი მოქცევის ზეთია.

„ხოლო გონიერებმა თავიანთ [მოწმობის] ლამპრებთან ერთად ზეთიც [ მოქცევის] გაიყოლეს ჭურჭლებით.

„ნეფემ რომ შეიგვიანა, ყველას ჩათვლიმა და დაეძინა.

„მაგრამ შუალამისას გაისმა ძახილი: აჰა, ნეფე მოდის, გამოდით შესაგებებლად.

„მაშინ წამოდგა ყველა ქალწული და გამართეს თავ-თავისი ლამპრები [მოწმობის].

„უგუნურებმა უთხრეს გონივრებს: გვიწილადეთ თქვენი ზეთისაგან [მოქცევის ზეთისაგან ], ვინაიდან ლამპრები [სუსტი მოწმობის ], გვიჭრება.

„მიუგეს გონივრებმა და უთხრეს: რომ არც ჩვენ დაგვაკლდეს და არც თქვენ, უმჯობესია, წახვიდეთ ვაჭრებთან და იყიდოთ თქვენთვის“ (მათე 25:4-9).

იყო ეს ხუთი გონიერი ქალწული ეგოისტი და ძუნწი, თუ ისინი სწორად აღნიშნავდნენ იმ ფაქტს, რომ მოქცევის ზეთის სესხება შეუძლებელია? შეიძლება სულიერი ძალა, რომელიც ჩამოყალიბდა მცნებების დაცვის მიმართ თანმიმდევრული მორჩილების შედეგად, ვინმე სხვას გადავცეთ? შეიძლება გადასცე ვინმეს ცოდნა, რომელიც მოპოვებულია წმინდა წერილის ბეჯითი შესწავლითა და გააზრებით? შეიძლება გადასცე ადამიანს, რომელიც უბედური შემთხვევისა ან სირთულის წინაშე დგას, ის სიმშვიდე, რომელიც მოაქვს სახარებას ერთგული უკანასკნელი დღეების წმინდანისთვის? ყოველ ამ კითხვაზე პასუხი ნათელია - არა.

როგორც სწორად აღნიშნეს გონიერმა ქალწულებმა, ყოველმა ჩვენთაგანმა „თავისთვის უნდა იყიდოს“. ეს შთაგონებული ქალები საქმიან გარიგებას კი არა, არამედ ჩვენს პირად პასუხისმგებლობას უსვამენ ხაზს, რამეთუ გვენთოს ჩვენი მოწმობის ლამპარი და უხვად ვიჭონიოთ მოქცევის ზეთი. ეს ძვირფასი ზეთი მოიპოვება წვეთ-წვეთად, ხაზი ხაზზე, ბრძანება ბრძანებაზე (2 ნეფი 28:30), მოთმინებითა და შეუპოვრობით. არ არსებობს ამისთვის უფრო იოლი და მოკლე გზა; არც ბოლო წუთის აღელვებული მზადებაა შესაძლებელი.

ამიტომ, იყავი ერთგული, ყოველთვის ილოცე, იქონიე გამართული და ანთებული ლამპარი და ზეთის მარაგი, რათა ნეფის მოსვლისთვის იყო მზად. ( მოძღვრება და აღთქმები 33:17).

## მოწმობა

მე გპირდებით, რომ უფლისკენ მოქცევისა და ჭეშმარიტების ცოდნის მიღწევით ჩვენ შევინარჩუნებთ სიმტკიცის ურყეობას და არასდროს არ ჩამოვშორდებით სწორ გზას. დიდი სურვილით გადავდებთ გვერდზე აჯანყების იარაღს. მივიღებთ კურთხევას ჩვენი მოწმობის ლამპრების კაშკაშა სინათლის სახით და მოქცევის ზეთის უხვ მარაგს. და იმისდამიხედვით, თუ რაოდენ მოიქცევა თითოეული ჩვენთაგანი, ჩვენ საკუთარ ოჯახებს, მეგობრებს და ირგვლივ მყოფ ადამიანებსაც გავაძლიერებთ. ამ ჭეშმარიტებას მე ვმოწმობ, უფალი იესო ქრისტეს წმინდა სახელით, ამინ.

---

# ღმერთი იყოს თქვენთან, სანამ კვლავ შევხვდებით

პრეზიდენტ თომას ს. მონსონის მიერ

---

ამ ორი დღის გზანვილების გულში და  
ცხოვრებაში მიღებით ჩვენ დალოცვილნი  
ვიქნებით.

---

ჩემო ძვირფასო დებო და ძმებო, ჩვენ მივუახლოვდით  
კიდევ ერთ სულის ასამაღლებელ გენერალური  
კონფერენციის დასასრულს. პირადად მე სულიერი საკვები  
მივიღე და სულიერად ავმაღლდი და მე ვიცი, რომ თქვენც  
იგრძენით ამ კონფერენციის განსაკუთრებული სული.

ჩვენ გულითად მადლობას ვუხდით ყველას, ვინც  
მონაწილეობას იღებდა ამ კონფერენციაში. ჩვენ  
გავიმეორეთ სახარების ჭეშმარიტება და განვამტკიცეთ მისი  
ცოდნა. ამ ორი დღის გზანვილების გულში და ცხოვრებაში  
მიღებით ჩვენ დალოცვილნი ვიქნებით.

როგორც ყოველთვის, ამ კონფერენციის მასალები  
ხელმისაწვდომი იქნება *Ensign* და *ლიახონა* უფრნალებში. მე  
მინდა შეგაგულიანოთ გადაიკითხოთ ეს გამოსვლები და  
ჩაუფიქრდეთ იქ მოცემულ გზავნილებს. მე საკუთარი  
ცხოვრებიდან ვიცი, რომ როცა ღრმად შევისწავლი ამ  
შთაგონებით მომზადებულ ჭადაგებებს, კიდევ უფრო მეტ  
სიკეთეს მოვიპოვებ.

ჩვენ კონფერენციის გაშუქების უპრეცედენტო შედეგს  
მივალწიეთ - მივწვდით ხალხს კონტინენტებსა და  
ოკეანეებს გაღმა. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი

თქვენთაგანისგან შორს ვიმყოფებით, ჩვენ ვგრძნობთ თქვენს სულს და გიგზავნით ჩვენს სიყვარულსა და მადლიერებას.

მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო იმ ძმებს, რომლებიც წლების განმავლობაში ერთგული მსახურები იყვნენ და დღევანდელ კონფერენციაზე წოდებებში მსახურებიდან განთავისუფლებულნი იქნენ. თქვენი უფლის სამუშაოში წვლილის შეტანით მრავალი ადამიანი დაილოცა.

დებო და ძმებო, მე ახლახანს აღვნიშნე 85 წლის იუბილე და მადლობელი ვარ სიცოცხლის ყოველი წლისთვის, რომელიც უფალმა მიბოძა. როცა ჩემი ცხოვრების გამოცდილებებს ვიხსენებ, მადლიერებას გამოვხატავ მისი ჩემდამი მრავალი დალოცვისთვის. როგორც ამ დღით აღვნიშნე ჩემს გამოსვლაში, მე ვგრძნობდი უფლის ხელს მაშინ, როცა გულდასმით ვცდილობდი მემსახურა მისთვის და ყოველი თქვენთაგანისთვის.

ეკლესიის პრეზიდენტის წოდება ძალიან ბევრს მოითხოვს. რაოდენ მადლიერი ვარ მე ჩემი ორი ერთგული მრჩევლისთვის, რომლებიც გვერდში მიდგანან და ყოველთვის მზად არიან დამეხმარონ პირველი პრეზიდენტობის სამსახურში. მე ასევე გამოვხატავ მადლიერებას იმ კეთილშობილი ადამიანების მიმართ, რომლებიც ტორმენტ მოციქულთა ქვორუმს შეადგენენ. ისინი, სამოცდაათიანელთა ქვორუმის წევრებთან ერთად, დაუღალავად ასრულებენ მოძღვრის საქმეს.

მე ასევე მინდა მოგმართოთ თქვენ, ჩემო დებო და ძმებო, სადაც კი არ უნდა იყოთ, რასაც არ უნდა აკეთებდეთ თქვენს მრევლში, მეურვეობაში, პალოსა თუ ოლქში. როცა თქვენ საკუთარი სურვილისამებრ მსახურობთ თქვენს მოწოდებებში, თქვენ ამით ღვთის სასუფეველის შენების საქმეს ეხმარებით.

დაე ყოველთვის ვზრუნავდეთ და ვეხმარებოდეთ ერთმანეთს გაჭირვების უამს. მოდით ნუ ვიქნებით კრიტიკულად განწყობილნი, არ განვიკითხოთ, ვიყოთ მიმტეველები და მუდამ ვცდილობდეთ გავიმეოროთ მაცხოვრის სიყვარულის მაგალითი. მოდით მზადყოფნით ვემსახუროთ ერთმანეთს. დაე ვილოცოთ

შთაგონებისთვის, რათა შევიტყვოთ ჩვენს ირგვლივ მყოფი ადამიანების გასაჭირი და დავეხმაროთ მათ.

მოდით კარგი განწყობით ვიცხოვროთ. მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებულად სახიფათო დროში ვცხოვრობთ, უფალს ვუყვარვართ და იგი ზრუნავს ჩვენზე. იგი ყოველთვის მხარში გვიდგას, თუკი სწორად ვიქცევით. იგი გაჭირვების უამს დაგვეხმარება. ჩვენს ცხოვრებაში შემოდის სირთულეები, მოულოდნელი პრობლემები, რომლებსაც არ ავირჩევდით საკუთარი ნებით. არავინ არ არის ამისგან დაცული. მიწიერი ცხოვრების მიზანია სწავლა და სულიერი ზრდა, რათა დავემსგავსოთ მამაზეციერს და ხშირად ზუსტად სირთულეების დროს ჩვენ ყველაზე კარგად ვსწავლობთ გაკვეთილს, თუმცა ზოგჯერ ის ძალიან მტკივნეულია. თუკი იესო ქრისტეს სახარების სწავლებას მივყვებით, ჩვენი ცხოვრება შეიძლება სიხარულით აღივსოს.

უფალმა დაგვმოდღვრა: „გამაგრდით; მე ვძლიე სოფელს“.

<sup>1</sup> რა დიდი სიხარულის მომტანი უნდა გახდეს ჩვენთვის ეს ცოდნა! ის ჩვენთვის ცხოვრობდა და ჩვენთვის მოკვდა. მან ჩვენი ცოდვების საფასური გადაიხადა. დაე მივბაძოთ მაცხოვრის მაგალითს. მოდით გამოვხატოთ ჩვენი დიდი მადლიერება მისი მსხვერპლის გაღების მიღებით და ვიცხოვროთ ისე, რომ გავხდეთ ღირსნი მასთან დაბრუნებისა და ცხოვრებისა.

როგორც წინა კონფერენციებზე აღვნიშნე, მადლობას გიხდით იმისთვის, რომ ლოცულობთ ჩემთვის. მე მჭირდება თქვენი ლოცვები; მე მათ ვგრძნობ. ჩვენ, როგორც მთავარ მმართველებს, თქვენ ყველანი გვახსოვხართ და ვლოცულობთ იმაზედ, რომ მიიღოთ მამაზეციერის საუკეთესო დალოცვები.

ახლა, ჩემო საყვარელო დებო და ძმებო, ჩვენ ვაცხადებთ ექვსთვიან შესვენებას. ღმერთი იყოს თქვენთან, სანამ კვლავ შევხვდებით. ჩვენი მხსნელისა და გამომსყიდველის, იესო ქრისტეს სახელით, ამინ.

### შენიშვნა

1. იოანე 16:33.